

ქვეყნის გზები



საქართველოს
შენიშნული
კავშირის
გაზეთი
№8 (276)

1-31 ოქტომბერი
2019

ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავი ორჯარი

რევაზ მიშველაძე



სახელგანთქმული მძღვოსანი, მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სამმაგ ხტომაში სირანო ჩაჩავა სამუდამო საცხოვრებლად თავის მშობლიურ ქალაქ ქაქათაში დაბრუნდა.

სამოცდაერთი წლის, თავხოტორა, ალაგ-ალაგ გასუქებულ (ლიპს ვგულისხმობ), ყბაკისრიანად გრძელ, არასპორტული აღნაგობის ყოფილ ჩემპიონს (კოლეგა მწერლებს ვთხოვ, სპორტსმენებთან და ექიმებთან მიმართებაში სიტყვა „ყოფილი“ იშვიათზე იშვიათად იხმარონ. რას ჰქვია „ყოფილი“ - ჩემპიონი ჩემპიონია და ექიმი ექიმია) სირანო ჩაჩავას მშობლიურ ქალაქ ქაქათაში სამუდამო საცხოვრებლად დაბრუნება, გარდა სიყრმის სანახების უსაშველო ნოსტალგიისა, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სტანჯავდა, ერთმა ფრიად სერიოზულმა დამაჩქარებელმა გარემოებამაც გადააწყვეტინა.

კერძოდ: სამოცი რომ შეუსრულდა, დედაქალაქ ხოხობეთში, სადაც თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვობის 7,5 წელს, სირანომ მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარა, დიდი იუბილე გაუმართეს. საიუბილეო სადამოზე სირანოს მშობლიური ქალაქის წარმომადგენელიც გამოვიდა, რომელმაც თითქმის სიტყვასიტყვით ასეთი რამ თქვა: მეო, სპორტუზრედის თავმჯდომარე ლეო კაკაურიძე გახლავართო. მივესალმები ძვირფას იუბილარს მთელი ქაქათას მშრომელების სახელითო. ქაქათას მშრომელებმა („მშრომელები“ შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით მეორეჯერ ახსენა) ნახვის ნატ-

ვრის გარდა ერთი დიდი სათხოვარიც დამაბარესო: ჩვენი დედაქალაქი ისედაც განებივრებულია დიდი ადამიანებით და, რა იქნება, ეს ერთი კაცი - ქაქათას პირმშო დაგვითმოდო. თუ ბატონი სირანო მშობლიურ ქალაქში საცხოვრებლად ჩამობრძანებას ინებებს, გაძღვეთ პირობას, რომ ხელისგულზე შევინახავთ. გარდა იმისა, რომ მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენის ჩამოსვლა ჩვენი ქალაქის სპორტის პრესტიჟს მაღლა ასწევს, ქაქათას მოქალაქეებს სამოცი წლის განმავლობაში ნალოლიავეები ოცნება აუსრულდებათ და შრომის ნაყოფიერებაც არნახულად გაიზრდებაო. ბატონი სირანო თავისი გამოცდილების მაგალითზე ასობით ჩემპიონს გამოზრდის ქაქათაშიო. გაცოცხლდება, გამხარულდება ქალაქი სირანო ჩაჩავას ჩამოსვლი-

იანი ბინა სპორტულ საზოგადოება „კენგურუს“ დაუბრუნა (რითაც „კენგურულნი“ ფრიად გაკვირვებული და გახარებული დარჩნენ), შეკრა გუდანაბადი (ჩინმედლები ცალკე, ფრანგულ საკვოიაჟში ჩაალაგა) და ნაგრამ-ჯალაბიანად (ერთი 22 წლის ბიჭი ჰყავდა, რომელიც მამის გზას ჯიუტად არ გაჰყვებ) ქაქათაში ჩამოვიდა.

სპორტუზრედი მაშინ აღმსაკომის შენობაში იყო. გულისხმიერმა ტაქსის მძღვლმა მეორე სართულზე ჩემოდნებიც აატანინა და თავმჯდომარის მისაღებშიც დააბინავა სტუმრები, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ეს ცხენისყბებიანი, მაღალი კაცი.

ერთ საათში ლეო კაკაურიძეც მოვარდა.

ლოდინით როგორ არ გელოდით, მაგრამ კონკრეტულად რომ გვცოდ-

ტებოდა და ისევ უსიტყვოდ გადაეხვეოდა.

ცოტა ხანს აქ მომიცადეთ, არ ნახვიდეთ არსადო, სტუმრებს ყელთან სამი თითის მიტანით შეეხვენა, თუმა ამ უკანასკნელთ, სურვილის შემთხვევაშიც წასასვლელი არსად ჰქონდათ, ქუდი დაიხურა და აღმსაკომის თავმჯდომარესთან შევარდა.

იქედან ერთი საათის მერე სახენაშლილი გამოვიდა.

აღმსაკომის თავმჯდომარემ მოგიბოდიშათ, თქვენი სახლის გამოსყიდვამდე დროებით სხვაგან უნდა დაგაბინაოთ და არ გეწყინოთო. სახლის გამოსყიდვას თანხის მოძიება და ტენდერის გამოცხადება სჭირდებაო. ცოტა ხანს გუმისთაში მოგათავსებთ, ჩვენ მანამდე ორგანიზაციულ საკითხებს გადავწყვეტთ და საერთოდ, რასაკვირველია, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენს გულს გაეხარდებაო.

კაკაურიძემ პასუხს არ დაუცადა, სტაცა ორ (შედარებით მომცრო) ჩემოდანს ხელი და ძვირფას სტუმრებს კიბეზე ჩაუძღვა.

მსოფლიოს ჩემპიონმა სამმაგ ხტომაში მთლად კარგად როდი გაიგო, რას ნიშნავდა „ტენდერის გამოცხადება და სახსრების მოძიება“, არც „გუმისთა“ გაეგონა თავის შორეულ ბავშვობაში, მაგრამ სხვა გზაც რომ ჰქონოდა, მაინც ლეო კაკაურიძეს გაჰყვებოდა.

გუმისთა ქალაქის განაპირას, რაჭისკენ მიმავალ გზაზე, არც თუ ახალი დასახლება აღმოჩნდა.

ოთხსართულიან, აივნებმოღლეტილ და ალაგ-ალაგ შუშებჩამტვრეულ სახლთან შეჩერდნენ.

ამ სახლში, დროებით, ლტოლვილების გვერდით იცხოვრეთო, ლეო კაკაურიძემ, არ უნდა იყვნენ ცუდი მეზობლებიო.

სანამ ტაქსიდან ბარგს გადმოალაგებდნენ ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელთან სახელდახელო მიტინგი გაიმართა.

აფხაზეთიდან ოტებულნი სასტიკად აპროტესტებდნენ მათს რწმუნებულ სახლში „ახლების“ ჩასახლებას.

კაკაურიძის მოკლე, მაგრამ შინაარსიანმა გამოსვლამ ლტოლვილთა გულები ვერ მოაღბო. ვერც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულმა გაჭრა და ვერც მაგიურმა სიტყვა „დროებითა“. ჩვენ აქაო, ერთმა ჭარმაგმა ლტოლვილმა, ყველანი მსოფლიო ჩემპიონები ვართ მოთ-

სამხავი ხუობა

ნოველა

თო. ორ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: უკვე გამოყოფილია ქალაქში ადგილი სირანოს ძეგლის დასადგმელად და დანყებულობა მოლაპარაკება მისი სახლის ახლანდელ მეპატრონესთან, რათა ქალაქის ხარჯებით გამოსყიდულ იქნას და ბატონ სირანო ჩაჩავას დაუბრუნდესო.

ქაქათას სპორტუზრედის უფროსმა ტამის გრიალში დატოვა ტრიბუნა, ხოლო სახელოვანმა იუბილარმა იმ წუთიდან მოსვენება დაკარგა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ამ ასაკში ცოლ-შვილიანად აყრა და ქაქათაში გადაბარგება.

მართალია, საიუბილეო შეხვედრის ჩატარება-ჩაგრიალების მერე ქაქათადან არავინ შეხმიანებია, მაგრამ სირანო პატიოსანი კაცი იყო და ლეო კაკაურიძის გამოსვლა გულ-მუცელს უწვავდა.

„მთელი ქაქათა სულმოუთქმელად მელოდება, ვინ იცის, ჩემი ყოფილი სახლი ნინოშვილის ქუჩაზე უკვე გამოისყიდეს და ძეგლის კვარცხლბეკიც გამზადებულია, მე კი აქ, დანიელ „ჭონქაძის ბაღში ვზივარ და დომინოს ვუტყაპუნებ“.

ექვსი თვის თავზე, სპორტკომიტეტიდან მიღებული სამოთახ-

ნოდა ამ დილით ჩამობრძანდებოდა, მთელ ქაქათას სადგურზე დაგახვედრებდითო, მოაყოლა სახეგაბადრულმა ლეომ სასურველი სტუმრებით გაბედნიერების სალამქალამს. რამდენი ხნით ჩამობრძანდითო, ჩემოდნებს ეჭვით გახედა კაკაურიძემ, თუმცა კარგად იცოდა, რომ ამ შეკითხვით სტუმრებს არ მიმართავენ. ეს უბრალოდ, სიტყვის მასალად წამოსცდა, რომ ნებისმიერი პასუხისთვის მოეყოლებინა; ასე მალე ვერ გაგოშვებთ, მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა ჩვენი ნებააო.

- ჩამოვედი, ჩემო ლეო, როგორც შევთანხმდით, მუდმივ საცხოვრებლად. დღეიდან კვლავ ქაქათელი ვარ, - მასპინძლის დაბნეულ, გაძარცვულ ღიმილს ალალი ღიმილი შეაგება მსოფლიოს ჩემპიონმა.

ლეო კაკაურიძე დაბალი კაცი იყო და ამიტომაც სტუმარს როგორც შეწვდა, ისე გადაეხვია.

ელდისგან, სიხარულისგან თუ დაბნეულობისგან უფრო, მე მგონია დაბნეულობისგან კაბინეტში ადგილს ვერ პოულობდა. მოიბრუნდა სკამთან, დაჯდებოდა, წამში წამოხ-

► 133

მინებაში და მკლავჭიდში. ესეც არ იყოს, კარგად ვიცით, რას ნიშნავს, „დროებით ჩასახლება“.

ბოლოს, როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი „მშვიდობიანი მოლაპარაკებით“ (პატრულის ორიოდ მუჯღუგუნის რა მოსატანია) დამთავრდა და სირანო ჩაჩავა ლტოლვილთა საცხოვრებლის ერთ ოთახში (უფანჯრო, უსინათლო, სველი წერტილების გარეშე) შეასახლეს.

მეორე დღეს ჩაჩავა გულდაგულ გამოეწყო, მკერდი მსოფლიო ჩემპიონის ორდენით დაიმშვენა და ფეხით ჩამოუყვავა ბილიკს ქაქათას ცენტრისაკენ.

ბილიკისპირა ბალახი თრთვილს დაეფარა, მწვანეყვავილას ვინროებში რიონი მოდგაფუნობდა.

სპორტუჯრედში არავინ იყო. „გენი დღეს არ იქნებიან, პატრიგეთში ნავიდნენო“, აუხსნა გვერდით ოთახში რადიატორს ზურგის ქვედა ნაწილით მიყრდნობილმა გოგომ, მაგრამ არ დაუკონკრეტებია; რა საქმეზე ნავიდნენ სპორტის მესვეურნი პატრიგეთში და ... გითხრათ სიმართლე, არც სირანოს უკითხავს.

მთელი დღე აკაკის ბაღში გაატარა.

ხან ერთ სკამეიკაზე ეფიცებოდა ძალაგამოლეულ მზეს, ხან მეორეზე, იმის მიხედვით, საიდან მოექცეოდა ეს უწყინარი, მოწყალე მნათობი.

ერთი ნაცნობიც არ შეხვედრია. მსოფლიო ჩემპიონის პერსონით არავინ დაინტერესებულა.

ქაქათელთ დიადი სახელები დავინწყებოდათ და თავიანთ საყველპურო საქმეებზე მიიჩქაროდნენ.

ერთი გამონაკლისი მაინც მოხდა: მინიმარკეტში ძეხვი და პური რომ შეიძინა, გამოსვლისას ათიოდე წლის ბობრი, ბიჭი აედევნა:

- ბიძია, ბიძია!
- სირანომ ბიჭს მოხედა.
- რაის ნიშანია მაგი, რო გიკეთია?
- მსოფლიო ჩემპიონობის
- რაში ხარ, ბიძია მსოფლიო ჩემპიონი? - არ მოეშვა ბიჭი.
- სამმაგ ხტომაში

ბიჭს მეტი არაფერი უკითხავს.

ერთი კვირის თავზე აღმასკომის თავმჯდომარემ ქალაქის დროზე ადრე შეჭმულ ბიუჯეტს რომ სასიკეთო ვერაფერი დაატყო, იქნებ სირანო ჩაჩავას პატივისცემით რამე მოიფიქროსო და, ყოველშემთხვევისათვის, თავისთან იხმო ჩაჩავას სახლის (ნიონოშვილის ქუჩაზე) ახლანდელი მფლობელი კაკული მამაგეიშვილი.

მთავრობა დაბეჯითებით გვაგვალეს, ხოხობეთიდან სამჯერ დაგვირეკეს, სირანო ჩაჩავას ყოფილ სახლში (რომელშიც ახლა თქვენ ცხოვრობთ) სახლ-მუზეუმი უნდა გავხსნათო, აღმასკომის თავმჯდომარემ.

ბოდიში მარა ვინაა, ბატონო, სირანო ჩაჩავაო, იკითხა მოსულმა.

სირანო რავა არ იცი, შე კაცო. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია სამმაგ ხტომაშიო. თავმჯდომარემ.

იხტუნაოს ბატონო და იყოს... გოუმარჯოს ღმერთმა თავის გზაზე, მე რაზე დამიძახეთ აქანაო, მამაგეიშვილიმა.

რაზე და შეგნებული კაცი ხარ და ეჭვი არ მეპარება შეგნებით მოეკიდები ამ საქმეს. სახლ-მუზეუმს წინ აღარაფერი დოუდგება. ჩვენ ტყვილა კი არ გვინდა. შენ უნდა გადაწყვიტო, რავარც შეგნებულმა (სამწუხაროდ, სიტყვა „შეგნებული“ მამაგეიშვილზე ამჯერად სხვა სიტყვებზე ნაკლებ ზემოქმედებას ახდენდა), ქე იცი, უჭირს სახელმწიფოს, ამიტომ სამუზეუმო სახლი შელავათიან ფასში უნდა დაგვიტმო. აირჩიე; გინდა ოროთახიან ბინას მოგცემთ, მაგერ ხონის გადასახვევთან, გინდა ოროთახიანი ბინის შესაბამის თანხას სახელმწიფო (და არა საბაზრო) ფასშიო.

კაკული მამაგეიშვილი არც ისე შეგნებული აღმოჩნდა, როგორც აღმასკომის თავმჯდომარეს სურდა და ეგონა, სახლის სამუზეუმოდ გადაცემა-განსყიდვაზე ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

ჯერ ერთი, მე ეგ სახლი ჩაჩავებისგან არ მიყიდიაო. მაგენმა ამ ორმოცდაათი წლის წინ ქებულაძეებს მიყიდეს და მე ქებულაძეებისგან მაქვს მამასისხლად ნაყიდო. ოცი წელი ვიხდიდი პროცენტთან ვალს და, თქვენ რა იცით, რა ოფლი მაქ ჩაქცეული, ჩაჩავების ყოფილ სახლშიო. მეორეც, ეგ სახლი სახლ-მუზეუმად აღარ გამოდგება; ჯერ ქებულაძეებს ჰქონდათ გადაკეთებული და მერე მე ეზოს მხარეს სამზარეულო მოვაშენე, საპირფარეუო კი, თქვენთან ბოდიში მომიტხოვია, სასტუმრო ოთახში გადმევიტანეო. აღარ ჰგავს ჩემი სახლი იმ ძველ სახლს, სადაც, რავარც თქვენ ამბობთ, მსოფლიო ჩემპიონი დეიბადაო. მე მაგის სამმაგი ხტომა არ მინახავს, მარა იხტუნაოს და იყოს გოუმარჯოს გამჩენმა, მე რას მერჩითო. ერთს გირჩევთ: ჩვენი ქუჩის ბოლოში გიორგაძე ყიდის სახლს, იყიდეთ ის სახლი და კაცი ვერ გეიგებს, ჩაჩავა აქანაა დაბადებული თუ იქანაო.

ამ „რჩევაზე“ თავმჯდომარისგან კატეგორიული უარი რომ მიიღო, კაკული მამაგეიშვილიმა თითების მტვრევით განაგრძო თავის (და უფრო მეტად თავისი სახლის) დაცვა:

ახლა კაცმა რომ თქვას, შვიდი წლის ყოფილა ჩაჩავა აქედან რო ნოუყვანიათ და ორმოცდაათი წელია, ხოხობეთში ცხოვრობს. გოუხსენით იქანა სახლ-მუზეუმი, აქოურობა არც ქე ემასხოვრება მაგასო. რაც მთავარია, ოთხი თვის შვილიშვილი მინევეს ახლა ამ წუთში მე აკვანში და რა იცით თქვენ, მაგალითად, ე ჩემი შვილიშვილი რომ სირანო ჩაჩავაზე ნაკლები გამოვა?! თუ სირანოზე უფრო დიდი და სახელოვანი კაცი გამევიდა, სად ვეძებო ამისი სახლ-მუზეუმი მერე მეო.

ასე რომ, ბატონო თავმჯდომარე, ამ საქმეზე მე მეტი აღარ დამიძახოთ. მკვდარს თუ გამოძახებენ ჩემი სახლიდან, თვარა მე ცოცხალი თავით იქიდან გამომსვლელი არ ვარო.

თავმჯდომარეს ერთი სული ჰქონდა კაკულის ლაპარაკში მინიმუმ ოთხ ადგილზე გულიანად გადაეხარხარა, მაგრამ თუ არ იცინოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სირანო ჩაჩავას სახლ-მუზეუმის საქმე ფრიად შავბნელ ჩიხში შედიოდა.

დრო არ იცდიდა. აღმასკომის და სპორტუჯრედის ილაჯგანყვეტილი ხელმძღვანელები „ან ვირი, ან ვირის პატრონის“ პოლიტიკას ადგენენ, სირანო ჩაჩავას კი ხოხობეთიდან ჩამოყოლილი ორიოდ კაპიკი ხელში შავრენის ტყავით ელეოდა.

ქაქათაში რომ სამმაგი ხტომა დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა ჩაჩავა საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა საქალაქო საზოგადოება „ცოდნის“ პასუხიმგებელმა მდივანმა მუხლმოდრეკით სთხოვა: ბატონო სირანო, ვიცი, ძალიან დაკავებული ხართ (სირანომ ეჭვით გახედა, ხომ არ დამცინისო), მაგრამ საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნაა, გამოძებნოთ დრო და კულტურის სახლში ერთსაათიანი ლექცია ნაგვიკითხოთ სამმაგ ხტომაზეო. ლექცია ფასიანიაო.

სირანოს განსაკუთრებით ბოლო სიტყვები ესიამოვნა, მაგრამ იგი, აკაკის ბაღში უსაქმო ჯდომით გადალლილი, უფასო ლექციაზეც თანახმა იყო.

დანიშნულ დროს მივიდა ლექციაზე და, გითხრათ სიმართლე, აფიშა რომ წაიკითხა, შეაქო კიდევ „ცოდნის“ პასუხისმგებელი მდივანი; ასეთ ტექსტს მეც ვერ მოვიფიქრედიო: „ყველასათვის საინტერესო ლექციას თემაზე: „სამმაგი ხტომა კაცობრიობის მომავალი“, ყველასათვის საინტერესო და გასაგებ ენაზე წაიკითხავს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მძლეოსნურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი სირანო ჩაჩავა“.

დარბაზში ჩაჩავას გარდა ოთხი კაცი იჯდა. ლექცია ნახევარი საათით გვიან დაიწყო, მაგრამ დარბაზში მყოფთა რაოდენობა ბოლომდე არ შეცვლილა. მსმენელნი ჯიუტად სდუმდნენ მაშინაც, როცა სირანომ ლექცია დაამთავრა და იკითხა: თუ სამმაგ ხტომაზე რამე გაინტერესებთ, მკითხეთ, არ მოგერიდოთო.

ჩამოსვლიდან ექვსი თვის თავზე, სირანომ აღმასკომის თავმჯდომარეს შესჩივლა; ჩემი ფინანსური მდგომარეობა კატასტროფულს უახლოვდება და იქნებ რამე სამსახური გამომიძებნოთ, სპორტუჯრედში სულ სამი შტატია და ადგილი უახლოეს 50 წელიწადში არ გათავისუფლდება, თანახმა ვარ ნებისმიერ დაწესებულებაში ვიმუშაო, თუ მთავარი მწვრთნელის არა, რიგითი მწვრთნელის ადგილზე მაინცო.

თავმჯდომარემ ბევრი აღარ დაახანა და მაშინვე, ქაქათავაჭრობის

სამმართველოს უფროსს დაურეკა: ჩემო ბუხუტი, შენთან ჩვენი სახელოვანი სირანო ჩაჩავა მოვა და რამე ადგილი გამოუძებნეო.

იმ დღეს რალაც მოასწრებდა და მეორე დღეს ეახლა ბუხუტის მსოფლიო ჩემპიონი.

ბუხუტი კარებშივე შეეგება, კი ბატონო, დამირეკა თავმჯდომარემ, მართალია, ძალიან მიჭირს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, იქნებ თქვენვე მითხრათ, რა პოზიციაზე შეგიძლიათ მუშაობაო.

კითხვა ვერ გავიგეო, გულწრფელად შეუბრუნა კითხვა სირანომ.

მე გკითხეთ, რისი გაკეთება შეგიძლიათ, რისი სპეციალისტი ბრძანდებითო.

საერთოდ სამმაგი ხტომისო, მეცხსეულად მიუგო ჩაჩავამ და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ბუხუტის „ჩამორჩენილობა“, მე, ბატონო, სირანო ჩაჩავა ვარ, ალბათ ვერ მიცანითო.

როგორ ვერ გიცანით, ბატონო სირანო, სახე მოემელა ბუხუტის, ცნობით გიცანით, მარა ჩვენთან ქაქათავაჭრობაში კონკრეტულად რას გააკეთებთ, ეს მინდოდა მეკითხაო.

რას და თუ არიან თქვენთან ისეთი თანამშრომლები, ვისაც სამმაგ ხტომაში უნდა ვარჯიში, შევექმნი ჯგუფს და კვირაში ხუთ დღეს სამსამ საათს ვავარჯიშებო.

ვაჭრობის მუშაკმა ჯერ სკამი უკან დასწია და მაგიდიდან მარმარილოს საშრობი აიღო, მერე დიდხანს ფსიქიატრის ყურადღებით უმზირა სირანო ჩაჩავას საყვარელ სახეს და როდის-როდის ამოღერდა:

კეთილი და პატიოსანი, ბატონო ჩაჩავა, რა სჯობია სამმაგ ხტომას, მაგრამ ამჯერად უნდა გაგანბილოთ, ჩვენთან ჯერჯერობით ყველა ერთმაგ ხტომაში ვარჯიშობს, თუ ვინმე გამოჩნდა სამმაგი ხტომის შესწავლის მოსურნე, დამიტოვებთ ტელეფონი და უსათუოდ დაგირეკავთო.

ჩინოვნიკთაგან არაერთგზის მოტყუებული მკითხველი, ალბათ მაშინვე მიხვდებოდა, რომ ბუხუტია მსოფლიოს ჩემპიონს უახლოეს ხუთ წელიწადში მაინც არ დაურეკავდა.

ოქტომბერი იწურებოდა. იმერეთის გრძელი წვიმების სეზონი ძალაში შედიოდა.


ხოხობეთ-ქაქათას მატარებელმა ზესტაფონს მიაკივლა, ორიოდ წუთით შეჩერდა და ისევ ბრიგინ-ლრჭიალით დაიძრა.

ამ ნოველის ავტორმა იცოდა მხოლოდ რომ ხოხობეთ-ქაქათას მატარებლის მეშვიდე ვაგონში მდუმარედ ისხდნენ სამნი.

ერთი მათგანი მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი სირანო ჩაჩავა იყო.

დანარჩენი ორის ვინაობას თვითონვე მიხვდებით.

ჩაჩავების ოჯახი ხოხობეთში ბრუნდებოდა.



ბაგრატ ბადიდი

მომხსენებელი ახალ პრემიერს

„2020 წლის არჩევნების დალოდება არ არის მიზანშეწონილი და ახლა ივანიშვილის და მისი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედების დროა... რა თქმა უნდა მე ვარ, ამ ყველაფერში აქტიურად ჩართული“.

მიხეილ სააკაშვილი

1.

დღეა მზიანი, ამინდია მშვენიერი. ჰყავს საქართველოს ახალი პრემიერი.

საქართველოა მისი კერპი და ავგაროზი და რევანშისტებს ჩაუვარდათ ნაცარში კოვზი.

როცა ცდილობდნენ პარლამენტის აღებას შტურმით, როცა ბევრ ჩვენგანს დაეუფლა სასონარკვეთა, მაშინ გიორგი გახარია საფრთხე აღკვეთა, ჩაშალა საქმე თავხედური და ფაშისტური.

გამოუცხადა საქართველომ მას თანადგომა... რევანშისტები მოითხოვდნენ მის გადადგომას.

ჩვენს რევანშისტებს მოენამლათ ალბათ გუნება, რადგან ეს არის მათთვის სილის გალანუნება.

აპროტესტებდით გავრილოვის „უგვან საქციელს“? კარგი ბატონო, გავრილოვი ხომ გააქციეთ? რას მოითხოვდით ამის შემდეგ? გინდოდით მეტი? გინდოდით „შტურმით“, რომ აგელოთ პარლამენტი?

უმაღ იქ გაჩნდნენ... სულ სხვა ხალხი გაჩნდა ამჯერად და მღვრიე წყალში მოინდომეს თევზის დაჭერა...

გეგმაში ჰქონდათ სახელმწიფოს პარალიზება

და საჭიოა ამ საკითხის გაანალიზება. ...აქ არ მოსულა სატინგიცოდ და საეშმაკოდ... მიიჩქაროდა შინისაკენ გომური მაკო, მაგრამ ბრმა ტყვიამ ამოუგდო მარცხენა თვალი, საბრალო გოგოს არაფერში არ ედო ბრალი.

არ დასწრებია ის გოგონა იქ იმ აქციას, ბრმა შემთხვევამ კი ის ცალთვალად გადააქცია...

...სექტემბერია, დგას ამინდი შემოდგომური და მახსენდება თვალდათხრილი მაკო გომური...

მაგრამ თქვენ რატომ ტაბატაქე არ გახსოვთ ბესო? იქნებ როგორმე მახსოვრობა გაიუმჯობესოთ.

26 მაისს 2011 წლისა, მან აქ დაკარგა ცალი თვალი, აქ იდგა ისა...

ჰე, მაკოს თვალი თვალი იყო, ბესოსი არა? მოგვბეზრდა თქვენი თვალთმაქცობა, გეყოფათ, კმარა!

ბევრი გვყავს სხვისი „ხელის ბიჭი“, ვილაცის მონა, სხვაგვარად რომ ვთქვათ: მოლალატე, „მოლალატე კოლონა“.

...შემოიხვია ტანზე დროშა ელენემ გახტა, გამოხტა და ქვეყანა აალაპარაკა... მასავით გახტა დასაბმელი ნიკა მელია... და უნდა ითქვას ყველაფერი, რაც სათქმელია:

ეს იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, ხოლო გიორგი გახარია სუფთა კაცია!

სურთ ზოგიერთებს, რომ უეკლოდ ვარდები კრიფონ (არ ვიცით, ფაქტებს მრუდ სარკეში ვინ აშუქებდა?) და კარგად გვახსოვს, რა თქვა რეზო ამამუქელმა (მისი ნათქვამი არის მუდამ დროული, ბრძნული): „თუ გახარია გადადგება, ეს სახელმწიფო ყოფილა ნული“.

დიახ, სამშობლო მიაჩნია მას თვალის ჩინად! „მან საქართველო ლამის ორჯერ გადაარჩინა“, -

ამასაც ამბობს, მეგობრებო, ბატონი რეზო და არ იტყოდა ასეთ რამეს ის უმიზეზოდ.

დღეს რუსთაველზე თუ კი დგახარ, ავტომატურად: სანდროს მკვლეელი ხარ, ბუტას მკვლეელი და სხვა მრავალი

ადამიანის ნამებში შენც გიდევეს ბრალი. მე გირჩევ მათგან განასხვავო შენი ნატურა! ძნელია, ჩემო მეგობრებო, ძალიან ძნელი, როცა ცალთვალა ახალგაზრდის გვინევეს ყურება, მაგრამ არ უნდა შეურაცხყოთ მისი სახელი, ვინც მწყობრში დგას და ჩვენს სიმშვიდეს ემსახურება.

„ცალ თვალზე ხელის აფარება“, - ეს პერფორმანსი ლამის აქციონ თეატრალურ სანახაობად... როგორც ეტყობა, რევანშისტებს მიეცათ შანსი

გადაიბირონ გულმხურვალე ახალგაზრდობა. ...პარლამენტის წინ გახარია დადგეს ბიუსტი,

რომელსაც ლენტით ცალი თვალი, აქვს ახვეული... მაგრამ ფაქტი და სინამდვილე არის ჯიუტი:

დღეს ის აქცია ბალაგანად არის ქცეული...

დაბინდული აქვთ ზოგიერთებს ჭკუა-გონება, მიჰყავთ პარადი უგზურებს და უშნოდ ამაყებს,

მე შეგახსენებთ სახარების ბრძნულ შეგონებას: „ვინც დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“.

ახალ პრემიერს გულმხურვალედ მივესალმები და ცაში ლალად ფრიალებენ ჩვენი აღმები.

ეს არის ხალხის არჩევანი, რამეთუ გიორგი გახარია მოყვრისთვის თვალის ჩინია და მტრებისთვის ლახვარია.

2. ...ბატონო პრემიერო, შემოქმედებითი კავშირის წევრებს

ბაქოში უხდიან უზარმაზარ ჯამაგირს და მწერლების სხედან და წერენ... მწერლებს დაუფასდათ ამაგი.

ხელს თუ შეუნყოფთ მწერლობას და მეცნიერებას.

ამაზე დიდი რა იქნება ბედნიერება? ნუთუ დააქცევს ეს სიკეთე ქვეყნის ბიუჯეტს

ზოგჯერ სიმკაცრეც საჭიროა და სიჯიუტეც.

არ უნდა ჰქონდეს სანყალ მწერალს ქაღალდის ფული და დადიოდეს დამშეული და დაზაფრული?

არ დაგჭირდებათ „რანდობა“ და „ჯენტლმენობა“, კანონმა უნდა იკანონოს მთელ ქვეყანაში... მწერალთა კავშირს დაუბრუნეთ მისი შენობა, დაფინანსება ალუდგინეთ მწერალთა კავშირს.

გთხოვთ, არ მიილოთ ჩემი ლექსო პანეგირიკად, პოეტი ზოგჯერ „დღიურ პროზას“ აქცევს ლირიკად.

მინდა ვისურვო ჩვენს პრემიერს წარმატებანი და ანკრილდა ჩემი ჩანგი, ჩემი ებანი...

...ათასი თვალი შემოგცქერით, ათასი ყური (ბევრი ჩაფლავდა, ბევრმა ჭამა იქ ალიყური).

მინდა ვუსურვო ჩვენს ფავორიტს წარმატებანი და ანკრილდა ჩემი ჩანგი, ჩემი ებანი.

მივესალმები ჩემი ქვეყნის ახალ პრემიერს სულით და გულით, სიხარულით, მაგრამ ჩემ მიერ

ნათქვამი სიტყვა არ მიილოთ პანეგირიკად... პოეტი ხშირად „დღიურ პროზას“ აქცევს ლირიკად...

ხელისუფლებას გააჩნია ძალა და პრესი და იბრძვის ხალხი ხან ქუჩაში, ხან კიდევ პრესით.

დაგრილებენ „ბობოლები“ ლენდროვერებით... ნუთუ „ბობოლებს“, პრემიერო, ვერ მოერევი.

თუ ადამიანს საკუთარი არა აქვს ჭერი, შენც ადექი და ეს პრობლემა გადაუჭერი.

უნდა მოეპყრა ადამიანს თბილად, „ტოლივით“, სალანძღავ სიტყვად გაუხდიათ სიტყვა „ლტოლვილი“.

ახალო პრემიერო, ფართოდ გაახილე თვალი, ჩამოუნერე პენსიონერს საბანკო ვალი!

ხალხი თქვენს გარჯას დააფასებს, გეტყვით მაღლობას, თუ კი ადგილი არ ექნება უსამართლობას.

თუ სიტყვას საქმე არ მოჰყვება, სიტყვა ფუჭია, ცნობიერების განმსაზღვრელი მაინც კუჭია!

თუ არის სადმე თუნდაც ერთი კაცი მშვიერი, ან პრეზიდენტი რისთვის გვინდა ან პრემიერი.

ეკა ცხადაძე

ორი ღაბიუტი

უახლესი ქართული მწერლობა საინტერესოა ეკლექტიური სტილით და გამოხატვების მრავალფეროვნებით და უშეღავათო პირდაპირობით. ახალი თაობის მწერლები მკითხველს უბოდიშოდ ახლიან სიმართლეს და ზედმეტი ეიფორიის გარეშე აცხადებენ პრეტენზიას პარნასზე საკუთარი ადგილისთვის. ბოლო ხანს გაცნობილი ახალგაზრდა მწერლებიდან ამჯერად ორს გამოვარჩევ — ლევან ინაურს და გიორგი შონიას (ჰანს პრომველი). ორივე მათგანი ძალიან ახალგაზრდაა, ორივეს ეხერხება სათქმელის ჯიქურ მიხლა და მწარე რეალობის იმგვარად გადმოცემა, რომ ზოგჯერ გაოცებული და შეცბუნებულიც კი რჩები.

ნიჭიერება დიდი მადლია, ნიჭის სათანადოდ გამოყენება კი დიდი საბოძიარია, რასაც გარემო პირობები და სათანადო საზოგადოება სჭირდება. დღევანდელი მკითხველი განებივრებულია ექსპერიმენტებით, ახალ-ახალი სახელების გამოჩენით, მხატვრული ტექსტების სიმრავლით. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ცოტა ახერხებს მკითხველს თავი დაამახსოვროს და ცნობისმოყვარეობა აღუძრას. ამჯერად, ჩვენს ინტერესს წარმოადგენს ლევან ინაურის პროზაული კრებული „ჩვენ მოვიპარეთ გერმანია“ და გიორგი შონიას (ჰანს პრომველი) პოეტური კრებული „ფაბრიკაცია“.

ლევან ინაურის თემატიკა და სტილური ექსპერიმენტები მის შვიდივე მოთხრობაში მკაფიოდ იკვეთება და მაშინვე გვამახსოვრდება. ხოლო გიორგი შონიას პოეზია ისეთივე თვითრიონული, გამჩხიბავი და უშეღავათოა, როგორც მისი კოლეგის პროზაული ტექსტები. ერთი ნაკითხვითაც ცხადი ხდება, რომ თვითრიონია, მართლის თქმის პრინციპი და საკუთარი ფესვებისგან დროებითი დისტანცირება, ორივე შემოქმედის მთავარი ნიშანია.

ლევან ინაურმა „ჩვენ მოვიპარეთ გერმანიაში“, როგორც ახალგაზრდა შემოქმედმა, ყველა ჯურის ქართული თანატოლის ყოფა გაისიგარძეა, სცადა პერსონაჟების მრავალფეროვნანი გალერეა წარმოედგინა (ინტელგენციიდან რიგით ბოგანომდე) და ჩვენთვის მათი სატიკივარი გადმოეცა. ლევან ინაურის ეს ექსპერიმენტი მართლაც საინტერესო გამოდგა, მისი „ჩვენ მოვიპარეთ გერმანია“ კარგად იკითხება, გამოირჩევა მრავალმხრივი თემატიკით და პერსონაჟების მრავალფეროვნებით.

როცა ვამბობთ მრავალფეროვნას, ვგულისხმობთ შვიდი განსხვავებული პერსონაჟის ევროპულ ვოიაჟს, მათ თავს გადაძხვარდნის ტორიებს და მათი თვალთ დანახულ ევროპას.

ლევან ინაურის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „აქანა ყველაფერს დროით ზომავენ და ჩვენ ყველაფერს მონეული ღვინით ვზომავთ (გვ. 91)“ ამ ფრაზაში ვლინდება ახალგაზრდა შემოქმედის ანალიტიკური მიდგომა მთავარი საკითხისადმი, რასაც ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურება ჰქვია და რაც მკაფიოდ განირჩევა ევროპული მენტალობისაგან. დაპირისპირებულია „დრო“ და „ღვინო“, რაციონალიზმი და ვაკუუმი უდარდლობა. ლევან ინაური კარგად ხედავს განსხვავებას და ნიუანსობრივად გვიჩვენებს საკუთარი გმირების თავგადასავალში ამგვარი დეტალების სიმრავლეს. ახალგაზრდა მწერალი მკაფიოდ მიჯნავს ევროპულ და ქართულ რეალობებს, ცხოვრებისეულ პრობლემებს და ცალკეული ინდივიდების ხედვებს.

„ქართული სკულპტურის საბაჟოსთან“ ძალიან სახალისო და იუმორით გაჯერებული ტექსტია, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი ინტელექტუალი ცდილობს სამშობლოს ააცდინოს „ლასტებიანი კვერცხების საფრთხე“ და გერმანიიდან მოიპარავენ ნიგნის სკულპტურას, რომელიც იქ დროებით დაიდგა და მალე საჭირო აღარ იქნება. ლევან ინაური წერს: „ხუთი წლით ადრე კვერცხმა ადგილი დაჯავშნა, ნიგნი კი უსარგებლო და მოძველებული იდგა გამოდგა ჩვენი მოქანდაკეებისათვის“ (გვ. 27). როცა ის „კვეცხისა და ლასტების სკულპტურაზე“ გვიამბობს, გვექმნება მთაბეჭდილება, რომ მთელი ეს გალიმათია მას სჭირდება ტრავიკომიკური სულის გამოსაკვეთად, რაც თანამედროვე „ნიუგორიშულ“ საქართველოში ტრიალებს და რომლის გაკეთილშობილებაც საკუთარ მოვალეობად მიაჩნია შემოქმედ და მოაზროვნე საზოგადოების ნაწილი.

„საქართველოს კულტურულ-სკულპტურული გამდიდრება“ ლევან ინაურის მიერ ერთგვარი სარკასტული და ირონიული პასაჟებით მონოდებული სამოქმედო გეგმაა, რაშიც „საქართველოს პრეტენზიული“ და თვითკმაყოფილებამდე დეგრადირებული ინდივიდები არასოდეს ჩაერთვებიან.

ასევე ირონიულია ავტორის დამოკიდებულება ე. წ. „ევროპული სამოთხის“ მიმართ მომდევნო ტექსტში, რომელსაც „მოდი და ნახე სამოთხე“ ეწოდება. ლევან ინაურის პერსონაჟი გვიყვება საკუთარ მთაბეჭდილებებზე და დაუფარავად გვაუწყებს სიმართლეს: „აგია გერმანია, მიგაყნოსიებს, მარა არ გაჭმევს, წყალში ჩაგიყვანს, მარა არ დაგაღვინებს, მოგაფრებინებს, მარა არ გაკოცნინებს, ჯარმისა გდაგარჩენს, მარა თავზე გადაგარწყევს...“ (გვ. 90). ლევან ინაურს ამ ტექსტში ზუსტად აქვს გადმოცემული ახალგაზრდა პროვიციელი ქართველის მეტყველების მანერა და აზრის სიცხოველე. ამ პერსონაჟს მხევილი თვალი და გამჭრიახი გონება აქვს, იოლად შეუძლია თავის გატანა და ნანახიდან თუ განცდილიდან საერთო დასკვნის გამოტანაც.

„უნტერჰაბინგი“ ანუ სტუდენტი პროლეტარის აღსარება მდოგვის ქახანაში მომუშავე ქართველ სტუდენტზეა აგებული, რომელმაც ერთი რამ დაბეჯითებით იცის, რომ: იღბალსა და ხასიათს ვერაფერს მოჰპარავს...

ასევე, ძალიან სახალისო და გროტესკულია „სამტრედიული პასტორალი“, რომლის სათაურის ორაზროვნება მონათხრობს თავისებურ იდეურ საფუძველს უქმნის და მონათხრობს გაურკვეველობასა და ინტერესს ბოლომდე უნარჩუნებს.

ლევან ინაური „მკვლელობის საპატიო პარადოქსშიც“ კარგად იყენებს „სამტრედიული პასტორალისათვის“ დამახასიათებელი გარკვევლობის, იდეალებისა და ბოლომდე გაუთქმელობის ხერხს... დაძაბული, საშიში და ორაზროვანი დეტალებით მოყოლილ ამბავში ინსტიტუტები და მოთხროვილებები ისეთი დინამიზმით არის გადმოცემული, ამოსუნთქვის საშუალება არ ეძლევა მკითხველს და მხოლოდ ფინალში ვიგებთ, თუ რასთან გვაქვს საქმე.

ლევან ინაურის ტექსტებიდან გამოვარჩევთ „უიმედობის აუცულებლობას“. მოთხრობაში ახალგაზრდა კაცი ნიგნების მალაზიების მუდმივი სტუმრია და ასევე აქტიური მპარაჟი. დავით ქანთარას პერსონაჟის დეტალებით ავტორი ბევრ ფრთიან ფრაზას გვანვდის:

„თუ მოპარავს რამე იმსახურებს, ეს მხოლოდ ნიგნია“ (გვ. 125);

„რაკილა ვარსებობ, უნდა ვიცოდე კიდეც“ (გვ. 124);

„ვიხსნი პასუხისმგებლობას, მაფრამ ვიტომბე ღირებულებებს“ (გვ. 124);

„მეგუება ყველაზე მახვილგონივრული გზისკენ მივითითებს“ (გვ. 123);

„ადამიანები თვითდამარცხებითა და თვითგამარჯვებით უსუსურად ტკებებიან. ჯილდო კი შიზოფრენიის მედალი იქნება“ (გვ. 123);

„ზოგიერთი გამოცემას მხოლოდ თაროზე დება უყვარს, მეგობარო“ (გვ. 114).

ეს მოთხრობა შინაგანი დრამატიზმით გამოირჩევა, მოქმედება მრავალჯერ სხვადასხვა კუთხით იშლება, ცხოვრებისეული პარადოქსებიც ხელშეახლება, ავტორი მიზანმიმართულად გვიბიძგებს თავად გავისიგრძევანოთ მოვლენები და მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ:

1) მღვდელი, რომელიც მრევლის იმედია, თურმე პირველი დამნაშავეა ადამიანების გაუბედურებისა.

2) გერმანიაში ნიგნის მალაზიების მენეჯერები ქურდების მიმართ ერთობ „დამდობელნი“ არიან. ჯერჯერობით ეთანხმებიან ქართულ ანდზას — „ნიგნის ქურდი ქურდი არ არისო“.

3) ნიგნის კითხვა, როცა სპორტულ ჟინად იქცევა, თითქმის არაფრის მომტანია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლევან ინაურის მწერლობაში შინაგანი თვითგამოხატვის (კონკრეტული მიზანი) გარდა, საამქვეყნიო დილემატების (ზოგადი მიზანი) გააზრებაცაა, მის ინტერესებში ექცევა თანამედროვე ახალგაზრდების გამოწვევები, მწერლობისა და განათლების როლი ქვეყნის ცხოვრებაში და უფრო გლობალური საკითხიც, თუ როლი შეიძლება ჰქონდეს ჩვენს პოსტიმპერიულ სახელმწიფოს თანამედროვე ცილივილიზებული სამყაროში.

ლევან ინაურის პერსონაჟები განსხვავებული ხასიათის, წარმოშობის, იდეალებისა და მენტალობის მქონეები არიან. რაც მთავარია, ახალგაზრდა მწერალმა შესანიშნავად მოახერხა მთელი ეს მრავალფეროვნე-

ბა მიმზიდველი ფორმით და რეალისტური შინაარსით მოეტანა ჩვენამდე, მან შეძლო მდიდარი სამეტყველო პალიტრა აეთვისებინა და საკუთარ მხატვრულ სამყაროში პერსონაჟთა ინდივიდუალიზმი გამოეკვეთა.

ასევე მოსაწონია ირონიის მოზომილად გამოყენება, ახალი იდიომატური ერთეულების შექმნა, ალუზიურ-რემინცენციური ფრაზოლოგიზმების მოხდენილად გამოყენება, რაც ყველაზე მთავარია, თანამედროვე ქართული ყოფის კრიტიკულად გააზრება, რეალისტურად წარმოჩენა და ოსტატურად სრულყოფა. ახალგაზრდა შემოქმედი ძალიან სერიოზული, მიზანსწრაფული და განათლებულია, რაც მისი ნაწარებიდან მკაფიოდ იკვეთება და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ლიტერატურისათვის იგი ანგარიშგასაწევი პერსონა გახდება

გიორგი შონიას „ფაბრიკაცია“ აერთიანებს ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების ორ განსხვავებულ ეტაპს — რეალურს და გამოფიქრულს. რეალურია „ფაბრიკაციის“ პირველი ნაწილი, ხოლო ჰანს პრომველის სახელით მონოდებული „ლიტერატურულ მისტიფიკაცია“ წარმოადგენს. ლევან ინაურის მსგავსად, გიორგი შონიასათვისაც ირონიულია, პარადოქსების გამხატვრელება და საკუთარი პიროვნების საყოველთაო „ჩაკირკიტება“ — მთავარ სააზროვნო ბაზის წარმოადგენს.

გიორგი შონიას „ფაბრიკაცია“ დებიუტად უნდა წარმოვიდგინოთ, თუმცა ის სულაც არ ჩანს დამწყები შემოქმედი; ადრე საზოგადოებას ფსევდონიმით წარუდგა და როცა ეს მოხდა, „ტკობათა და სიამონებთა მომღერალი“ უწოდეს. შეიძლება ბევრი რამ ითქვას და დაინეროს, უფრო მეტი ილაპარაკოს და იმსჯელოს გიორგი შონიანზე, მაგრამ ერთი რამ უტყუარია — ახალგაზრდა კაცი მაძიებელი და მიზანსწრაფულია, საოცარი სიჯიუტით იკვლევს საკუთარ არსებას და ამ ძიებაში ყველაზე სასტიკო და დაუნდობელია.

გიორგი შონიას ერთი იშვიათი და საუკეთესო თვისება გამოარჩევს — თვითრიონია. საკუთარი „მე“ მისთვის ის „ახლოით განჩხრეკილი კაცია“, რომლის აზროვნების მი-მო-ქცევანი არსოდეს გამოეპარება. „საკუთარ თავთან ბრძოლა“ უშეღავათო და სასტიკია. გიორგიმ თავადაც იცის ეს და როცა ამ ბრძოლიდან განამებული, დაღლილი და სამომავლო იმედებით დაღვირთული გამოდის, ნამდვილად აქვს სიამაყის უფლება.

საინტერესოდ იკვეთება ჰანს პრომველის (გიორგი შონიას ფსევდონიმი), როგორც შემოქმედისა და პიროვნების ინტელექტუალური ფორმირების გზა. ამ პროცესის მიმდინარეობა ტექსტიდან ტექსტში უფრო ცხადი და დინამიკურია. ჰანს პრომველს პიროვნულ ინდივიდუალობას დამაჯერებლობას ანიჭებს ისეთი სახელები, როგორიცაა: ტომას ელიოტი, უოლტ იუტმენი, სკოტ გიციჯერალდი და სხვ. ამ მისტიფიკაციაში განსხეულდა გიორგი შონიას „ალტერ ეგო“ ჰანს პრომველი, როგორც ერთგვარი ნოსტალგია „ბიტნიკების“ თავაშვებულობისა და თავისუფლებისა. ახალგაზრდა ქართველი ინტელექტუალს „ჰანს პრომველობა“ საინტერესოდ უნდა ახსენებდეს „სამყაროში ყველაზე უსუსტა ადამიანმა, ჰანს პრომველმა, შევქელი ბრძოლა და გადავარჩი, რათა ვაკეთო ის, რაც მინდა, ის, რაც მჭირდება, ის, რაც შენთვის საშუალებას მაძლევს“.

გიორგი შონია ჰანს პრომველს „სამყაროში ყველაზე უსუსტ ადამიანს“ უწოდებს. გვიჩვენებს მას განმარტოებულს, გვიყვება მის კლასელებზე, გვასვენებებს შემთხვევით შეჩვენებულ პერსონებთან ურთიერთობისას, გვიყვება ჰანსის მეგობარ დონ ლამბერტზე. შესაბამისად, პოეტური მისტიფიკაცია მრავალფეროვანი პალიტრით გამოირჩევა. „ონავარი პოეტები“ ნათლად ამჩვენებენ ადამიანებში „ბედნიერების ფლუიდების ნაკლებობას“, მაგრამ ჰანს პრომველისათვის არსებობს „კომფორტის ზონა“ და „მანჰეტენზე დაკარგული“ ცდილობენ გახდნენ „ერთმანეთში დაკარგულები“, რომ მიმოივონ დედამიწაზე ჯერ კიდევ „შესაძლებელი ბედნიერება“.

ჰანს პრომველი, ამბობს: „ხშირად, როცა ვერაფერს წერ, სულაც არ ნიშნავს, რომ სათქმელი არაფერი გაქვს, უბრალოდ, საჭირო მომენტი ჯერ არ დამდგარა“ (გვ. 65).

როგორც ვხედავთ, პრავდატული და მინაზე მყარად მდგომი ინდივიდი იაზრებს „მომენტის“ მოხელთების თავისებურებას, ისიც იცის, „სათქმელს“ მთავონებასთან ერთად, დროული მოზომვაც რომ სჭირდება. სიყვარული, ქალი, მუხა, ხილვები და, აქედან გამომდინარე, გრძნობები თუ მთაბეჭდილებები, პოეტს უქმნის არ მარტო „კომფორტის ზონას“, არამედ მუხტავს მთელ მის არსებას. პოეტური „მე“ ყველა კონტექსტში იჩენს თავს:

„მე ყოველთვის მშურდა ლოურენს ფერლინგეტის, მას ყველაზე უკეთ შეეძლო ეწერა საყვარელ ქალზე. მე რე შენ გაგიცანი და მური აორთქლდა ჩემი სხეულიდან“ (გვ. 66).

„მე“-სთან არის გადაჯაჭვული სამყაროს შეცნობის ახალ-ახალი ეტაპები, გააზრება ცხოვრებისეული ბატალიების, შეფასება პიროვნული განცდებისა თუ ფილოსოფიური ყოფიერების:

„როცა ყველა კერპი დაიმსხვრა ჩემში და დაფრჩხილდა საკუთარ სხეულში მარტო, მივხვდი, რომ

ყველაფერი სწორედ მაშინ დაიწყო“ (გვ. 68).

გიორგი შონიას, როგორც ეროდიტს და ინტელექტუალს, აქვს მდიდარი ლექსიკა, ახასიათებს მკაფიო მხატვრული სახეები, ალუზიები და რემინესცენციები;

მაგ.: „ერთმანეთში დაკარგულები“; „მანჰეტენზე დაკარგული“; „აურზაურის ცალკეობა“; „მეგუება შეუძლებელია“; „ჩვენ ვინც აუხლებელია ოცნებებზე ვწახვართ“; „ვინც თავად იქცა გზად“; „წმინდა არს ჰანს პრომველი და მისი მოგზაურობა საკუთარი თავის გარშემო“, „მე ვეძებ, მაშასადამე, ვარსებობ, ვარსებობ, მაშასადამე, ვეძებ“, „მე ვუყურებ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჩემს ზემოთ, მორალურად მდგრად პრინციპებს ჩემში“ და ა. შ.

საკუთარ თავზე დაკვირვება უცხოა ფილისტრული ნატურისათვის, სამაგიეროდ პოეტი ისევ და ისევ უბრუნდება „მეს“ და სულ ახალ-ახალ დეტალებს ხდის ფარდას. ზოგჯერ ქედმაღალი და უსაზღვროდ ამაყია, ზოგჯერ ღვთისმგობელი და სკაბრეზულად მეტყველი. „ულისეს“ ავტორიც უსუსტად ამას გულისხმობდა, როცა წერდა: „გგონია, რომ საკუთარ თავს გაურბიხარ და სინამდვილეში ისევ შენ თავს ხვდები“. გიორგი შონიას (ჰანს პრომველი) პოეზიაშიც ყველაფერი ასეა — „მე“ მთავარი დაკვირვების ობიექტია, სუბიექტც „მე“.

ამბოხებამდე მისული ნეოფიტის პოზა ყველგან და ყველაფერში იჩენს თავს. სწორედ „მინი პოემა ჩემზე, შენზე, ნობელსა და, რა თქმა უნდა, ღმერთზე“ წარმოაჩენს ახალგაზრდა შემოქმედის ამბოსს რუტინული ყოფის ნინააღმდეგ, მის სწრაფვას თვითრეალიზებისა და თვითშეცნობისაკენ. უკიდურესი ალეკების ჟამს შეიძლება მიჩინოს, რომ ყველა და ყველაფერი ფარსია, რომ ჯვარცმაც პოზაა და თვალის ახვევა:

“ღმერთო! ყოველთვის მართალო და ყველა მდინარიდან მშრალად ამოსული, რა საჭირო იყო ეს ფარსი — ჯვარცმა, ყველაფერი ხომ ისედაც ცხადია“.

უახლესი მწერლობის გამოწვევი და სკაბრეზული ტონიც უკვე რუტინიანა, ასე რომ აღშფოთებისა და რისხვის ნაკადს ვერ გამოიწვევს ვერანაირი ფრაზა, თქმა თუ იდეა, სადაც მამაც, ძეც და სულწინმიდც არასათანადოდ იქნება მოხსენიებული. თანამედროვე შემოქმედის თვალსაწიერში ერთ სიბრტყეშია მოაზრებული „პოსტ-მოდერნული ღმერთი“, საკუთარი „მეც“, ფროიდიც, იუნგიც, პრემიერ-მინისტრიც, დედაც და „ლურჯი ანგელოზებიც“. ეს ასეც უნდა იყოს და გიორგი შონიას ინტელექტუალური ამბოხი ზუსტად თავსდება პოსტმოდერნისტულ აურაში.

მკითხველი, რომელსაც უყვარს მწერლობა, უყვარს ახალი და საინტერესო სამყაროების აღმოჩენა და გაცნობა, ნასიამონებები დარჩება ლევან ინაურის პროზისა და გიორგი შონიას (ჰანს პრომველი) პოეზიის გაცნობით. ორივე მათგანი ჩამოყალიბებული შემოქმედია, ორიგინალური თემებით, საინტერესო ფილოსოფიითა და მხატვრული სახე-სიმბოლოებით.



თინა ჭყვია

დაკარგულები

(აქ მოთხრობილია რეალურად მომხდარი ამბავი, მხოლოდ პიროვნებათა გვარები შეცვლილი)

ჯანო სახოკიას მაშინ გემით მოუწია მგზავრობამ. რატომღაც ასე აენყო, თორემ ისე, ჩვეულებრივად თვითმფრინავით მგზავრობდა. უკვე დაამთავრეს მან და გენო სოსელიამ სამედიცინო ინსტიტუტი იქ, ოდესაში. პროფესორ-მასწავლებლები წარჩინებულებს სიამოვნებით ტოვებდნენ სახელგანთქმულ კლინიკებში, მაგრამ ჯანომ არ ისურვა, მედგრად მოიგერია მასზე შეყვარებული ანია კლოკო, კიდევ ერთი-ორი და სანამ დიპლომები შეიცვებოდა, სოხუმში ჩამოქროლდა დედ-მამის და ნათესავ-მეგობრების მოსანახულებლად. იმათ კიდევ ეს ერთადერთი ჯანო ჰყავდათ და არც უფიქრიათ, მის შესაძლო დარჩენაზე სადმე, სხვა ქვეყანაში. გენო სოსელიას კი ბევრი არც უფიქრია, რადგან ოჯახში ორი დაოჯახებული ძმა ჰყავდა, თანაკურსელი ლიდა კორკოშკო შვირთო ცოლად და კიევი, ცოლუერთთან გაემგზავრა სამუშაოდ და საცხოვრებლად.

1993 წლის აგვისტო იწურებოდა. ჯანოს ბი-ცოლამ, მამის ბიძაშვილის ცოლმა, ნარგიზა ცირდავამ, რომელიც სოხუმის ცნობილ საავადმყოფოში მედდად მუშაობდა, ამბავი მოიტანა - ერთ-ერთი ქორწილი თბილისში გადადიოდა საცხოვრებლად და ადგილი თავისუფლდებოდა. ყველაფერი დაზუსტდა, ერთ თვეში ჩამოვიდოდა და ექიმობასაც შეუდგებოდა. დედა სიხარულით მუხლჩაუხრებლად აწყობდა ზედიზედ სუფურებს სანახავად გადმოსული ნათესავ-მეგობრებისთვის, მაგრამ ჯანოს სამი დღე რას ეყოფოდა. ორი წლის მანდარინის მოსავლით მამამ ახალ-ახალი ლურჯი ჯიპი ყიდა. ჩამოსვლიდან მესამე დღეს, უკვე გამგზავრების წინ, მამის ბიძაშვილმა, ჟორა ბიძიამ, დღეს შენი „სოფერი“ ვიქნები, ჯანოო, და ლურჯად მოლივლივ მანქანაში ჩასხდნენ. თეთრი ოლეანდრების სიქათქათიდან ნელა გამოსრიალდნენ. გზად ვილაყ თინეიჯერებმა, ნახევრად შიშველმა ბრინჯაოსფრად გარუჯულმა გოგონებმა ხელი დაუქნეს.

მომწვანო-მოლურჯო ზღვა იდგა. რატომღაც ჩუმად იყო, არც ტალღები ეხეთქებოდნენ ნაპირს, მზეს დაესაკუთრებინა მთელი სანაპირო ზოლი, აბრწყინებდა და აციცმებდა ოქროსფრად მთელ სანაპიროს. ჟორამ გაიცინა, ესენი ტურისტები არიან, თორემ ჩვენებს სად სცალიათ ახლა მლიაფზე გამოსასვლელად. ასეც იყო. ადგილობრივები ის-ის იყო ოჯახებში ბრუნდებოდნენ მთავრობის მოწოდების თანახმად. ყველა, როგორც ერთი ჩამობრუნდა აფხაზეთში. სოხუმში კი სკოლებს, სახლებს, ეზოებს ალაგებდნენ და სასაქონლოდ არავის ეცალა. უცებ თავისი სკოლაც გამოიწვინა. მისი საყვარელი ციკო მასწავლებელი შესასვლელთან იდგა, ბებერი კედარის ძირში, ხელში ცოცხი ეჭირა და ორ უფროსკლასელ ბიჭს ღიმილით ესაუბრებოდა. ჟორამ გადმოხედა, ციკო ისევ ისეთიაო. ჯანომ თავი დაუქნია და ძალიან მოუნდა უკვე ხანში შესული ქართულის პედაგოგის მოფერება, მაგრამ დრო ხელში ადნებოდა. მერე ნავსადგურთან არმისულებს მამიდა ლიზა შემოხვდა. ხელში სარეცხის ფხვნილი ეჭირა და დამახასიათებელი სიმშვიდით უსმენდა ვილაყ ახალგაზრდა, მწითურფიანი გოგოს. ჯანო მანქანიდან გადმოიწვინა და მერე და იცნო თანაკლასელი ლიდა ჭიჭინაძე. გოგომ გაუღიმა. დიდი ხნის ნაცნობი სიტბო იგრძნო. მას ბავშვობიდან უყვარდა ბიჭი. ღმერთო, რა ლამაზი იყო. ღია ჟანგისფერი ნიწკლებიც როგორ უხდებოდა ლოყის თავებზე, ხოლო თვალები? თვალები შაბანისფრად უბრწყინავდა და ჩალისფერი ნამწვამებიდან სიყვარულს აფრქვევდა. გოგოსაც სახეებიანი გამჭვირვალე პარკი ეჭირა ხელში. ჟორამ მიაძახა, აბა, თქვენ იცით, გადარეცხეთ მთელი სოხუმიო და თავისივე ხუმრობაზე თვითონვე ახარხარდა.

- ხალხო, მაპატიეთ, ერთ თვეში ჩამოვალ და ყველას გნახავთ, - გამოსაძახა ჯანომ და ორივე ხელთ კოცნები გაუგზავნა. - გემზე ავიანდებ, ლალი, არ გეწყინოს, ეგ, ხომ გახსოვს, სულ ასე ერთი წუთით ასწრებდა გაკვეთილზე შემოსვლას, - გაუღიმა ლიზა მამიდად და მოუბოდიშა გოგონას. - არა უშავს, ლიზა მასწავლებლო, არა უშავს, - იღიმიოდა ლალი ჭიჭინაძე, სინამდვილეში კი, ჯანოსთან შესახვედრად გამოვიდა ნავსადგურზე. ...და აი, უკვე გემიდან ბოლო წინადადება ჩამოსძახა ჟორა ბიძიას: - აბა, თქვენ იცით, მიხედეთ ერთმანეთს, მე ერთ თვეში აქ ვარ!

ჟორამ ჯიბეზე ხელი მოიფათურა, სიგარეტს ეძებდა, ვერ იპოვა. ჯანომ უცებ „ქემელი“ ამოიღო ჯიბიდან და უკვე შუა კიბიდან ესროლა, იმანაც ცქციტად დაიჭირა, მერე მარჯვენა მუხლზე ჩამოისვა ხელი და ცალი თვალი ტკივილისგან მოჭუტა.

- აბა, დიდი მადლობა, ჟორა ბიძია, და რომ ჩამოვალ, გიმკურნალებ მაგ მუხლზე.

ჟორამ რაღაცა ასძახა, მერე გაუღიმა, მაგრამ ზღვის ხმაურში ვერ გაარჩია. გემი ნავსადგურიდან გავიდა. მერე, როცა იხსენებდა ბოლო დღეს, მხოლოდ და მხოლოდ ქართულის მასწავლებელი, ციკო ზუალია დაუდგებოდა თვალწინ მარჯვენა პროფილით, ლურჯი თეთრნიწკლებიანი კაბით და ახალ-ახალი ცოცხით ხელში. ლალი ჭიჭინაძეს კი ჟანგისფერი თმები უფარავდა უღამაზეს თვალებს (სანაპიროზე მაშინ ნიაგი ქროდა), სხვა ყველაფერი ბუნდოვნად ახსოვდა. რატომ, რატომ? - იმეორებდა მერე და მერე ფიქრებში, რატომ არ ახსოვდა დედის უკანასკნელი სიტყვები, ჟორას, მანქანის წინ ერთი ტონით დაბლა რომ ჩაულაპარაკა, ზედ შუშებჩანეულ ფანჯარასთან. მამას ჭიჭიკარში ჩანთა გაეჭყედა და იღიმიოდა, თან რაღაცას ამბობდა. ნეტა, რა თქვა? რა შეიძლებოდა ეთქვა?.. და ნერვები აწყვდებოდა. ამ დროს განყოფილების მედლები ჩუმად გაეცლენ ბოდნენ ხოლმე და სევიანად გადახედვდნენ ერთმანეთს. ჯანო სახოკია კი დიდხანს, დიდხანს დაეხეტებოდა სოხუმის ქუჩებში და ვერავის პოულობდა, ვერც ფიქრებში და ისე ხომ, ვერაფრით მიაკვლია ისეთს, რომ დედ-მამის ამბავი ყურმოკვრით მაინც სცოდნოდა. უკვე თხუთმეტი წელი გასულიყო, თხუთმეტი საშინელი წელი.

ერთ დღეს კი სასწრაფო დახმარების მანქანამ პორტიდან ახალგაზრდა, ოცდაერთი წლის მეზღვაური გამოიყვანა კლინიკაში. ბათუმის კატარლიდან იყო. ჩუტყვავილა ჰქონდა ბიჭს და მალალი სიტყვა. ჯანომ, ბათუმი რომ გაიგო, მიძღებში ელვის სისწრაფით შევარდა, დახედა თუ არა, გამოცდა, ისე ჰგავდა ჟორა ბიძიას. მეზღვაურს ტემპერატურა 39 ესინჯებოდა. ძილში ხმამალა აბოძებდა და ძლივს აკავებდნენ ლოგინში. ჯანომ ვერ მოითმინა და ქართულად ჰკითხა:

- რა გვარი ხარ, ბიჭო, რა გვარი ხარ? - და ზოლიანი მისური პატარა ჩვილი ბავშვივით სათუთად გაუსწორა კისერთან. მეზღვაურმა თვალი გაახილა და ჩუმად სახოკიას ჩაიჩურჩულა. ჯანო მთელი არსებით გრძობდა, რომ ასეთ პასუხს მიიღებდა. ბიჭს ნერვებზე დააჯავა ჩუტყვავილა, როგორც ეს დამახასიათებელია მოზრდილ ასაკში. ყოველდღე აკითხავდა, მაგრამ უკეთესობა არ ეტყობოდა. ერთ კვირაში, როგორც იქნა, ტემპერატურამ დაუწია, მაგრამ საშინელი ნერვული აშლილობა თავს არ ანებებდა. ჯანო ყოველდღე პალატაში ეჯდა, ხან დამამშვიდებელს შეუცვლიდა, თან ესაუბრებოდა და ამშვიდებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოკეთდა ბიჭი და ერთ დღესაც ის შიშნარევი კითხვა დაუსვა, რომელიც თხუთმეტი წელია აწვავდა და ტანჯავდა. ბიჭმა ასეთი პასუხი გასცა:

- თქვენ გეხსომებათ, დედაჩემს ხელში ვეჭირე, ოთხი წლის ვიყავი. მამაჩემს ჟორა ბაბუასთან მიფუყვანივართ და თვითონ სანადირო თოფით ომში წასულა, რაღა წასულა, ომში ვიყავით და ის იყო... სოფელი ალყაში მოუქცევიათ. ჟორა ბაბუას მოუხერხებია, ტრასაზე გასულა და ავტობუსზე აფუყვანივართ. სულ ორმოცი სული მჯდარა, „სოფერიც“ და ავტობუსიც ბათუმის ყოფილა და როგორღაც ბათუმშიც ჩავსულვართ. ერთ თვეში მამაჩემმა მოგვეტანა, რადგან ბაბუასგან იცოდა, საითაც წავედით. მან კი ასეთი ამბავი მოიტანა

- ჟორა ბაბუა თქვენებთან ასულა. გზად ციმინტების ეზო უნდა გაველო. უცებ თვის ზვინებსა და მანდარინის ხეებს შორის დამალულ ლუნა დეიდას დაუნახავს. ვერ მოუთმენია შიშისგან გულგახეთქილ კარის მეზობელს და სამალავიდან გაუფრთხილებია, ორი საათი წინ ჩაიარეს შეიარაღებულმა აფხაზმა „ბოვიეკებმა“, სროლები ახლახანს შეწყდა და არ ნახვიდე, გათენებას დაველოდითო. ჟორა ბაბუას არ დაუჯერებია ქალისთვის. მერე, როგორც იყო გათენებულა. ლუნა დეიდასაც გაუბედავს და ასულა თქვენებთან. - ბიჭმა ღრმად ამოსუნთქა. - ჟორა ბაბუა ეზოში ესვენა, თურმე, შუბლზე ნატყვიარით, ხოლო თქვენები წინა ოთახში ზენრებით შეკრულები და დაცხრილულები ერთმანეთის გვერდზე იწვნენ. მამაჩემი იმ დროს მისულა, როცა ლუნა დეიდა და იმ დღეს საკვირველად გადარჩენილი მეზობელი, ვასო კვარაცხელია საფლავებს თხრიდნენ. მამას დანახვაზე მოულოდნელობისგან სანყალ ქალს გული შეწუხებია და ძლივს მოუბრუნებია. მერე სამივე ეზოში დიდი მაგნოლიის ძირში დაუმარხავთ. ვასო კვარაცხელიას მოუფიქრებია და სამი შუშის ქილა გამოუტანია, ქაღალდზე სახელი და გვარები დაუნერია და საფლავებზე დაუფლოდა. ოდესმე ამოცნობა არ გასჭირვებოდათ.

ბიჭმა სათქმელი დაამთავრა, შვებით ამოისუნთქა, თვალები დახუჭა და ასე თვალდახუჭულმა თქვა:

- კატარლაზე რომ ავიდოდი, დედაჩემმა გამაცილა და ასე დამაბარა, ოდესაში რომ ჩახვალ, ჯანო სახოკია იკითხე საავადმყოფოებში, ექიმია, აბა, სხვაგან სად წავიდოდაო. მართლა სადღა უნდა წასულიყო ჯანო სახოკია სხვაგან.



ვეფხვია სამსონაძე

დავით ალმაჟინაძეს!

მეფეთმეფეო, სწორუპოვარო, უკვდავებისთვის სხივმოფენილო, სიამაყე და ღირსება ქვეყნის, სინდის-ნამუსო - გადარჩენილო, მთავარსარდალო საქართველოსი, და ვაჟაკობავ - ცაღანვდენილო, ჯვრისა და ხატის, სარწმუნოების, რაინდო, ცრემლად გადმოდენილო, წარჩინებულო - სამშობლოს მცველად, სუნთქვად წარსულის - კვლავ დარჩენილო, ხალხის მსახურო, მტრისა მდევნელო, მოლაღატის მკერდს - ხმალმიბჯენილო, თითქოს მოკვდავო და მიწიერო, სიმართლის გზისგან - არაცდენილო, სინანულისგან გულმონურულო, გმირობის ჰიმნად გადაქცეულო, მეფეთმეფეო, ბრძენო ქართველო, შლეგი დრო-ჟამის ჟამთაღმწერელო, ტკივილო ქვეყნის და ფიქრთა სრბოლავ, ზრუნვით და რწმენით ღამის მთეველო, გელათში საფლავს ქედმოდრეკილთა, დამლოცველო და მირონცხებულო, უფლისგან ძალა მონიჭებულო, ზნეობით მკვიდრო, არდაცემულო, სული უკვდავი ნუ მოისვენებს, დაბრუნდი როგორც ქვეყნის რჩეული, ხსნად საქართველოს ისევ ჭირდები, გადაარჩინე ერი - სნეული!

ვაზის მტევანო, მაღლი უფლისა, ყოველ მარცვალში შემოგრჩენია, სხივებით მზისა გაბრწყინებულო, ლოცვად, ცრემლების გადმომდენია, ვაზის მტევანო, ქართველის გულო, სუნთქვად, ღირსებად, რაც დაგვრჩენია, გლეხკაცის დარდო, ურყევი რწმენა, ამ სიდიადის გადამრჩენია, ამღერებულო ჰიმნად სიცოცხლის, ყოველ სიმდიდრეს რომ მირჩენია, ვაზის მტევანო, ნეტარება ხარ, აჩეხილიც რომ ალგვიდგენია, ფესვებდალოცვილს გეამბორები, სხივი ზეციდან გადმოგფენია, ვაზის მტევანო, სიძლიერე ხარ, ლხინი, მირონი, რაიც ჩვენია, მირონცხება და მონინება ხარ, ზეციურ ჰანგის გადმომდენია, ვაზის მტევანო, სიძლიერე ხარ, ქართველის შენ ხარ უტყვი გენია!

რა დამიკარგავს, რა მიპოვნია, სულში ქაოსი, თუ ნეტარება, შემოგლალადებ ღმერთო მაღალო, გულში სიაცე ნუ მეკარება, დამიმთავრდება სიცოცხლის ჟინი, მზის სხივი თუკი არ მეყვარება, შემომეცვითა წლები ერთბაშად, თუმც, სიყვარული არ მეზარება, რა მიპოვნია, რა დამიკარგავს, ფიქრი მოზღვავედა ფოთოლთ ჯარებად, რწმენა უკვდავი რომ მაძლიერებს, რბოლა დღეების არ მემწარება, ზეიმი გულში მომმადლე ღმერთო, თუნდ კიდევ ერთი გამოდარება, არ ვნანობ რამე თუ დამიკარგავს, სიცოცხლე მიმღერს ცისკრის ზარებად!

გვედრი, უფალო!

გვედრი უფალო, უკეთურისკენ, გეზი არასდროს არ შევიცვალო, გულში სიკეთით, რწმენით ვიარო, თაბორს ავმალდე, ფერი ვიცვალო, ის, რაც კი მწამდა, ბოლომდე მწვამდა, სამოთხედ მიწა გადამიშალო, მუქი ფერები გამიზაფხულდეს, ბოროტებისთვის ვერ მოვიცალო, გვედრი უფალო, ისე მატარო, ტაძრამდე მისვლით თუნდაც ვინვალო, მტრობამ და შურმა თავისი რისხვით ხელი ვერასდროს, ვერ შემეშალოს, გვედრი უფალო - სისხლი და მზერა, რომ არასოდეს არ ამიმღერო, ჭაობად ყოფა არ ტრიალებდეს, რომ ამ მორევმა არ ჩამითრიოს, გვედრი უფალო - საყრდენად დამრჩე, მოკრძალებით გთხოვ არ გამეცალო, გულში ვატარებ ნატვრას სანუკვარს, იმედად, ხატად არ წამეშალო, გვედრი უფალო, უკეთურისკენ, გეზი არასდროს არ შევიცვალო, ფუჭი სიცოცხლე სულ ამარიდო, ბედნიერმა რომ ფერი ვიცვალო...

ვაზის მტევანო, მაღლი უფლისა, ყოველ მარცვალში შემოგრჩენია, სხივებით მზისა გაბრწყინებულო, ლოცვად, ცრემლების გადმომდენია, ვაზის მტევანო, ქართველის გულო, სუნთქვად, ღირსებად, რაც დაგვრჩენია, გლეხკაცის დარდო, ურყევი რწმენა, ამ სიდიადის გადამრჩენია, ამღერებულო ჰიმნად სიცოცხლის, ყოველ სიმდიდრეს რომ მირჩენია, ვაზის მტევანო, ნეტარება ხარ, აჩეხილიც რომ ალგვიდგენია, ფესვებდალოცვილს გეამბორები, სხივი ზეციდან გადმოგფენია, ვაზის მტევანო, სიძლიერე ხარ, ლხინი, მირონი, რაიც ჩვენია, მირონცხება და მონინება ხარ, ზეციურ ჰანგის გადმომდენია, ვაზის მტევანო, სიძლიერე ხარ, ქართველის შენ ხარ უტყვი გენია!

არტურ სულამანიძე

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი
(ნამდვილი ამბავი)

„გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი!
ბიჭებო“-თქო,
აღმომხდა
მაშინ,
ორმოცდაცხრამეტს,
ვიტრინასთან,
იანვრის
რვაში.
მთალამპიონი
ცხოვრებაში
პირველად
ვნახე,
ეცრემლებოდა
რუსთაველის,
მოხუცის
სახეს.
მოგვიახლოვდა,
მაკოცა და...
გაქვავდა
ფიქრად...
„გალაკტიონი?
ძამიკებო,
არა“-ო,
გვითხრა.
მოდი ახლა და
შევადართო
შოთასო,
ჩვენსას,
ამას რიონიც
გვიღალადებს,
ბერსა და
ერსაც:
უცილობელად
ჩვენი სჯობსო
მიკვლეულს
ახალს,
ალბათ მიტომ რომ
მას ასმევდნენ
ისრაელს
სხვა წყალს.
დაგვემშვიდობა...
არ ველოდი
რად ასე
სწრაფად?
გალაკტიონის
ხილვა დამრჩა
მე ცოცხალ
ზღაპრად

დ რ ო ი ს დ ა რ დ ი

შავდალალ
ქ ო რ ფ ა
ქ ა ლ ის ხ მ ა,
კლდეზე ასხლეთილ
ქ ვ ა ს ა ვ ი თ, ა ლ მ ა ვ ა ლ მ ო თ ქ მ ა დ
გ ა ის მ ა -
ბ ე დ ზ ე “ ა ც დ ე ნ ი თ ”
ჩ ა ნ ს ა ვ ი ...
დაბრკოლებათა
დალაზვრა?
დ ი დ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ის
ხ ა რ კ ი ა !
გ ა მჭ ო ლ ვ ნ ე ბ ა თ ა
გ ა დ ა ხ რ ა ?
“ გ მ ი რ ს ” მ ი რ ა უ ს უ ქ მ ნ ის -

ცხრა კია...
კაცობის სულის
ს არ ქ ვ ე ლ ი,
პოეზიისა მადლია...
ავობის, ფუჭის
გზამსვლელი,
დროების დილის
დარდია!

ა ს ა კ ი

ღვინოსავით
მეკიდება
ღვთისმოსავი
ასაკი,
ღინგოსავით
მელრინება,
ხვითოს მაცლის,
მასა კი...
წინ მაქვს დიდთან
შერკინება,
პოემა და...
“ცრუ რამე”.
დილას ვითარ
მელვიძება?
ტორებს მადგამს
მ უ ზ ა მე!

ქ ა მ ის ბ ო რ ბ ა ლ ი

პოლიტი-
კანებმა
ხომ ტვინი
წაიღეს...
ხალხისთვის
რაც თესეს?
სულ თვითონ
აიღეს!
მარადის
ვალი აქვს
მოკალმეს
ცხოველი—
ეჭებდეს,
ჰპოვებდეს
სწორ გზასა
ყოველის!...
სტალინი?
დ ი დ ი ა !...
დ ი დ ი ა
სპილოცა...
მწერლებს ფეხს
ადგამდა...
ხალხმა ით-
მინოსა?!
ვარგოდა
შ ო თ ა და...
დ ა ვ ი თ ი,
თ ა მ ა რ ი...
ჩვენ? მაინც
არ აგვცდა
ქარიზმა
ქამარი.
მივმართოთ
წარსულთა,
უკვდავთა
მკვდარ სულთა...

შოთა ლეჟავა

სოფელი, ჩემი სოფელი

სოფელი, ჩემი სოფელი,
ვიცი, რომ დედას მიტირებს,
ვტიროდი, ვტირი, ვტირებ,
ნეტავი, მე ვინ მიტირებს.
და მე „ძე“ ვარ ქართულ მიწის,
საქართველო დამიტირებს,
ვინ გამითხრის ნეტავ საფლავს,
ყვავ-ყორნები დამიტირებს.
მიწას არავინ დამაყრის,
საფლავს არავინ გამითხრის,
ზეცა გაშავდა, ყრანტალებენ
ეს ყვავ-ყორნების ხმა მესმის.

დაღამებული საქართველო

წარსული დაულამბავი,
გვითხარი, შოთა, ამბავი,
როგორია ახლანდელი
ვითომ ლამბული ამბავი.
ეს საუკუნე გვიყვება
იმ საუკუნის ამბავსა,
მიისაკუთრებს თავისთვის
შენგან ისწავლის ლამბავსა.
ისე გაკერავს, ვერ იცნობ
იმ შენს დაღამებულ ამბავსა,
თვითონ მოვასწროთ გაკერვა
ჩვენი წარსულის ამბისა.
იცოდე დაიკანრება
ენა მონაყოლი ამბისა.
გამგრძელებელი წარსულის
არვინ იქნება ლამბვისა.

დედამინა ავიკიდე
ზურგზე ბარგი-ბარხანით.

პოლიტიკა ვერა და ვერ ამოვიგდე
ტვინიდან, ლომ-ვეფხვებისა და
არწივების ბუდე ბუნაგში დაბადებულს
სჯობს ისევ ბუდე-ბუნაგში დავბრუნდე.

სიცოცხლე შენი თავდავინყება
და სიკვდილი კი არ დავინყება,
სიკვდილის შემდეგ, შოთა, ხომ
შენი სიცოცხლე იწყება.

სოფელ შუამთიდან მოვედი,
მე სხვა სოფელში მივალ.

რუსეთიდან, ჩემო შოთა,
ნულარაფერს ნულარ ელი,
გქონდეს შენი მუჭა მიწა,
მიწა გულზე დასაყრელი.

თუ გეტყვიან მუჭა მიწა,
არა შენი სამყოფელი,
არა ვარ შენი მე ძმა,
არა ვარ შენი გამყოფელი.
ყველას უნდა კარგი მიწა
იყოს მისი სამყოფელი.

ნუ გავხდებით დაუნები
და ნუ გავდაუნდებით,
ნუ გავშტერდ-გამოვშტერდებით,
ნუ დავყრუვდ-დავმუნჯდებით.

გკნავივართ თვალუხეღელნი,
როგორც კატის კნუტებივით,
არ გვინდა ჩვენ მოფერება
ძაღლის ქაცუნ კუდევივით.

რომ მეპოვნა სიყვარული
მიწა ვქექე, სიტყვა ვჭედე,
სიყვარულის ტყვია ვნახე,
უცებ შუბლში მივიჭედე.

დაბრუნდი, შოთა, ჩვენს დროში,
ნუ დადიხარ შენ სხვის დროში.

რუსთაველზე ჩავიქროლე,
როგორც ქვენა ქარი,
რატომ ველარ შეგამჩნიე
ჭადრების ქვეშ მდგარი.

სოფელი კი სოფლად რჩება,
არასოდეს გარდიქმნება,
ისევ მოვა გაზაფხული
და მინდვრები გადაიხვნება.
და მერცხლები გაზაფხულზე
ჭიკ-ჭიკ ჭიკ-ჭიკ მოფრინდება,
ამღერდება კარ-მიდამო,
მინდორ-ველი გამწვანდება.
„შენ ხარ ვენახის“ ქვევრები
ყურძნის წვენით აივსება,
საწნახელში ყურძნის წვენი
დამაჭრდება, დაღვინდება.
ისევ მოვა გაზაფხული
და მინდვრები გადაიხვნება,
ყრუ-მუნჯი და ცრუ სოფელი
არასოდეს გარდიქმნება.
სოფლები დედამინაზე
ყრუ-მუნჯ-ცრუ და ბრძენი რჩება.

აქეთ ვეცი, იქით ვეცი,
მაინც აღარ წაივქეცი,
ამ ცხოვრებას, რომ იცოდე,
მაინც ველარ გავიქეცი.

დალი კახიანი

დაემხო ჩემი სამშობლო

ჩემი პუბლიცისტური წერილის სათაურად გამომაქვეს ამონარიდი გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,

გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“...

თუ მავანს გააღიზიანებს დასათაურების ერთგვარად პათეტური ჟღერადობა, შეფასებისას ნუ აჩქარდება, ვინაიდან ფურცმარად ნაკური გარემო და გარემოება, ე.წ. „პოტიომკინის სოფელს“ ემსგავსება, რაც ჩვენთვის არ არის მომგებელი. რაც უფრო დროულად გავითავისებთ არსებულ სინამდვილეს, სწორ დასკვნებს გამოვიტანთ და სწორ ორიენტირებს დავისახავთ, მით უკეთესი ჩვენთვის.

მარადიული ღირებულებები, რომელნიც კაცობრიობის მოდგმის საფუძველთა საფუძველია, დღეს ჩრდილო მოექცა და ფსევდო-ფასეულობებით ჩანაცვლდა. მასონურ-ბოლშევიკური დოქტრინების თანახმად, სამშობლოს სიყვარული ერთგვარად ცნებას მონყვევით ადამიანი სულიერი დეგრადაციისთვის არის განწირული. შედეგად ვლუბლობით დეზორიენტირებულ, ფსევდო-ფასეულობებით ზურგგამაგრებულ თაობას, გლობალიზირებული მსოფლიო გამოწარჩევს, რომელიც აღარ ინდობს არც ბუნებას და არც საკუთარ თავს, რაც ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის – მწერლის, მხატვრის და პედაგოგ-მეცნიერისთვის მეტად მგრძობიარე თემაა. განათლებისა და კულტურის სამინისტროები თავს ვერ ართმევენ თავიანთ ვალდებულებებს და მხოლოდ ნომინალურ სამთავრობო სტრუქტურებად არიან ქცეული. არც ერთი ეროვნულად ფასეულობრივი პროექტი არ ხორციელდება. ქართველი მწერლები ლამის უკვე ოცდაათი წელია მოღვაწეობენ ადამიანური ღირებულებისთვის შეუსაბამო, დისკრიმინირებულ პირობებში, ყოველგვარი ანაზღაურების და ელემენტარული ყურადღების გარეშე. (ამას როგორ აკადრებენ ქართული მწერლობის შერყენის სახელგანთქმულ ლიბერტინაჟული სულისკვეთების მატარებელ მომწერლო ელემენტებს, რომლებმაც აზრისა და სიტყვის სარეველები გაამდიდრეს ლიტერატურა, რომელიც ქართული წიგნობის რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი „ლიტერატურულ კოლოებს“ უწოდებდა), სულ ახლახანს გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში ჩატარდა წიგნის ფესტივალი, რომელზეც მინვესტიციები იყვნენ ქართველი მწერლები. მათ შორის ლიბერტინაჟული სულის კვეთების მატარებელი (ვაი მწერლები), რომლებიც თურმე ყოფილან ქართული მწერლობის სახე. მაგალითად, ისეთები როგორც გახლავთ პაატა შამუგია, რომელმაც ქართული წიგნობის „ხელოვნებასაგაგმანებელი“ მარგალიტებით გაამდიდრა.

ფალოსისადმი მიძღვნილ მის ეგრეთწოდებულ ერთ-ერთ ლექსში, წარმოდგენილია ამ ორგანოსათვის თუ უფრო მეტი შესატყვისი. კახურად თუ ვიტყვი, ვას, ბიჭოს! მესალმინი ქართული ენა გენიტალიების კუთხითაც ამ ზომამდე ბარაქიანი თუ იყო, ნამდვილად ვერ წარმოედგენდი, გირჩევთ თქვენც გაეცნათ და კიდევ, ენათმეცნიერებსაც ვურჩევ ხელიდან არ გაუშვან ეს აღმოჩენა და ქართულ სინონიმთა ლექსიკონი ახალი მონაპოვრებით გაამდიდრონ. ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟას, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას ქვეყანაში, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეროვნული ცნობიერების შერყენა და ენის კინინზაცია - გნომიზაცია. ღმერთო შენ დაგვიცავი.

ლამის წელიწადში ორჯერ ხდება მთავრობის კაბინეტის განახლება და ეს ყველაფერი მხოლოდ თვალის ახვევია. სტრუქტურულ ცვლილებებს ხილული შედეგი არ მოაქვს, შედეგად ვლუბლობით გამდიდრების მსურველთა ახალი ნაკადის შემოდინებას. როგორც ჟანგონულად იტყვიან, კვლავ მიდის ხალხის დაბოლება. უზედურება იმაშია, რომ პატრონობა ატროფირებულ რუდომენტად ქცეულა. არ ველოდი, თუ სააკაშვილის ეპოქა ლამის შეუცვლელად გაგრძელდებოდა განსაკუთრებით კულტურის სფეროში.

თითქმის ოცდაათი წელია ქვეყანა ამოუსვლელ ლაფში ჩაეფლო. განუკითხაობის ყველა რეკორდი მოხსნილია. იმპერიის ნანგრევებში მოყოლილი, ჯერ კიდევ ეროვნული ალტერნატივის ეიფორიით მოცული, ქვეყნის წიაღებიდან ამოტივტივდა ჯოჯოხეთური ლექსი უზენეურობისა, მანკიერი ნადილები, რომელიც ვით მაგმა ნალექებით მუქურება მარადიულ მცენებებს და ცნებებს, ასე ხდება როცა ირლენდის ერთი მოცემულობა და უნდა ჩამოყალიბდეს მეორე. ისტორია ამის არა ერთ მაგალითს იცნობს. მახსენდება შესანიშნავი რუსი მწერლის, ივან ბუნინის „დანყვლილი დღეები“, რომელიც ლამის ერთი-ერ-

თუ მაგონებს იმ ვითარებას, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა 90-იან წლებში. სცენარი ყოველთვის ერთი, საყოველთაო არეულობით ზურგგამაგრებული ფსევდო პატრიოტები, ნაირგვარი ჯურის ნაძირლები, სამთავრობო ბერკეტებს უუფლებიან და სოციალური მიზნებისთვის გათვლილ სახელმწიფო ხაზინას ითვისებენ და ეპატრონებიან, ქმნიან ბანკებს, რომლებიც სისხლს ნოვენ მოსახლეობას, ეს პროცესები დღემდე გრძელდება, იფლანგება მილიონები, პასუხს კი არავენ აგებს. მრავალი ბურჟუაზი მოკლული ფინანსური მაქინაციები გამოუძიებელია (ისევე როგორც თვალსაჩინო პიროვნებების დაკვეთილი მკვლელობები), ერთ-ერთი ასეთი განუკითხავი საკითხია, თუ რა ბედი ეწია, მრავალი ეროვნულ-საქველ-მოქმედო პუნქტით გამყარებულ, მერაბ კოსტავას-საადგილმამულო ფონდს, რომელიც დაფუძნდა 1989 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიზანი იყო 1987 წელს აჭარასა და სვანეთში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად „დაზარალებული“ მოსახლეობის დახმარება (მასალა იხილეთ გაზეთ „ქრონიკა“ 2 (87) 20.01 - 26.01.2015 წ.). ასევე, დღემდე გამოუძიებელია, სად გაქრა და ვის ვიბეში დაიღწია 90-იან წლებში მოსახლეობის წლობით ნაგროვები ანაბრები, მათი მიმოივსებლები დღეს ხომ „წარმატებული“ ბიზნესმენები და სახელმწიფო მოხელეები არიან, ერთი მთავრობიდან მეორე მთავრობაში უპრობლემოდ გადაბარებული. ეს არის ჩვენი ნაცნობი თავისუფლება და დემოკრატია? ეროვნული თავისუფლება ჩვენ ვერ მოვიპოვეთ (ყველა ქვეყანა ჩვენს ტერიტორიაზე უპრეტენზიო აცხადებს), ოღონდ ეგ არის, რომ ავგთავისუფლებულვარს პატიოსნებისგან, სინდის-ნამუსისგან, პასუხისმგებლობისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულებისგან, მცნებების და ცნებების აღრევი (მარადიული შექსპირული თემა), რის შედეგადაც მივიღეთ ის, რომ ჯერჯერობით სახეზე გვაქვს მრავალი - დე - ანუ უკუსვლა, წარმატებით მიმდინარეობს ქვეყნის პროფანაცია, დეგენერაცია, დეგრადაცია, ლიბერტინაჟინაცია, პედერასტიზაცია, დეიდოლოგიზაცია, ინდოევრონტიზაცია და დეპატრიოტიზაცია.

რა ასეთი უნიათობის სენი შეეყარა ჩვენს მთავრობებს, ორ დამანგრეველი ომი გადავიტანეთ ისტორიის მოკლე მონაკვეთში და ევროკავშირის სხდომებზე ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებს აღარც არავინ ახსენებს. ეგ კი არაა, მცოცავი ოკუპაცია არა თუ ოკდება, დღითი დღე ძალას იკრებს და მოსახლეობის კარ-მიდამოს იკავებს, სახლში დაშლული და სხვა ადგილის ვადაცხანეთო. ვის-მეს ამაგარი რამ გაუფიქრია? მთავრობის პატივდებული გვამები, ქათმის სიბრძავეს არჩევნ და ლამის თხუნელას სორში ჩაქვრენ, ხოლო ჩვენი „კეთილისმყოფელი“ გაეროს დამკვირვებლები დამოუკიდებელი ელჩები დაშტერებულები კვლავ და კვლავ შემფოთობას გამოხატავენ და იზიარებენ ჩვენს მწუხარებას. ჩვენ ისინი პანაშვიდზე არ მოგვიწვევია, მათგან ქმედით ღონისძიებებს მოველოდით და კვლავ დაერჩით განხილვებები და მარტონი გველუშაპის წინაშე, ისევე, როგორც რამოდენიმე საუკუნის წინ იწვინა განხილება და აბუჩად ადგება ვერსალის კარს ხელეულება სულხან-საბაო. როგორც ჭაბუა აბრეჯიბო მერძანა, ჩვენ თბობი ერთ ვართ და საზოგადოებრივი ქვეყნებიც არ არსებობენ, არსებობს სახელმწიფოების ცვალებადი ინტერესები, ეს დრომ გვიჩვენა, საბჭოთა სივრცეში გაერთიანებულმა მოძმე ერებმა, როგორც კი ვითარება არიან, უმად გამოაჩინეს დამალული ბრჭყალება და ჩვენი ტერიტორიაზე შემოხიზნული ერები, მოსისხლე მტრებად გვექცნენ. თუმც ხელს ჩვენს იმერენ, სინამდვილემ გენოციდი თავად მოგვიწყვეს.

ერთი რამ ნუ გამოგვრჩება მხედველობიდან! - თუ რუსი ოკუპანტია, ნურც სხვების მიმართ ჩავგარდებით ხიბლში, ოკეანისგაღმელ სიონისტ მასონებსაც შორსნასული (ოღონდ დაფარული) მიზნები ამოძრავებთ ჩვენი ქვეყნის მიმართ, დემოკრატიის ნიღბით, აქენ დაღელისის დამანგრეველ დოქტრინას ახორციელებენ, განათლების და კულტურის მოშლით, ოჯახურ-ზნეობრივი საფუძვლების რღვევით, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის იავარქმის, შორი მაყურებლის პოზიციიდან მზერით. ჩვენი საჯიბე ბიჭები კი სხვათა ომში გაამწესეს მამლუქებად, უკან ცინკის კუმბები გვიბრუნდება. აი, რისთვის ყყოფილვართ მათთვის საჭირონი. რაღაც იგავში უწვდომელი მორსმჭერტელობა და დიპლომატია გვეჭირება, რომ ამ ორნობრივი განსაცდელისგან დავიძვინოთ თავი, რისი იმედიც მე არ მაქვს.

დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენი ქვეყნის ბედუკულობით მდგომარეობას, ქვეყანა, რომელიც დასაბამიდან დღემდე, ხმაღს ქარქაშში ვერ აგებდა და ყოველ 19 წელიწადში ერთხელ, გამანადგურებელ თავდასხმებს იგერიებდა მუსულმან დამპყრობთაგან და აღმოსავლელი ტირანების კესუეცვლელი სამზინე იყო, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, არ დაუკარგავს იმდენი ტერიტორია, რამდენიც დაკარგა ერთმორწმუნე რუსეთთან ქვეშევრდომობის პირობებში. ხოლო უმედეგომ, ეროვნული მემკობის შესანარჩუნებლად შეწყვედა გაჟღერებული ზრუნვა და ძალისხმევის მოშველიება. არც დღეს ვეკუთვნიტ ჩვენს თავს,

ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ღვითური მადლიცაა და სასჯელიც, გადაულახავ თავსატეხად გვექცა. ყველას თავისი ხარბი თვალის, ჩვენი მინისკენ უჭირავს. მარად დამპყრობლის წნეხის ქვეშ მგმინავი ერთი ველარ ინარჩუნებს დიდებულებას, როგორც ადამ მიცკევიჩი მენიშვანს, იცვლება მისი მენტალური ფსიქიკა, მისი ზნეობრივი კრედო. ასე დაემართა ჩვენს ერსაც, მან ხარისხობრივი უკუსვლა განიცადა. მავანის სული, აღარ ითავრება იმ პატრიოტული სულისკვეთებით, რომელმაც კაუ ხმლებს ჯგღეთიდან გამოაღწევინა ქვეყანას, ჩვენი ბრძენი მეფეების, ურიულესი დიპლომატიური სვლების და გონივრული სტრატეგიის ხარჯზე.

აღარც ის მაღალი ზეიობა და პატიოსნებაა, გალაკტიონი რომ წერდა „გამოხედვა, სავეს ქართული პატიოსნებით“-ო. ყველაფერს თავისი წინაპირობა და ახსნა აქვს. ეს რღვევა, 19-ე საუკუნიდან დაიწყო, რასაც ილია ჭავჭავაძის მწველი პუბლიცისტური წერილები და გულმტკივანი შეფასებები მოყვა (ლექსი „ბედნიერი ერი“ კნინი ქართველების ფორმულა). როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ ორბელიანმა, ვინც მსხვთა სამსახურს შეაღია მთელი ძალ-ღონე, ცხოვრების მიმწუხრს, სინანულით და გულისტკივლით ამოთქვა:

„დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა. საფლავს ჩავდივარ სიმწარით.“

აბა დამხოზა, დღეს რომ გვაქვს, ისეთი უნდა. ხარის უდრეკელი ქედვიით ამაყი ველარ არის ჩემი სამშობლო. ყველას საჯიჯინი და ნასაგლეჯი შევიქნით. დასანანი და გულისმომკვლელობა, მტარვალთა მეცადინეობით, ცუდფორმოდ ნახდეს და გადაშენდეს, სხვათათვის თავგანწირვის პოტენციური შესაძლებლობის მატარებელი ერი. მე არ ვიცი, სხვა ერის ნიაღშიც თუ არსებობენ ამგვარი პიროვნებანი: გურამ რჩელიძევილი (რუსი ტურისტები გადაარჩინა, თავად კი ზღვაში დაიხრჩო), თვალსაჩინო მცინერი, მიხეილ თამარაშვილი (იტალიაში სომეხი ეროვნების ადამიანები გადაარჩინა, თავად კი მდინარეში დაიხრჩო), თვალსაჩინო მებან-გინეკოლოგი, იოსებ ჟორდანი (ამერიკიდან სამშობლოში მომავალმა, თვითმფრინავის კატასტროფისას, თავისი მამუელი რგოლი ზანგ გოგონას დაუთმო). არადა, ყველაფერს აკეთებენ, გარემე თუ შინაური მტრები, რომ ერთი ნახდეს და გადაშენდეს. შორი მაყურებლის პოზიციიდან ამ ყოველფერს ცქერა, დაღვრის ტოლფერს. შექსპირული პრობლემატიკა კვლავ ავანსცენაზეა. „ალ-რევა ცნების და მცნების, დაშვებულება ცდების (ამონარიდი თქვენი მონა-მორჩილის ლექსიდან) დღეს, გეზის მოძვენი, ფული შექნა, გვაიმეზე გადადის ნაშოვნი ფული. ამგვარი ადამიანები, მოექცვიან ხოლმე სამთავრობო სტრუქტურებში, შემდგომ, თბოდ ადგილობზე მოკალათებულნი, კიდევ უფრო მეტად ამრავლებენ თავიანთ მიღონებს. სად მიდის უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციები? რატომ არ უმჯობესდება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. ფულის კულტი ნამლკეცა ძალად იქცა. ახლად ფულნაშოვის საზოგადოება (საფრანგთა მით „ნუგორომებს“ უწოდებენ) ხაში და ხარბია, სულიერი ღირებულებებისგან დაცლილია, ისინი, ისავე მეჯღანაშვილის შთამომავლები არიან, მათგან რას უნდა მოველოდეთ. ცნობილი მეცნიერების, დავით სარაჯიშვილის ბრძნული სიტყვები კი ჩავგავიწყებ: „ფული კარგი მსახურია, ოღონდ ცუდი მრჩეველი.“ ქართველი „ნუგორომები“ ასე არ ფიქრობენ.

ჯერ კიდევ მელანშემწრალი წერილი ის იყო დავასრულე, რომ გავგითვინა ავადასხსენებელი 20 ივნისი. კიდევ ერთი სამარცხვინო და ტრაგიკული ფურცელი მითთვალა ქვეყნის ისტორიულმა მატრიანმა. თვალაფის დასხმა ნაციონალური ოპოზიციას, რომელსაც სისხლიანი დარბეული არ უნდა უკვირდეს, ამ ხელწერით შევიდნენ ისტორიაში. საფიქრებელია, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროოკაცია კვლავ ერის გონის ასამღვრევედ, რატომ იყო საჭირო მაინც და მაინც გეგნავდა ლეგენდის შთამომავალი რუსი ემისრის წარმოგზავნა და პარლამენტის ვიცე მერის სავარძელში ჩასკუებება? ეს იყო კორდის ნითვლი ნება, გადაზრდილი სისხლიან ვაქხანა-თაში. მზაკვარი ნაციონალური ფრთა ცალსახად მოლაღატა, რომლის მმართველობის პირობებში სამაჩაბლო სამხრეთ ოსეთად გაფორმდა, ხოლო სვანეთის ძირძველი კუთხე კოდორის ხეობა ჩრდილოეთ აფხაზეთად გამოცხადდა. ვინმემ აგო პასუხი? აღარ გვახსოვს, ანუნუა დაგეგმართა? დღეს ეს პარტია რენანიმირებას ცდილობს, ყველა ვითარების ესკალაციას ახდენს და საზღვარებს ჩაბუდებული თავისი ატამანის „მიხაკოს“ ინტერუქტაჟებით მოქმედებს და საქართველოს დანაყლებულ სხეულზე ტკიპასავით ავეკრიან და პოი, საოცრება! ჯალათები თავად მზრალმდებლის როლში გამოდიან. მათთვის სამშობლო სახარავი ძეგალი, მრავალი კრიმინალიტი ბიგრაფია ამამიძეებულნი ყველაფერს ფასად კვლავ ლამობენ სამთავრობო ბერკეტებს დაეუფლონ. ხომ არ დავგავიწყდა, რომ ისინი ედუარდ შევარდძისა და მხედროვნელთა პირსისხლიანი რეჟიმის მომღვაწე 1992 წლის 2 თებერვლის სასაკლავო მოგვიწყო (მეც მათ რიგებში ვიყავი) სულიერი მემკვიდრეები არიან. პარლამენტის წინ ახალგაზრდე-

ბი უდავოდ სამშობლოს სიყვარულმა გამოიყვანა, მაგრამ ოპოზიციის თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს მათ გონივრულ წაღილებს. მთელი დღის განმავლობაში „რუსთავი2“-ის სა-მაუწყებლო არხიდან ხალხის მისამართით კეთ-დებოდა მონოდებები შტურმით ავლოთ პარლამენტის შენობა, რისი მცდელობაც ამკარად იყო. ეგზალტირებული მასა ანგარიშმოუცემლად მოქმედებდა. თვალწინ გამიცოცხლდა ფირზე შემონახული დოკუმენტური კადრები, 1917 წელს ზამთრის სასახლეზე განხორციელებული შტურმისა. არცერთ ძალისმიერ რევოლუციას სიკეთე არ მოაქვს, ისადგურებსგანუკითხაობა და დაზარალებული ყოველთვის რჩება ხალხი. ამჟამადაც, როდესაც ვითარება გამწვავდა, ნაც.სექტის ასე-ბი გაეცალბენ ვვლეთას და რეზინის ტყვიებით დასახიზრდენ კვლავ უდანაშაულო ადამიანები. უცილობლად უნდა დადგეს შტურმის ნამქებებლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დაუშვახურებლად ძლიერო ამასოფლისანო, რამ შევაძლეთ აგრერივად ერთადერთი სამშობლო, თქვენი ფესვი, სამშობლო ხომ დედის ხატია და ამ ხატს მირიონი და ცრემლი სდის მორღეული თვალებიდან. როგორც მომაკვდავი სნეული, ისე მებრალეა ჩემი ბედურული ქვეყანა, რომელსაც ყველა ფცქვინის და სამაგიეროს არაფერს სთავაზობს. დათა თუთაშხია რომ მიმართავს სეთურის მრევლს: რას გავხარბთ ხალხო, რა ჯიშის ხართო, ამათზეა ნათქვამი. და დღეს მე, რომელიც ვახლავართ, კომუნისტური რეჟიმის პირობებში რეპრესირებული ოჯახიდან, რომლის წევრებსაც არ დაკლებია არც დახვრეტა და არც კვბ-ს ჯურღულელებში მონყობილი დაკითხვები, და არც ერთი მათგანი არ განწვინდებულა კომუნისტური პარტიის რიგებში, ისე იღვანეს მეცნიერების და ხელოვნების სფეროში, ნიჭითა და ღირსებით მკობილებმა, ხოლო მე, ისე დავამთავრე სკოლა, რომ პროტესტის ნიშნად კომკავშირის რიგებში არ გავწევრიანებულვარ, ვინაიდან სულ მახსოვდა მაშის მონათხრობი, როგორ გაიყვანეს ერთ დღეს სახლიდან მისი ბაბუა და ბაბუას ძმა (ბახვა და საჩინო ჯავახიები) და კიდევ მრავალი ღირსეული ადამიანი, თავისი ხელით ამოათხრევინეს მიწა, შემდეგ დახვრეტეს და ცოცხალ-მკვდარნი ჩაყარეს სამარეში, მეორე დღეს, ხალხი ტრაგედის ადგილზე გასვლასაც ვერ შეუძლებდა, ხოლო ბებია და სულ პატარა ასაკის მამა, რომლებმაც გაბედეს გასვლა, გულშემძრულები დაბრუნებულან, ვინაიდან სამარის მიწა იძვროდა და განწირულების გმინვა მოისმობდა, ცოცხალ-მკვდარი ადამიანები იყვნენ მიწაში ჩაფლავილი, მხოლოდ იმის გამო, რომ თავდაზნაურული წარმომავლობა არგუნათ ბედმა, და განა მართლა ექსპლუატატორები და ფეოდალები იყვნენ? მათი ავლადიდება დღევანდელ არსიდან მოსულ ჩინოსან-თალთებთან და ბანკირებთან შედარებით, ვინც თავიანთი ბიზნესი 90-იან წლებში მოსახლეობისაგან ნაგლეჯილი ანაბრების საფუძველზე აყვავეს, ერთი ჩიტის რძეა. ეს მოხდა სენაკის მარაში 1923 წლის 3 სექტემბერს და დღეს, მე, რომელიც შევიქნეი მონმე ქვეყანაში დატრიალებული მრავალი უსამართლობის, ალვირახსნილობის, კრიმინალის და დაუსჯელობის სინდრომის, იძულებული გამხადეს გაუკუღმართებული აზრი გამჩვენოდა და მეთქვა, ეგებ სტალინის რკინის ხელი ყოფილა საჭირო, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, იმ ავადასახსენებელი რეპრესიების გარეშე (შემიწინო ეს აზრი ჩემმა წინაპრებმა), ყველა გულმხურვალე მამულმშვილის სახელით, ვისი ბიოგრაფიაც არ არის დამძიმებული პარტიულ ნომენკლატურული მიკუთვნებულობით, ვაცხადებ: ნაციონალური მოლაღატე პარტიის რენანიმირება ველარ მოხდება! ჩემი სლოგანია: არა ნაცებს.

უახლესი ისტორია ჯერ არ დანერგა და ის საკითხები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს, ისტორიულ-პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური კუთხით. იგი ელოდება მემატიანეს, პიროვნულ და მიუკერძოებელ მკვლევარს, მეცნიერს, რომელიც, ცვივი გონით და ცხელი გულით, ანუ, რაციოს და ემოციის მოხმობით, კომპლექსურ ჭრილში წარმოაჩენს სივრცულ - დროით სრულ პანორამასისტორიული პერიპეტეებისას, რომლებმაც, განაპირობეს ჩვენი ქვეყნის ესოდენ დრამატული რეალობა, ანალიტიკური ნიაღვრების საფუძველზე, დაგვისახავს ჭეშმარიტ გზებს, ანუ, იმ ღვითურ ლოგოსს, რომელიც, ყოფნა-არყოფნის მასონურ-სიონისტური ყიამეითდან, ქალდეურ-ხეთური სანყისებრიდან გამოღწეულ, იბერიულ-კოლხურ მოდგმას, მისცემს შესაძლებლობას, გამოერკვეს ზომის ტრანსიდან და სწორი ორიენტირები გაითავისოს. გვინდა გვევროდეს, რომ ცივილიზაციის კაცობრიული სანყისებრიდან გამოღწეული ერთი, ტოლი და სწორი, სწორუპოვარ გადაშენებულ ეგვიპტისა, მარადყოფნა არ ყოფნის ზღვარზე მდგარი, ჟამთასვლას ემედგრა, უფლის ნება და განგებულება, კვლავ მისცემს საშუა, იყოს მონაწილე და ისტორიის განგრობად შტრიხებში წარმოჩენის ერთ-ერთი შემომქმედი.



სოსო სიგუა

ქვეყნად უცვლელი არაფერია. ენაც წარმოიშობა, ვითარდება და ბერდება, იშლება და კვდება, ასევე – ერიცა და კულტურაც.

სახელმწიფოები, იმპერიები, სამთავროები იქმნება და ნადგურდება.

სიკვდილი ხვედრია ყოველი მოძრაობის და უძრავი საგნისა.

თავად ცვალებადობის პროცესია მხოლოდ უცვლელი.

უილიამ დრეპერმა – ქიმიკოსმა და ისტორიკოსმა – ჩამოაყალიბა ერების დაბერების თეორია, ბიოლოგიის ანალოგიით („ვეროპის გონებრივი განვითარების ისტორია“).

ამავე თეორიას ავითარებდა პოზიტივისტი ოგიუსტ კონტი.

ამოსავალი იდეა კი იყო ჰეგელის აბსოლუტური სულის განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესი.

ეს შეხედულებანი გადმოიღო ნაროდნიკმა ივანე ჯაბაძემ, რომლის საპასუხოდ ილია ჭავჭავაძემ დაწერა „აი, ისტორია“.

ავტორმა მკითხველს გააცნო ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა, რათა ნიჰილიზმი გაეფანტა.

ჩვენი თანამედროვე რასულ გამზატოვი წერდა:

„თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს, მერომ დღეს მოკვდე, ის მიჩვენა“.

მიუხედავად ბრძოლისა და ცდისა, ერები და ენები მაინც ქრება. მრავალი საუკუნის წინ რომის იმპერიასთან ერთად მოკვდა ლათინური ენა და მხოლოდ მნიგნობრები ინახავდნენ, ხელოვნურად უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს.

ენისა და სახელმწიფოს კვდომის ერთ-ერთი ნიშანია დაშლა, განტოტვა და დანაწევრება, შინაგანი გამოფიტვა, ეკონომიკური დაუძლურება.

ლევ გუმელიოვი, ნიკოლაი გუმელიოვის და ანა ახმატოვას შვილი, აღნიშნავს, რომ ყოველი ეთნოსი იცვლება 1200-1500 წლის განმავლობაში, რაც იწვევს კულტურაშიც მკვეთრ გარდატეხას.

ასეთი უღელტეხილება ჩვენს ისტორიაში: უძველესი კულტურებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება, ქრისტიანობის დამკვიდრება, დავითისა და თამარის კავკასიური სახელმწიფო, რუსთაველის აღმოსავლური ორიენტირი, XIX საუკუნიდან – ევროპული კურსი, რაც აყალიბებს შესაბამის კულტურებს.

გარეგანი ფაქტორები ცვლიან სიტუაციას, წყვეტენ განვითარების პროცესს. ეს არის აგრესია, ძალადობა.

ძალადობა აჩქარებს ასიმილირებას. ხოლო კულტურული კავშირები და კონტაქტები, შერეული ქორწინებები, მიგრაციები, ინტერესთა იგივეობა ცვლის ფსიქიკურ მოდუსს, ფიზიონომიას და ადამიანთა მასა ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, უმტკივნეულოდ სწყდება შორეულ სანცისებს. მაგ., გენეტიკოს-ანთროპოლოგები აღნიშნავენ, რომ თურქებს გენთა მხოლოდ 5% შერჩათ ათასი წლის წინანდელი ალტაელი წინაპრებისა ანუ არსებითად ჩამოყალიბდა სულ სხვა ხალხი.

ასეთია ტრანსფორმაციის შედეგები, ახალი გეოგრაფიული გარემოს ათვისებას, უცხო ხალხებთან შერევას რომ მოჰყვება.

ოსმალებს რომ არ ჰქონოდათ მეომარი სული, რომ არ ჰყოლოდათ ლიდერთა კასტა, რომელიც ინარჩუნებდა ნაციონალურ წარმოდგენებს, დაპყრობილ ხალხებში ჩაიდირებოდნენ და გაქრებოდნენ.

ანთროპოლოგიურ და რელიგიურ სახეცვლას არ მოჰყვება ნაციონალური გადაგვარება.

დაღესტნელთა მონათესავე, ოდესღაც მეომარი ხალხები – ხურიტები, ურარტუელები, ალბანელები გადაშენდნენ.

ალბანელებს მრავალი ენა ჰქონდათ, რაც ამ ხალხის სისუსტეს ნიშნავდა, რადგან ვერ შეძლეს ვერც ქრისტეს სახელით კონსოლიდირება, ვერც ენობრივი მთლიანობის მიღწევა.

ასეთი მყიფე ნაციონალობის ხალხის ასიმილირება იოლად შეძლეს თურქ-სელჯუკებმა. მსგავსი საფრთხე ადრეც ელოდათ სომეხი მონოფიზიტებისაგან, ნაწილობრივ – ქართველებისაგანაც.

ალბანელები ჩვენი შორეული ნათესავეებიც იყვნენ და სახელმწიფოებრივი სიმტკიცე არც ჩვენ გაგვარჩნდა. მაგრამ მოხერხდა რელიგიურ-კულტურული კონსოლიდირება.

მიუხედავად გადამთიელთა სიმრავლისა, ნგრევისა და მსხვერპლისა, ქართულმა ენამ გამოავლინა სიმტკიცე და შეინარჩუნა უძველესი სახე. ასეთივე კონსერვატიზმი აღმოაჩნდა ქართულ ფსიქიკასა და ხასიათს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, რაც შეეზარდა ქრისტეს რწმენას.

ენა განამტკიცა რელიგიამ, ბიზანტიასთან სიახლოვემ, კულტურულმა კონტაქტებმა.

როგორც სიმტკიცის, თავის გადარჩენისა და დაცვის, ისე ასიმილირების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია რელიგია, რომელიც იქმნის თავის გარშემო ახალ სულიერ ღირებულებათა სისტემას. განსაკუთრებით მაშინ, როცა რელიგიის უკან დგას ძალა.

მაგ., XVI საუკუნეში ოსმალებმა დაიპყრეს ტაო-კლარჯეთი და თანდათან გაამაჰმადიანეს ქრისტიანი ქართველები. მათ დაკარგეს უძველესი რელიგია და მასთან ერთად ცხოვრების ქრისტიანული წესიც.

ამ მიწაზე დღესაც დგას მრავალი ეკლესია, ჩვენმა წინაპრებმა რომ ააშენეს, ოღონდ მიტოვებული და გაპარტახებული, ზოგი ბოსლად, ზოგი სანყობად გადაკეთებული.

მათ არავინ უვლის. ეკლესია შეცვალა მეჩეთმა, ბიბ-

მუდმივად ავრცობდნენ თავიანთ ტერიტორიებს.

ქვეყნის ბედს განსაზღვრავს სამხედრო ძლიერება, სწრაფვის უინი.

ებრაელმა ქრისტემ რწმენით დაიმორჩილა მრავალი ქვეყანა. მაგრამ თავისმა ხალხმა არ სცნო იგი. მისი სახელი უფრო კულტურას დაუკავშირდა, ვიდრე სახელმწიფოებრიობას.

მაჰმადმა რწმენას ხმალიც შეაშველა და არაბებმა უზარმაზარი იმპერია შექმნეს. იქ გაავრცელეს თავიანთი რელიგია და ჩამოაყალიბეს მუსულმანური კულტურული სივრცე. მაგრამ თანდათან გამოიფიტნენ და დაიშალნენ, თუმცა შერჩათ საერთო ენა და რჯული.

როცა კულტურა სძლევს სტიქიას, მაშინ დგება კვდომის უამი. ნიცშეს ტერმინებით რომ ვთქვათ, ეს არის აპოლონურის გამარჯვება დიონისურზე, წესრიგისა – ქაოსზე,

კულტურა და ერის

გონებისა – ინსტინქტებზე. ლია – ყურანმა, ქრისტე – მაჰმადმა. დარჩა ენა და მოგონება. მაგრამ ამ ხალხის კულტურა დღეს თურქულია, ისინი თურქეთის ნაწილი არიან.

თურქეთის (ოსმალეთის) პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალი ქართველი მონაწილეობდა, როგორც ვწერდით ადრე. მაგრამ ისინი ამ ახალი სამშობლოს ძლიერებისათვის იბრძოდნენ, ისევე როგორც იანიჩრები და მამელუკები, მამელუკთა ქართველი ლიდერები ბაღდადსა თუ ქაიროში.

ახალციხე, ახალციხის საფაშო, დასახლებული მაჰმადიანი ქართველებით, იყო იმერეთსა და ქართლზე, გურიასა და სამეგრელოზე თავდასხმის ფორპოსტი.

ფაქტიურად ჩვენი სამეფო-სამთავროები ებრძოდნენ არა ოსმალებს, არამედ – გამაჰმადიანებულ ქართველ ძმებს.

ერის ფსიქიკური ენერგია ვლინდება სახელებითა და ტენდენციებით, აგრესიული რადიკალიზმით, კულტურულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობით, გამრავლების ტემპით. ეს ფაქტორები ხან ძლიერდება, ხან სუსტდება, ხან ხდება ინტეგრირება, ხანაც – დიფერენცირება.

მაგ., გერმანია და იტალია საუკუნეების განმავლობაში უამრავ წვრილ ერთეულად იყო დაშლილი, მაგრამ ეს კულტურას არ დასტყობია.

საქართველომ ვერ შეძლო გაერთიანება, ვიდრე უცხო ძალამ არ დათრგუნა სეპარატიზმი, რაც ინდივიდუალიზმის განვითარებაა.

რუსებმა აითვისეს მონღოლთა სისასტიკე, დაპყრობის უნარი და

გონებისა – ინსტინქტებზე. ქრისტეს სჯულმა, ბიზანტიასთან სიახლოვემ და დაპირისპირებამ ჩვენს წინაპრებს მისცა სტიმული და ენერგია, რათა შეექმნათ როგორც კულტურული, ისე სახელმწიფოებრივი ბაზისი.

ძნელია გარკვევა თუ რა ინვეეს ერში აგრესიის წარმოქმნას ან განვითარებას. ეს არაა ცნობიერი პროცესები, როგორც აზვირთება, ისე დაცხრომა, ფორმალურად უკავშირდება გარე ფაქტორებს. მაგრამ ერი იტანს ცალკეულ დამარცხებებს თუ მასში არის ძლიერი სასიცოცხლო ენერგია, ცენტრისკენული სწრაფვა, რაღაც იდეით აგზნება.

ქართველები დამორჩილდნენ თურქ-სელჯუკებს. მაგრამ ერი არ დათრგუნულა და სწრაფად გამოვიდა შოკიდან.

გერმანიამ ორი მსოფლიო ომი დაიწყო და ორივე კატასტროფით დაასრულა. მაგრამ ერის ეკონომიკური, ინტელექტუალური, სამხედრო პოტენციალი არ დამხოვილა და სწრაფად აღდგა ფერფლიდან და ნანგრევებიდან.

აგრესია და დაპყრობის უინი გამომდინარეობს ერის ფსიქიკური ენერგიიდან, რომელიც სძლევს კომმარსა და კატასტროფას. მას ქმნის არაა ცნობიერი კავშირები, იდეალებისა და ღირსების განცდა, ორგანიზების უნარი, განსაკუთრებულობის მითი, რაც დაეუფლა ქართულ სულს X საუკუნიდან (მდრ – „ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები“).

ქართველებმა ვერ შეძლეს თამარის იმპერიის შენარჩუნება. ისინი უძლიერეს დამპყრობლებს შეეჯახ-

ნენ. მაგრამ ვერც შემდეგ მოახერხეს ძლიერების გამოვლენა.

მონღოლებს თავი დააღწიეს. მაგრამ აკლდათ აგრესია და სივრცისაკენ სწრაფვა. მუდმივად ცდილობდნენ თავის გადარჩენას, არსებულის შენარჩუნებას, არც ძველებური მესიანიზმი შერჩათ.

როგორც გვეუბნებიან, თავდასხმა არის საუკეთესო თავდაცვა, არა ლოდინი, მოთმენა და მორჩილება. ოღონდ ჟამსაც გააჩნია.

ქართველები ერთიანობის დროსაც კი ვერ სძლევენ ჯალალედინს, მონღოლებს, თემურ ლენგს. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ავლენდნენ საოცარ სიმამაცეს, თავგანწირვის უნარს.

ქართველები საუკეთესო მეომრები იყვნენ უცხო ლაშქარში, როცა ჰქონდათ თანადგომის იმედი. მათი უცარი შეტევა გზას უხსნიდა ძირითად ლაშქარს.

ამიტომ მოითხოვდნენ, რომ

ერეკლემ ჯარი დაშალა. მაჰმად-ხანმა კი სექტემბრის დასაწყისში სწრაფი და მოულოდნელი სვლით ტფილისთან მოუყარა თავი სხვადასხვა მხრიდან დაძრულ ჯარებს.

მან იცოდა, რომ მეფე ასე უეცრად ვერ შეკრებდა დაფანტულ ლაშქარს.

ასე რომ – კრწანისის ბრძოლა წინასწარ იყო წაგებული.

როგორც აღვნიშნავდით, ქართველები იყვნენ ამთვისებელნი, უცხო მოდელის შემომტანი, რაც ვლინდებოდა კულტურის ყოველ სფეროში.

ესეც, ეს ქალური ბუნებაც აგრესიის ნაკლებობით აიხსნება.

ეკლესია-მონასტრების გშენებლობა, წიგნების თარგმნა, კონტაქტები ბიზანტიასთან და ირანთან, ლავირება და დიპლომატია საბოლოოდ ქვეყანას ვერ იხსნიდა, რაც ავითარებდა ინდივიდუალიზმს.

ყველა ინდივიდუალურად ცდი-

ბოლოდან და რეალიზებას მიაღწია დავითისა და თამარის დროს.

ერის ახალი ინტელექტუალური ამოძრავება, ძალთა მოკრება იწყება XVI საუკუნიდან. სამხედრო თვალსაზრისით ეს იმდენად არ ჩანს, რამდენადაც – კულტურაში, რომელიც აღმავალი ხაზით მიემართებოდა. ამჯერადაც კულტურა იყო ბარომეტრი.

იგი სულს იდგამდა სპარსული იმპულსებით და გაძლიერდა ევროპული ტენდენციებით, პეტერბურგთან სიახლოვით.

XIX საუკუნის დამლევადან, რუსეთის გავლენით, თავს იჩენს პოლიტიკური აქტივობაც. კულტურის იდეები გადადიან თავისუფლებისკენ სწრაფვაში, რასაც ფორმას აძლევენ, როგორც სოციალიზმის იდეალები, ისე რეალობის განმარტებელი ფაქტორები, ახალი იდეოლოგიური წყაროები.

გადარჩენის იმედი დაუკავშირდა ევროპას, იდეოლოგიაში – სოციალიზმს, კულტურაში – მოდერნიზმს. მაგრამ ინტელიგენციას არც რუსეთი ეთმობოდა. ამიტომ აღმოჩნდა მისაღები ორი რუსეთის თეორია.

1918 წლის 26 მაისამდე არც ერთი პარტიის პროგრამაში არ ეწერა დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ავტონომია იყო პანაცეა ანუ გეორგიევსკის ტრაქტატის სივრცეში ტრიალებდნენ, ვიდრე სიტუაციამ არ შეცვალა პოლიტიკოსთა შეგნება.

კოსმოპოლიტი და რუსოფილი სოციალ-დემოკრატებიც კი ნაციონალისტებად გარდაიქმნენ.

ინდივიდუალისტი ქართველები ძალაუფლების ნების რეალიზებას ეძებდნენ და პოულობდნენ რუსეთის სივრცეში, კოსმოპოლიტურ თეორიებში (მენშევიკები და ბოლშევიკები), აქ უფრო შეიძლებოდა სახელის განთქმაც, კომფორტის შექმნაც.

ქართული სახელმწიფოებრიობა ნელ-ნელა ყალიბდებოდა, რომლის მესვეურები ვერ ეტეოდნენ საქართველოსა და კავკასიაში და იმპერიის უკიდევანო ველები იტაცებდათ.

როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები ცნობილი პოლიტიკოსები იყვნენ. ხოლო სტალინმა და ბერიამ ქართული ნაციონალიზმი სსრკ-ის ფარგლებში გადაიტანეს და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც. რუსებმა მათ თავდადებას სიძულვილით უპასუხეს.

ერის ფსიქიკური ენერგია არნახული დიქტატურის პერიოდშიც კულტურის მრავალ სახედ გაიშალა და მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, რეპრესიებისა, ყალბი იდეალებისა, არნახულ წარმატებას მიაღწია. აღმასვლა არ შენელებულა.

მენშევიკური „სამოთხე“ ბოლ-

შევიკურმა ჯოჯოხეთმა შეცვალა, რომელმაც დათრგუნა ინდივიდუალიზმი და ადამიანთა მასა სასტიკ წესრიგს დაუმორჩილა.

დისციპლინა, მოთხოვნა და სახელმწიფოებრივი ზრუნვა სასარგებლო აღმოჩნდა დაბოროტი კულტურისათვის, ქართველი კულტურაში მდისათვის, რომელსაც უკვე ტაშს უკრავდა არა მხოლოდ თბილისი და ქუთაისი, არამედ – მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ბერლინი, პარიზი და ლონდონი. ყალბი ეიფორიაც კი ძლიერ სტიმულს იძლეოდა.

XX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაკოტრდა გვაროვნული არისტოკრატია, რაც ცხენ-იარაღი წარსულს ჩაბარდა და ასპარეზზე გამოჩნდა ჩაგრულთა კლასი, გაძლიერდა და ბოლოს ტოტალური ხასიათი მიიღო განათლებისა და დიპლომისაკენ სწრაფვამ.

ეს გამონეულები იყო ტრადიციული კომფორტული ცხოვრების ძიებით, რაც თავად-აზნაურთაგან გლეხთა შეილებმაც აითვისეს, ნაკლები შრომითა და დისციპლინით.

ამას მოჰყვა მასობრივი კორუფცია და ფორმალიზმი.

ქართველმა ხალხმა XX საუკუნეში აღიდგინა დამოუკიდებლობა ორივეჯერ იმპერიის დაშლის შემდეგ, რაც ვერავის წარმოედგინა, მაგრამ ორივეჯერ დაემხო ქართველთა ხელით და მოსკოვის ნაქეზება-დახმარებით.

ამჯერადაც ამ სისხლიან ავანტიურას მოჰყვა ქვეყნის დაშლა.

როგორც ვთქვით, 1490 წლიდან საქართველო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, აღარ არსებობდა – მის სახელს ინანილებდნენ სამეფოები და სამთავროები. ჩვენ მაჰმადიანი ვალები ისევე მიგვაჩნდა, რომელთა ტიტულატურა ძველებურად ამბიციური იყო; არალიარებული ეკლესია ავტოკეფალიური გვეგონა.

მოკლე დროში დამოუკიდებელი ქვეყნის ხუთივე მეთაური ნ. ყორდანი, ზ. გამსახურდია, ედ. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი, გ. მარგველაშვილი – შერისხულ იქნა: სამი განდევნეს, ორს გამოუცხადებელი შინაპატიმრობა განუსაზღვრეს, რაც პოლიტიკური არასტაბილობის ნიშანია.

წინ ისევე ნისლით დაბურული გზებია და არავინ იცის, რა გველოდება – ამალღება თუ დაცემა. დამარცხებებმა დალაღა ხალხი და მოდუნდა ფსიქიკური ენერგია.

გაეროს ქართველი ხალხი შეყვანილი ჰყავს მომაკვდავი ერების რიცხვში და თუ ხელისუფლება ვერ შეძლებს რადიკალურ მობილიზებას ძალთა გასააქტიურებლად, გავიზიარებთ დრეპერისა და კონტის საშინელ განაჩენს...

ერის ბედი და მდგომარეობა კი ისევე განსაზღვრავს კულტურას.

ფსიქიკური ენერგია

პირველი შებოძნენ მტერს. ასე შეიქრნენ ბაღდადში და შემდეგ შეჰყვნენ მონღოლები. რამდენიმე საათიანი ბრძოლის შემდეგ იღლებოდნენ. მაგრამ უკვე მოდიოდა ძირითადი ძალა და ის ამთავრებდა ომს ანუ ზურგი უნდა ჰქონოდათ, როგორც რუსეთის ფრონტებზე.

გარდა ამისა, იშვიათად ჰყავდათ რეგულარული ჯარი, რომელსაც შეეძლო ტაქტიკისა და სტრატეგიის მონაცვლეობით დიდხანს ეომა.

მოხალისეები ამას ვერ შეძლებდნენ. ამიტომ დამარცხდნენ. მაგ., მარაბდის ომში, კრწანისთან. მაგრამ გაიმარჯვეს მარტყოფსა და ასპინძაში.

სიმამაცე და „ხის აბჯარი“ საქმეს ვერ შეელოდა, ვერც ფეხის წინ წადგმა თუ მოკლე ხანჯლით იბრძოდი.

გულადობა უნდა გადასულიყო ტექნიკაში, ცივილიზაციურ ფაქტორში, რაც საბრძოლო ხელოვნებასაც ავითარებდა, სტრატეგიასა და ტაქტიკას.

ერეკლე ალა მაჰმად-ხანთან საომრად კარგად მოემზადა, მაქსიმალურად ჩართო ქართლ-კახეთის, იმერეთის და მთელი დაქირავებული ჯარები, შეაგროვა 20000 მეომარი. მოამზადა არტილერიაც.

ეს იყო ივნისის ბოლოსათვის. ზოგიერთ ბრძოლაში გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა ყარაბაღში ვერ გაბედა, რადგანაც რუსები არ ეხმარებოდნენ. აგრესიას თავდაცვა არჩია, როგორც ვახტანგ VI-მ – პაპამისმა.

მაჰმად-ხანმა გაითვალისწინა, რომ ქართველები 2-3 თვე ამხელა ჯარს ვერ შეინახავდნენ, წარუმატებლობა გაითამაშა და უკან დაიხია.

ლობდა თავის გადარჩენას. კოლექტივიზმის მიღწევა ისევ აგრესიას მოითხოვდა. რომ არა რელიეფი, ქართველები ისე გადაშენდებოდნენ, როგორც ალბანელები.

შეიძლება იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ქვეყანა დაშლილი იყო და არა ერთიანი. თვით ეს ფაქტიც უცნაურია – იგი მოხდა არა გარეშე ძალთა აგრესიით, არამედ – შინაგანი დაქსაქსვითა და გამოფიტვით, როცა სეპარატიზმი არ იყო არც ეთნიკური, არც რელიგიური (მდრ – „ქართველის ბუნება და სახელმწიფო“).

დაუძლურებისა და დაშლის სიმპტომები კულტურაში უფრო ადრე გამოჩნდა, ვიდრე ელიტა დაადასტურებდა დაცემის ფაქტს (1490 წელი).

ეტყობა, ასეთი სიმყიფე იბერიულ-კავკასიელთა საერთო თვისებაა, რაც გამოვლინდა მუდმივი პოლიტიკური და ენობრივი დიფერენცირებით, ინტეგრირების სიმცირით.

სახელმწიფო ვერ შექმნეს ადიღევლებმა, ჩეჩნებმა, დაღესტნელებმა. ლაზები მოსწყდნენ ქართულ ძირებს. ალბანელები ჯერ რელიგიურად დაიმორჩილეს სომხებმა, შემდეგ მათი ასიმილირება მოახდინეს თურქ-სელჯუკებმა და ნანილობრივ – ქართველებმაც.

ქართველებსაც აკლდათ სახელმწიფოებრივი შეგნება, მაგრამ, ერთი მხრივ – ქრისტიანული ბიზანტია, მეორე მხრივ – მუსულმანური არაბეთი, აიძულებდნენ ინტეგრირებას – ქრისტეს სახელით.

ადრე ქართველთა ძლიერება დაიწყო ნაციონალიზების, თავისუფლების ძიებით VIII საუკუნის



ანა ბახია

რად მინდა ახლა ამაზე ფიქრი, ან მოვლენების გამოახლება, არ იკარგება ღვთიური ნიჭი, რომელიც მხოლოდ დროში ფასდება. არ ვიცი, ზოგჯერ რა შედეგს მომცემს, რით მივალნი კვლავ შეთანხმებას, მე მამხინვევდა შენი იმიჯი, გამაძლიერებს შენთან თანხლება. მე მომწონს შენში რწმენა ჩვეული და თბილი გული, რაც სულით გამხელს, ერთი ნაბიჯი გადმოდგი ჩემსკენ, არ ვინუნუნებ იცოდე ამდენს. შორეულ „ლიტონს“ ფასი დაადე, მით უფრო ძვირად ფასდები ჩემში, ფეხზე წამოვდექ და გავძლიერდი, კვლავ სიყვარულით ამევსო პეშვი.

წარსულმა შენში მასწავლა ლოცვა, გარდასახული დროთა სიავე - აქაფებულა ფიქრების ზღვა და... მითხარით, დარდასაც რა დაიამებს, მიღიმის რისხვით ქალი მოშურნე არ იცის, ხვალაც რა უნდა მავნოს, შეცდომებს ის, ვინც ადვილად სწავლობს. ამ შეცდომებზე ადვილად სწავლობს. არ მითხოვია არვისგან გული, ასეთი სიტბო მე ღვთისგან მერგო, არ მიკვირს ახლა შენი დიდება, სწორედ ის დროა, მოვლენა მეფობს. თუ არ მჩვევია მუდმივად დაღლა, სულ გეშინოდეს, მე ფეხზე ვდგავარ, შენგან სიკეთე მანსხვავებს სულით, ამ სიამაყით კვარცხლბეკზე ავალ. მახსოვდი ზოგჯერ ნაზი და მშვიდი დღეს ცრუ დიდებამ გაგაპეტიჩა, მთავარი არის მიზნების ასხვლა, მადლობა უფალს - ეს რომ მეღირსა.

შენ დამაბერე ნაადრევად და არა ნლებმა, შენ დამაზუთხე ყველა ლექსი დაუნერელი, შენ შემამთხვიე ამ სასწაულს და არა ბედმა, შენ დამიტოვე გაზაფხულიც „აულწერელი“. ახლა მარტო ვარ და მივენდე აშარულ ფიქრებს, ზოგჯერ წყალობას მოლოდინში მაინც რომ ვიხდენ? წუთისოფელი ჩემს განდევნას მაინც არ ჩქარობს, ალბათ, გამომცდის, შევცოვდავდე შენსავით ვიდრე... უსასრულოა - შეუვალი, მაინც სამყარო, მე მაინც ვცდილობ შენს ღირსებას კვლავ ვცე პატივი, ნათქვამია, რომ გამხელილი ჯობია ცოდვა

და მიტევებაც არ ყოფილა თურმე ადვილი. ადამიანი ნუ გგონია ნახატი-ფრესკა, მისით შექმნილა სრულყოფილი მთელი სამყარო, ჩვეულ სინათლეს, ბრწყინვალეობას, რა უნდა მზესთან, თვითონ უფალი შეგინდობდა, მხოლოდ „ნახალო“... გულზე დამადნა უმზეობით ფიქრების ჩერო, სხვა რალა დამრჩა - ეგ სიმართლე ლექსად არ ვწერო.


ეს არის ბოლო, მისი სისუსტე და აქერცლილი გამოძახილი, ეს არის მისი „რემბრანტი“ ხედვა, დაყოლიება, არა ქადილი - ჩაინვა გრდემლზე მონაცვლე რიდი... აორთქლდა ცვარად ნაგემი სითბო, იყო ასეთი არარაობა, იყო თავნება და არც კი იყო...

დაოსებულა ცრემლებით უპე, როცა ვისწავლე შენი შენდობა, ვერავინ ბედავს დანგრევას ბუდის, მხოლოდ თამაშით ვირაც ერთობა... აენყო მძივად... შენც ჯვარს ატარებ, კრიახებს დარდი, სხვას ნუ ემდური, გთხოვ, აირჩიო „მძიმე“ ცხოვრება - მონანიების... არა მეფური...

თუ შეგიძლია ბოლო წუთს ლოცვა, შეისისხლხორცო, რას მღერის გედი... ჩამესმის ყურში წარსულზე ბოდვა და მე ვუძახებ ჩემს „სულის ექიმს“, ვიცი, არ მეყო სამხერად წლები, ვერ მოვაფრქვიე საკმაო სითბო და ახლა ვცდილობ, თუკი ვიყავი... მომავალშიაც ერთგული ვიყო.

ისევ ნამიანი ველი... ისევ ავერცხლილი მთვარე... ფიქრში გარეული ბეგრი - დროსთან მოკამათე ღამე... მტკივა „დამსხვრეული მაჯა“, მტკივა ამ აპრილის თვეში, ზოგი - იმ წარსულში ჩარჩა, მე კი, იმედს ვაპნევი პეშვით. იქნებ შევაჩერო რისხვა, თავზე დატეხილი თქეში, იქნებ სიცრუესთან ჯიბრში მაცდურს მოვამტვრიო „ეშვი“. მერე, მეგობრებო, ჩემთვის ერთი ჭიქა მაინც შესვით.

წამით დადუმდა თითქოს სამყარო, ჩანს, უერთგულა სივრცეში ნაპოვნ იმ ღამაზე „ტკივილს“, გაცრეცილ სევდას - რომ ვერ „მეტყველებს“ და გრძნობით ამბობს, შუქდება რალაც გასაოცარი, ბუნებაც მის მხრივ - ცრემლებით ალბობს.



ნიკო რეხვიაშვილი - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ნიკო კონსტანტინეს ძე რეხვიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ჩვენო ნიკო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ღირსეულ ქართველ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თქვენი, გულანთებული ქართველი პატრიოტის, შემოქმედება ეხმიანება მშობელი ერის ტკივილსა და სადარდელს. 1965 წელს გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ცასა და მყარს შორის“, „მამულის ცეცხლი“, „ლაბირინთი“, „კომბლე“, „ათი მცნება“, „გასეირნება ქართული ანბანით“... ამ კრებულებში შესული ლექსების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი ბედკრული დღევანდლობის მემატთანე, რომელსაც თვალის მაინც დიდი დავითისკენ, გიორგი ბრწყინვალისკენ გაურბის და მათ სპაში რიგითი მხედრობა სურს, სრულად აქვს გასიგრძელებული, რომ სამშობლო ძარღვებში სისხლივით უნდა გიჩქეფდეს და მოსვენებას არ გაძლევდეს; სულში არწივივით უნდა ჰყიოდეს წინაპართა ომახიანი შეძახილები, „ჰკა მაგასაო“. გული სტკივა იმის შემხედვარეს, თუ რა დიდ ბაზრად ქცეულა ერთ დროს თავმომწონე ივერთა სამკვიდრო და დაჩოქილი შესთხოვს დედა ღვთისშობელსა და წმინდა ნინოს მისი საესავი მამულის გადარჩენას...

თქვენი ლექსები შესულია ისეთ სოლიდურ გამოცემებში, როგორცაა „ქართული თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია“ და „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია“...

ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევი. ჩინებულად თარგმნეთ ქართულად ლიტველი, ინგუში, უკრაინელი, რუსი, სომეხი, ოსი, აფხაზი პოეტების პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციაში, შრომის დაცვის ინსტიტუტში, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში და ყველგან ღირსეულად ატარებდით ქართველი მწერლის საპატიო სახელს.

ძვირფასო ნიკო! თქვენ ჩვენთვის მწერლური ნიჭიერების, ღირსების მქონე, მოყვასისთვის თა-

ვდადებული პიროვნების განსახიერებას განსახიერებას წარმოადგენდით და წარმოადგენთ მუდამ...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

წმინდა ნინოსადმი

კაბადოკიელ ქალწულთა თვალსა და თვალისჩინოო, მცირე რამ სენი შემყრია, იქნებ შენ მომარჩინოო, მცხეთის ქალაქად შემოველ, ტაბლით წინ მედგა ღვინოო, მოუნათლავს და უმადლოს რა მქონდა მოსალხინოო!

კაბადოკიელ ასულთა ჯვარო და ხატო წინოო! ჩემი ცხოვრება დასრულდა, მწარე და მოსანყინოო, დედა ღვთისმშობელს შემვედრე, თვალს ცრემლი მოვიდინოო, სათნოდ მიჩნდეს და მეთნოს, სათმენი მოვითმინოო!

კაბადოკიელ ქალწულთა ხატო ჯვარო წინოო! რწმენის უქრობო ნათელო, პიტალო კლდეც და ტინოო, ქართლის დედოფალ ნანასთან, გთხოვ, კრძალვით წარმადგინოო, მირიანს კერპი უმსხვრიო, ქრისტეში აღადგინოო!

მზის შარავანდით შემმოსე, იქნებ მეც გავიბრწყინოო, მადლის, სიკეთის საქმნელად მეც ხელი გავიწვდინოო, შემრისხე მამულისათვის თუ საფრთხე ავიცდინოო, მტრის სიყვარული მასწავლე, მოძმე არ გავაცინოო!

კაბადოკიელ ქალწულთა ხატო და თვალისჩინოო, სულიერ საზრდოს დამპირდი, სული რომ დავიჩინოო, არ გეაჯები, არ მინდა სხვა საზრდო გამიჩინოო, დრო რომ მომივა, ღამეში ჩავწვე და ჩავიძინოო!

კაბადოკიელ ქალწულთა ხატო-ჯვარო, წინოო! სულს სხვიად ეათინათე, ჩემი მზის თინათინოო, გული და ცა გამინათე, მზეს სული მივანვდინოო, პირ-მზეს ვუყვარდე, მიყვარდეს, საჭვრეტად სანადინოო.

ჩამენამებულ დაისში ჩანურა მარწყვი ვინოო, ამ მინით რას მანამებდი, რა ზეცით დამწვი წინოო, წმინდა გიორგი მანვიე, რომ ჩემთვის აწირვინოო, კაბადოკიელ ქალწულთა თვალსა და თვალისჩინოო!



ცირა გოგეშვილი — 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი ცირა შოთას ასული გოგეშვილი. სწორედ ამიტომ საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ცირა!

ჩვენო საყვარელო თანამოქალაქე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 60 წლისთავს.

თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო, ძიებებითა და მიგნებებით სავსე მწერლური ცხოვრება. თქვენი მწერლური ნათლობა 1981 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „უცხო ბუდეში“.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, ნოველები, ზღაპრები, მხატვრული თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი ლექსები კდემამოსილი და უსაბუნოესი ქალბატონის სულიერ ღაღადისს ნარმოადგენს მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან აღვლენილს, რომელსაც თუ რამ აწინებს, ის აწინებს, რომ მისი სათაყვანებელი ქვეყნის თავზე ავად ლაპაღავებს იატაკანი, ჩვენი იაგარქმნა და გადაშენება რომ სწადია.

თქვენი პოეტური კრებული „ცას, პირველ სიტყვას“ საკუთარ სულში დატრიალებულ გრიგალებზე მოუთხრობთ თანამომძმეთ.

თქვენი სახით ქართველ ბავშვებს ერთგული შესაღებულ და ქომაგი შყავთ. ისინი მუდამ ხალისით და ინტერესით ეცნობიან მათთვის განკუთვნილ საბავშვო ლექსებსა და ზღაპრებს („საჭადრაკო ბალადა“, „ანა-ბანა ფრინველებზე“, „ოცნია კემასა ზღაპრები“), ბავშვური სამყაროს სააღმოსავლად და გასამდიდრებლად ნასათუთევე სახეებს...

ბოლო წლებში დეტექტივის ურთულეს ჟანრშიც სცადეთ ხელი. „ნოველები დეტექტიური დნმ-ით“ და არაერთი საინტერესო ნოველაც გამოაქვეყნეთ. „კოჭლი იადონი“, „ზღვისპირა სიზნებები“, „ნათხოვარი ვარდი“, „თუხილავი საზღვარი“...

თქვენი შემოქმედების ცალკეული ნიმუშები თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე, მათზე არაერთი საინტერესო სიმღერა შეიქმნა.

თავადაც ჩინებულად თარგმნეთ ამერიკელი, ინგლისელი და ირანელი მწერლების ლიტერატურული ტექსტები.


დიდხანს მუშაობდით გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“-ის რედაქტორად და იქაც ქართველი მოზარდების სწორი სულიერი ფორმირების კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდით.

ქალბატონო ცირა!

თქვენ სამშობლოს ქვეყნისთვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას თქვენი ყოფითი თუ შემოქმედებითი ცხოვრების სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევდით მუდამ და, რა გასაკვირია, რომ ეროვნული მოძრაობის აღზევების სათავეებთან იდევით მუდამ.

კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თამაზ გოდერძიშვილი — 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თამაზ გოდერძიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო თამაზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს, სიქველთა და პატიოსნებით გამოირჩეულ პიროვნებას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც თქვენი პირველი მოთხრობები გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“, იმ ჟურნალში, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში თვისობრივად განაახლა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა და მისი განვითარების ახალ ეტაპს დაუდო დასაბამი, ეტაპს, თავისუფლების უმძველესი იდეალებით რომ იყო ვაცისკროვნებული.

დიახ, ექვსი ათეული წელი გასულა თქვენი პირველი ნაბიჯებიდან სალიტერატურო პერიოდში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგება თეატრების სცენაზე.

მართლაცდა ჩინებული პროზაიკოსი ბრძანდებით. ამის დასტურია თქვენი ისეთი პროზაული კრებულები, როგორცაა „ხუთი წითელი მიხაკი“, „გიგას თავგადასავალი“, „ხელში გამომწყვდეულ ბელურასავით“, „კვამლი გაზვეული ჯუჯები“. ამ კრებულებში შესული მოთხრობები თავს, უპირველესად, სიმამფრთხი, ადამიანურობითა და დამაჯერებლობით გვამახსოვრებს. ამიტომაც ითარგმნა ისინი აზერბაიჯანულ, ბელარუსულ, ბულგარულ, ლიტვულ, ესპანურ, სლოვაკურ, ინგლისურ, რუსულ ენებზე...

ცოცხა თუ მოიძებნება ქართველ დრამატურგთა შორის, რომელსაც ასეთი ღვაწლი დაედოს თანამედროვე ქართული თეატრის წინსვლისა და განვითარებისთვის.

თქვენი ორიგინალური პიესები „ილია ვარ“, „ვირის ჩრდილი“, „რკინის კარს უკან“, „არ შეგიშვებ“, „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“, „ნარკოტიკებით დაიდვა ქართული თეატრების სცენაზე“ ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი რადიოპიესები, რომლებიც წლების განმავლობაში ამშვენებდნენ საქართველოს რადიოს რეპერტუარს. თქვენ გეკუთვნით ინსცენირებები ისეთი განმარტებული სპექტაკლებისა, როგორცაა „ჯაყოს ხიზნები“, „ას ერგასის დღე“, „ბედი მდევარი“, „მარადი ქმარი“, „ბარბა“, „კაცია ადამიანი?“, „პილატე“, „სოფლის ასიკი“, „დეული“.

მრავალი თარგმანი გაამდიდრეთ ქართული თეატრი, რომელთა შორის გამოირჩევა ჯონ პრისტლის „სახიფათო მოსახვევი“, ჟან ანუის „სარდაფი“, ალექსანდრ მალინინის „მამა არსენი“, რაფაელ ასკონას, ლუიზ ბერლანგას, ენრიკ ფლიანოს „ჯვალათი“, ანატოლ ფრენკელის „ნარმატება“, პეტრე შეფერის „ამადეუსი“, ზოზ სლეიდის „ხელისნაძი ერთხელ“, იონას მარცინკაივიჩუს „თქმულად იკაროსზე“, ჯორჯი გალსურანის „გრონპოლის მეთოდი“...

თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა თითქმის მთლიანად საქართველოს ტელევიზიას დაუკავშირეთ, სადაც სხვებთან ერთად დააფუძნეთ სატელევიზიო თეატრი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ქართული სულიერების, ქართული ეროვნული მუსიკის შენარჩუნების ერთ-ერთ მძლავრ საძირკვლად იქცა.

როგორ არ აღინიშნოს, რომ თქვენს პიესებს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმნილს, დიდი ხალისით დგამდნენ ქართული თეატრის ისეთი აღიარებული მეტრები, როგორიცაა იყვინ და არიან მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, თენგიზ ჩანტლაძე, გორა კახანაძე, ნუგზარ ბაგრატიონი, შალვა გახერელია, ანდრო ენუქიძე, გურამ მელიძე...


დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ ხელოვნების ქურუმის საპატიო ნიშნები.

გვახარებს, რომ სოლიდურ ასაკშიც ჭაბუკურ გატაცებით ემსახურებით საყვარელ საქმეს. სწორედ ბოლო წლებში დაიდა თქვენი ორიგინალური პიესა „აკაკი“, გადმოქართულებული „მოსხუტე ჯამბაზები“, ინსცენირებული „მთვარის მოტაცება“, თარგმნილი პიესები (ს.მროვკის „კოროლი“, ა. ჩხვირის „დეული“, თადეუშ სლობოდნიკის „ჩვენი კლასი“); ცალკე წიგნებად გამოიცა თქვენს მიერ თარგმნილი ლეონიდე ანდრეევის „სჯანი“ და ანტონ ჩეხოვის „დეული“...

ბატონო თამაზ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სამშობლოს სამსახურში სრულად დახარჯვას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



გონერი ჭეიშვილი — 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გონერი გორგის ძე ჭეიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გონერი!

ჩვენო საყვარელო კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულთადად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ღირსეულ, კოლორიტულ ნარმოადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

ზუსტად ოთხი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, რაც 1979 წელს პირველი მოთხრობები გამოაქვეყნეთ. მაშინვე გაცხადდა, რომ ჭეიშვილი დიდებულ სამწერლო გვარს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნარმოადგენელი მოეწვინა. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — რომანები, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად და მკითხველს ქართული სულიერებით დამუხტულ, თავანკარა ქართულთა დაჯერებულ შემოქმედებას ახაიარებს.

თქვენი სამწერლო დებიუტს მაშინვე მოჰყვა აღიარება. 1982 წელს გაზეთ „სახალხო განათლების“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე პრემიარებულ იქნა მოთხრობა „სუბორდინაცია“. ცალკე უნდა გამოგყოთ რომანი „ცხოვრება მიდის რეპეტიციის გარეშე“, რომელიც ქართველ ახალგაზრდობას მიუძღვნით და რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიით აღინიშნა.

თქვენი პროზაული კრებულები „რომანი, მოთხრობები“, „ოქროს ყულფი“, „ერთ-ჯერადი ცოლები“, „სიყვარულის ანატომია“, „კედელი“ (3 ტომად) თქვენი მწერლური ძალმოსილების მკაფიო დადასტურებაა, დადასტურება იმისა, თუ როგორ იზრდება და იხვეწება თქვენი მწერლური პოტენციალი. თქვენს ქმნილებებს ხომ ლაკონურობა, სილაღე, ნაღდი, ხალასი იუმორი და ზომიერების გრძნობა გამოარჩევს. მოქნილი ქვეტექსტებით გაჯერებული თქვენი სტრიქონების მიღმა დაკვირებული მკითხველი იუმორის საფანჯრებში გახვეულ დიდ ადამიანურ ტკივილებს აწყდება და მათი თანაზიარი ხდება.

თქვენს კალამს ეკუთვნის მხატვრული ნარკვევების კრებული „რკინას ცეცხლი აფოლადებს“.

თქვენი ნარმატებების სათავე ხომ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. სხვადასხვა დროს იყავით პორტის დოკერი, ქუთაისის ავტოქარხის მრავალტორიანი გაზეთის კორესპონდენტი, გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის ტექრედაქტორი, ჟურნალ „განთიადის“ პროზის განყოფილების გამგე, ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი... არჩეული იყავით შოთა რუსთაველის საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციის საკრებულოსა და გაზეთ „მონაქმე-თას“ რედაქციის წევრად...

მონიჭებული გაქვთ დავით კლდიაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები. ჩვენო გონერი! როგორ არ გვიხაროდეს, რომ თქვენი ცხოვრებით და ღვნით სრულად გაამართლეთ თქვენი სულკურთხეული ლიტერატურული ნათლებების ოტია იოსელიანისა და ზურაბ კუხიანიძის იმედები.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას, უღალატო მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საწუკვარი ოცნებების აღსრულებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ელზა ახვლედიანი — 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მთარგმნელი ელზა ზურაბის ასული ახვლედიანი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ელზა!

ჩვენი ძვირფასო კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ მთარგმნელს, მშვენიერ ქალბატონს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 წლისთავს.

თქვენ მთარგმნელთა იმ მცირეცხოვან გუნდს მიეკუთვნებით, რომელსაც ღრმა პროფესიონალიზმი, დახვეწილი გემოვნება და საოცრად გამახვილებული ალღო გააჩნია და მშობლიურ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას დიდებული თარგმანებით ამდიდრებს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1955 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოაქვეყნეთ სესარ მუნიოს არკონადას მოთხრობა „მადრიდის ღამის“ თქვენული თარგმანი. დებიუტის ფვენდნიერი გამოდგა და ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებას კიდევ ერთი ჩინებული მთარგმნელის დაბადება ამცნო, მთარგმნელისა, რომლის სახით დიდ ესპანურენოვან მწერლობას გულანთებული დამფასებელი, ქომაგი და პოპულარიზატორი შყავს.

მართლაც რომ ბრწყინვალედ თარგმნეთ რამონ დე ვალე ინკლიანის „ქირად დაუჯდა“, რობერტო პაიროს „ლაუჩას ქორწინება“, ხუან გოიტისოლოს „ცირკი“ და „კუნძული“, რომელიც გალიევოსის „დონია ბარბარა“, ანა-მარია მატე-უტეს „ჯარისკაცები ტირიან ღამით“, არიო ბენედეტის „სულის მოთქმა“.

როგორ შეიძლება ცალკე არ ითქვას იმ ღვაწლის, რუდუნების, მრავალწლიანი შრომის შესახებ, რომლის შედეგადაც კოლუმბიური და არა მარტო კოლუმბიური ლიტერატურის მშვენიერების გაბრიელ გარსია მარკესის ნაწარმოებების ქართულად ამეტყველება. სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ დახვეწილი გემოვნების მქონე ქართველი მკითხველი თქვენი მშვენიერი თარგმანებით გაეცნო მსოფლიო მწერლობის ამ კლასიკოსის ისეთ ქმნილებებს, როგორცაა „მარტოობის ასი წელიწადი“, პატრიარქის შემოდგომა“, „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, „ადიმი დედის დაკრძალვა“, „ჩემი მოწყენილი მეძავენი“.

თქვენი, როგორც პირველხარისხოვანი მთარგმნელის, ნარმატების უპირველესად ის გარემოება განაპირობებს, რომ უზადლოდ ფლობთ ესპანურ ენას, ამ ენის თითოეულ ნიუანსსა თუ სპეციფიკას.

თქვენს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ერნესტ ჰემინგუის, ალიო შერის, ალექსანდრე გოგუას, გეორგ ბრანდესის, აბრამ კაპლანის, ანდრე სალმონის და სხვა მწერალთა ცალკეული ნაწარმოებების თარგმანი.


თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობაც მთლიანად ქართული მწერლობის უანგარო სამსახურს დაუკავშირდა. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ციცკის“ ლიტმუშკად, გამომცემლობა „ნაკადლის“ უფროს რედაქტორად, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფროს მეცნიერ რედაქტორად, ჟურნალ „საუფრის“ პროზის განყოფილების გამგედ... ყველგან, სადაც კი იმუშავებ, ყველგან ქვეყნის პროფესიონალიზმით გამოირჩეოდით და კიდევ იმ კეთილშობილებითა და სათანოებით, რაც მხოლოდ შინაგანი არისტოკრატობით გამოირჩეულ პიროვნებას ახასიათებთ.

თქვენი ღვაწლი ღირსების ორდენით — საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ „გალას“ პრემია.

ქალბატონო ელზა!

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვაწლმოსილ, მცოცხან შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს აგრეთვედა საჭირო საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი



უკვდავების გარანტია

ცნობილი მევენახის და გამომგონებლის თამაზ ქვლივიძის ახალ წიგნს აწერია: „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“.

თამაზს 30 წელია ვიცნობ.

მოვიდა იგი მწერალთა კავშირში და ლევან სანიკიძესთან ერთად რთველზე მიგვიპატიჟა.

გზადაგზა გვითხრა, ვაზის ახვევის ახალი მეთოდი გამოვიგონე, ჩვენისთანა მცირემიწიანი ქვეყნისთვის მისწრებაა. ამ მეთოდის გამოყენება ყურძნის მოსავალს ახუმთაგებსო.

რთველზე საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი ვასილ მჟავანაძე და ბიუროს წევრები დაგვხვდნენ.

თითქოსდა ბატონი თამაზის გამოგონების დანერგვას ხელი არ უნდა შემლოდა, მაგრამ...

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ყოველ წელიწადს სტუმრობდნენ თამაზ ქვლივიძეს რთველში სხვადასხვა რანგის მაღალი სტუმრები.

სადღეგრძელოებში ქება-დიდებას ასხამდნენ მის ნიჭს და გარჯას, მაგრამ დრო უღმობლად გადიოდა და ხელისუფლების წარმომადგენელთაგან კატისთვის ეუფნის შემბმელი არა და არ ჩანდა.

მატყუარა ხელისუფალთ რთვლის მეორე დღესვე ავინყდებოდათ ერთი უანგარო ქართველი კაცი.

როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

იცვლებოდნენ ხელისუფალნი, ბარდებოდნენ ისტორიას ზოგი მუფლუგუნით, ზოგი გაყალბებული არჩევნებით, მაგრამ თამაზ ქვლივიძის გამოგონება არავის ახსოვდა.

ასე დაიჩაგრა თუ უნიჭობა-უნდობლობით და თუ ცრუ-მეცნიერთა შურით დანესტრილი კაცი.

ახლა წიგნი გამოუცია. ჯერ იყო და სათაურმა გამაკვირვა. ნებისმიერ (ვთქვათ, მე-13) გვერდზე გადავშალე და ვკითხულობ:

„საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ვაზი ქვის ჩუქურთმაშია ჩანწული და ამით მისადმი ქართველი კაცის ურყევი სიყვარულია გამოხატული. თითქოსდა ვაზი და ქართველი კაცი ერთად მოვიდნენ დედამიწაზე.“

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რუსთაველი რა შუაშია-მეთქი, გავიფიქრე.

ვაზის და რუსთაველის გასაუბრების დროს, რუსთაველი ეუბნება რქაგრებნილ ვაზს: მე და შენ საუკუნეთა განმავლობაში შევინახეთ, გადავარჩინეთ საქართველო და ვინძლო კვლავაც ხელიხელჩაკიდებულემა ვიაროთო.

ქვემოთ ავტორი რუსთაველს ათქმევინებს:

„გულს მიხალისებ, ვენახო, ვაზო, უფლისგან მართულო, სტუმარო, გულით მოსულო, ადათ-წესებით გართულო, სუფრავე, ქეიფო, მარანო, და სიმღერებო ქართულო, ყველანაშინდავ და საამოვ, „მრავალჟამიერ“, „ჩაკრულო“.


რაკი 850 წლის რუსთაველი ასხენე, ისიც გეცოდინება, რომ 2016-17 წლებში საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ავადსახსენებელმა გიორგი კვირიკაშვილმა პირადად ჩაშალა რუსთაველის 850 წლის იუბილე, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური წერილით მე პირადად, როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა ათჯერ შევავხსენე-მეთქი.

როგორ არ ვიციო, ცხარე ცრემლით ვიტირე, როცა უკეთური კაცის მსუბუქი ხელით რუსთაველის 850 წლის იუბილის ჩაშლის ამბავი გავიგეო.

ერთ რამეს გაგიხსელთ, ბატონო რეზო, თუ ვიცოცხლე, 2021 წელს ჩემს ვენახში, საგარეჯოში მე თვითონ გადავუხდი შოთა რუსთაველს დაბადების 855 წლის იუბილეს და თამადობა თქვენ უნდა გთხოვოთო.

ცრემლი მომადგა. დიახ, ცინიკოსნო და ქვეგამხედვარნო, მეზვრე თამაზ ქვლივიძისთანა უამრავი პატრონი ჰყავს შოთა რუსთაველს და სწორედ ესაა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უკვდავების გარანტია.

რევაზ მიშველაძე



სამშობლოსათვის თავდადებული

1993 წლის 18 სექტემბერს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, აფხაზეთში, კოდორის ხიდთან გმირულად დაიღუპა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის სერგო წურწუმის 32 წლის ვაჟაკი, მაიორი ჯამბულ წურწუმია.

ჯამბული წურწუმია ლექსებს და მოთხრობებს. მოთხრობა „აპოკალიფსის მხედარი“ არაერთგზის დაიბეჭდა და მკითხველთა მოწონებით სარგებლობს.

ჯამბულ წურწუმია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერია, მისი სახელი მიენიჭა ქუჩას ზუგდიდში და თბილისის ერთ-ერთ სკოლას.

საქართველოს მწერალთა კავშირმა ახლახანს საქართველოსთვის თავშენიშნულ პოეტს, ჯამბულ წურწუმის გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია მიანიჭა.

ვებგვერდზე ჯამბულ წურწუმის რამდენიმე ლექსს.

ჯამბულ წურწუმია

ჯამბულ წურწუმია

დედას

ჩემო ძვირფასო, ძვირფასო დედი, რა დამაფინყებს შენს სიყვარულს სიკვდილის მეტი? თუ სამშობლოსთვის ამ სიცოცხლეს გავწირავ რიდით, მაშინ სიკვდილი სიცოცხლეზე იქნება დიდი!

ვუძღვნი ჩემს ტრაგიკულად დაღუპულ ბიძაშვილს გივი (ნუგზარ) წურწუმის

სისხლითა და ხორციით თანაზიარო, გვტკივა ორივეს ერთი იარა. შენმა ხომალდმა სამაფრიანმა გზა მისი წილი ვერ გაიარა, ვერ გაიღვიძებ ჩიტების ხმაზე, ვერც მობიბინე გაზაფხულებით და ვდგავართ ახლა ცრემლებით სავსე, შენი გაფრენით დაზაფრულეები. ალბათ, ჯობია, შენი თვალები, რომ ვერ ხედავენ, რა ხდება ახლა; ვგრძნობ, ბედისწერას ვერ ვემალება და მალე, ალბათ, ერთმანეთს ვნახავთ!

ბიჭებს

მე თქვენ გიხსენებთ რატომღაც ახლა, სულ პირტიტველა, საოცარ ყმანვილთ. ბიჭებს, რომლებმაც არ იცით დალლა, ბიჭებს, რომელთაც ტყვიები განვიმთ. მე თქვენ მიყვარხარ!

მწარეც ხართ, ტკბილიც და ერთმანეთში ვერაფრით გარჩევთ, ვინ გადარუჯა სოფელი თბილი? ვინ აგიოხრათ ლამაზი ვარჩე?

ვინ დააჩოქებს კოდორის ბოკვრებს მამა-პაპათგან ბრძოლებში ნაჩვევთ? საქართველოსთვის იქნება მოგვკვეთ და მაინც მარად ცოცხლებად დავრჩეთ.

და კვლავ გიხსენებთ რატომღაც ახლა, სულ პირტიტველა, საოცარ ყმანვილთ. ბიჭებს, რომლებმაც არ იცით დალლა, ბიჭებს, რომელთაც ტყვიები განვიმთ.

სიკეთისთვის ანთებულ ჭაბუკს

ედღვინება ჯამბულ წურწუმის

ხელში მიჭირავს პატარა წიგნი, შენი ხსოვნისა, ჩემო ძმობილო, შენთა ძმათათვის სიმტკიცე ფარად, - სამშობლოსათვის გამირად შობილო.

კარზე მოგადგა სატანის მოდგმა, დაატრიალა სიკვდილის ცელი, საბედისწეროდ შეზავთ-შენივთიდი. შენი ლექსები... და ბრძოლის ველი.

სიკეთისათვის ანთებულ ჭაბუკს შურით, ღალატით გიმუხთლეს, რათა? - ვაჰმე! გამხდარა მამული ჩვენი, სატიალებლად სხვათა და სხვათა...

და ჩვენი მიწის კიდით კიდემდე კვლავ დატარებობს შავი მხედარი... და შენი სამომ მაინც არ შედრკა და მამაშენიც მაინც მხნედ არი.

ჩვენი მტრის გულის მოსაკლავადა მაინც სულს ითქვამს ქართველთა მოდგმა, საუკუნეთა მიღმიდან დღემდე არ მოჰკლებია ვაი და მოთქმა...

შენდარ ვაჟაკებს ზრდიდნენ ქართველნი, მოციქულებად გზავნიდნენ ღმერთთან...

- დაგვზრდებიან ვაჟები, ძმაო! და გისისხლებენ უსისხლო მტერთან.

სიტყვა, რომელიც შენ უნდა გეთქვა, შენი გმირობით ითქვა, ძმობილო! დედ-მამისათვის ცრემლად, ტკივილად, სამშობლოსათვის - გმირად შობილო.

ნაირა ჯაჭვლიანი-გოშთელიანი

ვალტერ მაკენი

უკუნი ღამე იყო. ცაზე მხოლოდ ვარსკვლავები ანათებდნენ. კარიერის თავზე, კუთხეში, ვიჯექი. თვალი ოდნავ რომ გამეხილა, დაბლა, სულ რაღაც 60 ნაბიჯით ჩემ ქვევით, დავინახავდი მღვრიე და პირქუშ წყალს, მკრთალად არეკლილი ვარსკვლავებით.

კარგად ვიცნობ ამ ადგილს. მახსოვს, როცა ახალგაზრდა და გაბედული ვიყავი, ბიჭებმა რკინიგზის რამდენიმე შპალი ერთმანეთს გადავაბით და ამ სახელდასხელო ტივით გავრისკეთ და შევეცურეთ კარიერის წყალში. ცურვა არ ვიცოდით. ის კი ვიცოდით, წყალი საკმაოდ ღრმა იყო და ტივი რომ ჩაძირულიყო, უდავოდ დავიღუპებოდით. ბედმა არ გაგვწირა!

ამჯერად წყლის სიღრმე არ მანალვლებდა. პირზეხელაფარებული, თამბაქოს სუნს ვიყნოსავდი ჩემი თითებიდან. სიგარეტის მოწევა მომიწია. ასეთ უჩვეულო მომენტში, არ ვიცი, სიგარეტი რამ მომანდომა. ჯიბეში ხელი ჩავიყავი. სიგარეტის კოლოფი თან მქონდა. დაჭმუჭნულიყო, მაგრამ მაინც გავხსენი. ერთი ღერი ამოვიღე და კოლოფი მოვისროლე. მესმოდა მისი მსუბუქი შრიალი. გონების თვალთვინებით ვხედავდი, როგორ ჩავარდა წყალში, გაიჟლინდა და ნელ-ნელა ჩაიძირა.

ასანთიც თან მქონდა. ამოვიღე და ის იყო, უნდა ამენთო, რომ რაღაც ხმა მომესმა. მივაყურადე. ღამე ძალიან წყნარი იყო. არანაირი ჩქამი არ ისმოდა. სექტემბრის ბოლო იყო და არ ციოდა. სმენა უფრო გავამახვილე.

ადამიანის ფეხის ხმა გავარჩიე. ნიადავი კარიერის ირგვლივ, ბუნებრივია, ქვიანი იყო, მაგრამ ქვევს შორის ბალახს ბლომად ამოეყო თავი. დღის სინათლეზე ადვილად შემეძლო დამენახა აქეთ მომავალი. ახლა კი ისლა დამჩინოდა, მხოლოდ ყური მიმეგდო. ეს არ იყო კაცის ნაბიჯები. ქალის ფეხის ხმა იყო. ისიც არა ხანდაზმულის, არამედ – ახალგაზრდის.

ადვილი მისახვედრია, რატომ იყო იმ მომენტში ჩემი გრძნობები ასე გაფაქიზებული.

უკან დავიხიე და ღრმად შევიყუჭე. ვარსკვლავებით განათებულ ცას ავხედე. გოგონას ფიგურა გამოჩნდა. მე ზემოთ ავცქეროდი. ის კი ქვემოთ დაჰყურებდა წყალს. სახე ვერ გავარჩიე, მხოლოდ ფორმა გამოიკვეთა. თავდახრილს, სახეზე თმები ჩამოჰყვროდა. გამხდარი იყო, გრძელფეხება. თუმცა, შეიძლება, სულაც ჩემი ადგილმდებარეობიდან მოჩანდა ასე.

მე არ ვცდებოდი. უდავო იყო ერთი რამ: გოგონა იმიტომ ავიდა ამ სიმაღლეზე, რომ იქიდან კარიერის წყალში გადაშვებულიყო! ეჭვი არ მეპარებოდა ამაში.

– ნუ, ნუ იზამ ამას! – ვთქვი ჩუმად, ძალიან ჩუმად.

მართალი ვიყავი. გოგონა არც კი შერხეულა. მისი გონება სხვაგან ქროდა. მას არაფერი აფრთხობდა. ვიცი, გაიგო ჩემი ხმა. წამით შეყოვნდა. იქნებ რეალურად ვერც აღიქვა და იფიქრა, მომეჩვენაო.

– აქა ვარ, დაბლა. შენ ქვემოთ. ვერ დამინახავ. მე გიყურებ. ნუ იზამ ამას! – ვუთხარი მე. – ვინ გამოგაგზავნა ჩემთან? ნამდვილად ვილაცამ გამოგიშვა! იქნებ, ჩემმა მშობლებმა? – გულგრილად იკითხა გოგონამ.

ვეცადე, გამეჩინა მისი ხმა. სიფრთხილე მჭირდებოდა. ხმა ბავშვური, მაგრამ მკვდარი

ჰქონდა. ყურადღებას არ აქცევდა, გულგრილი იყო ყველაფრისადმი, რაც ხდებოდა.

ჩემი აზრით, მილიონი მსგავსი შემთხვევიდან ამგვარი შეხვედრის შანსი შეიძლება მხოლოდ ერთი ყოფილიყო.

– არა, არავის გამოვუგზავნივარ. უბრალოდ, აქა ვარ. ხმაზე ვერ გცნობ ან საიდან მეცოდინება შენი მშობლები! – ვუპასუხე მე.

– ვილაცამ გამოგზავნა! – თქვა მან ჩამქრალი ხმით, პირქუშად.

– ცურვა თუ იცი? – დაუსვი შეკითხვა. – არა. – იყო პასუხი.

– მე ვიცი, – ვთქვი მე.

საუბარი სიზნელეში

გოგონა დაფიქრდა. მერე ერთი ამოიოხრა და მიწაზე დაჯდა. კი არ დაჯდა, მოწყვეტით დაეშვა.

– ბნელა. წყალში ვერ დამინახავ! – ჩაილაპარაკა მან.

– მე კი მგონია, რომ ადვილად გიპოვი, – შევეხმიანე ისევ.

– ისევ ჩავიდენ! – თქვა მან ჯიუტად.

– არა! მე დამიჯერე! – ვუთხარი მე. – რა გინდა ჩემგან? – ძლივს გაკრთა ინტერესი მის ხმაში.

– მითხარი, რატომ აკეთებ ამას? თუ გაქვს დამაჯერებელი არგუმენტი, შეგეშვები! – შევპირდი მე. – ნამდვილად? – ფრთხილად იკითხა გოგონამ.

– ფიცს გაძლევ ღვთის წინაშე! – ვთქვი მე უხეშად. შევნიშნე, როგორ შემოატრიალა თავი ჩემკენ, მაგრამ ვერ დამინახა.

– ძალიან კარგი მშობლები მყავს, – ალაპარაკდა უცებ, – უკეთესები არ არსებობენ დედამიწაზე, დარწმუნებული ვარ. ნამდვილად კარგები არიან. მართლა კარგები.

ისევ გაჩუმდა და დაფიქრდა.

– მე მათი ერთადერთი შვილი ვარ. ბავშვს ველოდები! მხოლოდ 17 წლისა ვარ, – მიძიმე ამოთქვა მან.

– იციან? – კი. ვუთხარი. მე მათ არაფერს ვუმალავ, ყველაფერს ვეუბნები!

– მერე რა თქვეს? – არაფერი. არაფერი არ თქვეს! თვალწინ მიდგას მათი სახეები, ჩემდამი უზომო სიყვარულით სავსე, მაგრამ არაფერი მითხრეს.

სხედან და არაფერს ამბობენ. ან რა აქვთ სათქმელი. მამაჩემს შეეძლო, გაველახე ერთი მაგრად, მან კი ხელი დამადო თმებზე და ატირდა. დედაც არაფერს ამბობს. ხომ ხედავ, როგორი დედა მყავს? მართლა კარგი! – დამთავრა მან თხრობა.

– მით უმეტეს! რატომ აკეთებ ამას? – ისევ შევეკითხე მე.

– მეც მინდა, რაღაც სიკეთე გავუკეთო მათ. არ მინდა, კიდევ რაიმე ტკივილი მივაყენო ცხოვრებაში. თავს მოვიკლავ! გამოსავალი მართო ესაა! – ჩაილაპარაკა მან.

– კიდევ ხომ არის ერთი ვილაც! – ვთქვი მე ჩვეულებრივ ხმაზე.

– ვინ? – იკითხა გოგონამ.

– ბავშვის მამა!

გოგონას გაეცინა. არ მომეწონა მისი სიცილი.

– არ ვიცი, ვინ არის. რა კარგი ვინმე ვარ არა? – გაისმა ირონია მის ხმაში.

– რამდენიმეჯერ წავედი მეგობრებთან ერთად სახლიდან. მხოლოდ რამდენიმეჯერ. ეს კვირაობით ხდება. სათამაშოდ მივდივართ ხოლმე. თამაშის მერე ვცეკვავთ და ვსვამთ. მე არ ვეტანები სასმელს. ჩვენ, მე და „ის“, სანაპიროზე ვსეირნობდით, კოცონისა და ბოთლებისგან მოშორებით. მივეფარეთ თვალს. ერთმანეთს ვკოცნიდით. მეტი არაფერი მახსოვს. ახლა რომ ვფიქრობ, მას მერე მტკივა მუცელი. დაახლოებით ისე,

ტაბლეტი რომ უნდა მოიშველიო ტკივილის დასაყურებლად...

– ბავშვსაც რომ კლავ! – საყვედური გაისმა ჩემს ხმაში.

გოგონა გაჩუმდა. ასანთის ღერი გავკარი კოლოფს.

– შემომხედე! – ავძახე გოგონას. ვიცოდი, შემომხედავდა. ასანთის აღმა თვალები მომანკურინა, სიგარეტი პირში ჩავიდე და მოვუკიდე. ასანთი ჩაქრა.

– დამინახე? – კი. დაგინახე.

– მიცნობ? – დიახ.

ასეც ვფიქრობდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ქალაქი ძალიან პატარა იყო. – მე შენ არ გიცნობ. შენ თუ მიცნობ, ისიც გეცოდინება, ვინა ვარ და რას ნარმოვადგენ. ალბათ, ისიც იცი, ათი წელია, დაოჯახებული ვარ და შვილი არა გყავს!

– მე მგონი, ვიცი.

– ძალიან მინდა, შვილი გვყავდეს. მომეცი შენი ბავშვი! ნუ მოკლავ! – შევალაღე მე. ვიგრძენი, როგორ შეეკრა სუნთქვა.

– შენ და ჩემს მეუღლეს შეგიძლიათ ხანგრძლივი დროით ერთად წახვიდეთ სადმე, სადაც მოისურვებთ, – ავლაპარაკე ისევ. – რამდენადაც იცი, ფულიანი კაცი ვარ. როცა დაბრუნდებით, ჩემს ცოლს შვილი ეყოლება. ნუ მოკლავ, ნუ მოკლავ ამ ბავშვს!

– შეშლილი ხარ, ვილაცა ხარ! – აღელდა გოგონა.

– ვიცი, ვიცი! როგორ ფიქრობ, რატომ ვარ მე აქ? – შეკითხვა მოვაყოლე პასუხს. გაჩუმდა გოგონა. მეც გაჩუმდი. ფიქრის საშუალება მივეცი.

– შეუძლებელია, მეტად უცნაური! – ამოთქვა ბოლოს.

– მხოლოდ სინამდვილეა მეტისმეტად უცნაური! – შევეპასუხე მე.

– კი მაგრამ რატომ? – ჩუმად დასვა შეკითხვა მან.

– იმიტომ, რომ ბავშვი მოვკალი.

– გინდა, რომ დამაბნო! – თითქმის იყვირა მან.

– არა! ნაიკითხე ექვსი თვის წინანდელი გაზეთები! მოკლე ინფორმაციაა: ოთხი წლის ბავშვი მთელი სისწრაფით გამოვარდა გზაზე და მანქანას პირდაპირ ბორბლებში ჩაუვარდა. ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა.

– მე ვიყავი საჭესთან მაშინ! – ჩემი ხმა ჩვეულებრივი იყო.

– ო, არა, არა! – დაიკენესა მან.

– კი, ასეა! საბრალო მამას მკლავებზე ესვენა ბავშვი. გოგონას ფერიასავით ოქროსფერი, ხვეული თმები ჰქონდა. ცხვირიდან სისხლი სდიოდა. თავი ისე გადაეგდო, მიხვდი, მკვდარი იყო. შენი ბრალი არ არისო, თქვა გარსშემოხვეულმა ხალხმა. საცოდავი მამა თითქოს მებოდიშებოდა, მისი შვილი ჩემს მანქანას რომ შეეჯახა. ლამის დამაჯილდოვეს! ან არადა, ჩემი ბრალი იყო. შემეძლო მისი გადარჩენა. ნამდვილად შემეძლო! ვერ ვისვენებ. მთელი ღამე ეს პატარა მიდგას თვალწინ. გვერდიდან არ მშორდება. შემეძლო მისთვის საფრთხე ამერიდებინა. მე ბრალი მომიხსნეს და ბავშვი დაადანაშაულეს საკუთარ სიკვდილში. ეს უკანონობაა! მე მოვკალი ის! – დავასრულე თხრობა.

– შენი ცოლი რას ამბობს? – ეჰ! – ამოვთქვი გულდანყვევტით.

– გიყვარს? – იყო მისი მომდევნო შეკითხვა.

– კი. ის ძალიან კარგი პიროვნებაა. მართლა კარგი!

მესმოდა, როგორ ამოიოხრა მან.

კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სიგარეტი ჩაიფერფლა და მოვისროლე. ნაპერწკლები გასცვივდა. ვგრძნობდი, ორივენი ვუცდიდით, გაგვეგო, რა ხმას გამოსცემდა, როცა წყალში ჩავარდებოდა. აბა, როგორ გავიგებდით! არც გავიგვია.

გოგონა წამოდგა და გაიმართა. – კარგი, შენ მოკალი ერთი ბავშვი, გადაარჩინე მეორე! – თქვა მან.

გავიტრუნე. – გაიგე?

– კი, – ხმადაბლა გავეცი პასუხი.

– ჩემს საკუთარ ჯვარს მე თვითონ ვატარებ. თითქოს მძიმე ტვირთი მომხსენი მხრებიდან! – თქვა მან მტკიცედ. არც დამემშვიდობა, შეტრიალდა და წავიდა.

მესმოდა, როგორ გადაჭრა მინდორი, მთელი გზა გარკვევით ისმოდა მისი ფეხის ხმა. არ მქონდა შეცდომის ჩადენის უფლება. ამოვიღე ჩემი პატარა, 38 კალიბრის პისტოლეტი. მე მქონდა მისი ტარების ნებართვა. ამით ვიცავდი ჩემს ფულს.

არასდროს გამომიყენებია. ერთხელ თუ ორჯერ წავივარჯიშე მიზანში სროლა. ერთადერთხელ დავუმიზნე და ვესროლე ტბიდან აფრენილ გარეულ ბატს.

პისტოლეტი ხმაურით ჩავარდა წყალში. მე ძალიან კარგად ვცურავ. ხომ გასაგებია, რისთვის მჭირდებოდა პისტოლეტი?

საფარიდან გამოვედი და, მიცვალებულივით ერთიანად გათოშლილი, რიყეზე დავჯექი. ერთბაშად ავკანკალდი და შიშმა შემძირა, კარიერის წყალში არ ჩავვარდნილიყავი. პანიკამ მომიცვა. ოთხზე დავეცი და დაუძლურებული ძალღვივით ხოხვით გავეცალე იქაურობას.

ალვის ხის ფოთოლივით ვცახცახებდი, მაგრამ წამოვდექი და ბანცალით გავუყევი გზას.

ერთი ფიქრი ამეკვიატა: მე არავის გამოვუგზავნივარ შენთან, გოგონი, მაგრამ შენ? შენი თავი ვინ მომიგზავნა? მითხარი: ვინ? ვინ გამოგიშვა ჩემთან?

ინგლისურიდან თარგმნა ნანა შალამბერიძემ 2011 წლის აგვისტო დუბლინი



ნანული (ნანა) გუნია

უფალს

მადლობა, ღმერთო, ღამე რომ გვქონდა წყნარი და მშვიდობიანი, მადლობა, დილა რომ გაგვიტენე ბედნიერი და მზიანი.

ყოვლად ძლიერო დიდო უფალო, მე შენი მიემდება! დღევანდელ ყოფის შემყურეს, ღმერთო, გულს ცეცხლის ალი მედება.

ჩემს სამშობლოში მომრავლებულან უცხო მავანთა თესლები... ქუჩაში გავლის სურვილიც არ მაქვს, გული მაქვს ანაკვნესები.

მადარდებს ჩვენი გაუტანლობა... ბობოქრობს ეშმა წყეული... მთელს დუნიაზე ქართველნი ვქუხდით ღირსებით გამორჩეულნი.

დღეს კი რა ხდება?! ღირსების ნაცვლად სხვა გზა ნეტავ რად ვირჩიეთ?! უფალო, შეგთხოვ, ჩემი ერი და სამშობლო გადამიჩინე.

გთხოვ, დამიბრუნე საქართველოდან ნასული ყველა ქართველი, განსაცდელთაგან გვიხსენი ყველა, მოგვმადლე აზრი ნათელი.

ფიქრმა დამალა... ადამიანი ადამიანს არ ენდობა, რაც კი შეგცოდეთ ყველაფრისათვის, უფალო, შეგთხოვ შენდობას.

შეგინდე, ღმერთო, რაც კი შეგცოდეთ, დაბადებიდან აქამდე, გაგვიმთლიანე ისევ სამშობლო ნიკოფსით დარუბანდამდე!

ძვირვას და დაუპინყარ დედას

გნა მართო გარეთ, გულშიც ძლიერ წვიმს და გრგვინავს, ღამის ორი საათია ქალაქს ყველას სძინავს.

სიჩუმეა... ამ სიჩუმეს ვარღვევ ჩემი ფიქრით, მთელი სულით მე შენთან ვარ, ფიქრით შენკენ მივქრი.

ამდენ ფიქრი, დარდისაგან ზოგჯერ ცუდად ვხდები, რომ განუხებ ამას, დედი, განა მე ვერ ვხვდები.

ვხედავ თავის შეკავების აღარ შემწევს ძალა, სიყვარული მექაჩება და სულ შენკენ მძალავს.

შენი ნახვის წყურვილი მკლავს, მენატრები ძლიერ, რამდენჯერ ვთქვი, უშენობა ვერა და ვერ ვძლიერ.

ამ წუთებში სიჩუმეა... ქალაქს ყველას სძინავს... ჩემს გულში კი, როგორც გარეთ, შენ გამო წვიმს... გრგვინავს.

ღალღალი საპარტიველოსი

გულს ნულარ მატკენტო, ისიც მეყოფა, მე რაც ვინწვნი, შვილო, აქამდე, უწინ, შვილებო, გადაშლილ ვიყავ ნიკოფსიდან დარუბანდამდე.

დღეს ძველებურად ისევ დამიწყეს დაქუცმაცება, დანანილება, მე ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ვარ და რა უნდა მიყონ მავანთ წილებმა.

მთავარი არის, თქვენ მიერთგულოთ, არ მილაღატოთ და არ გამწიროთ მე ხომ მშობელი დედა ვარ თქვენი, ჩემო ლომებო, ჩემო არწივნო.

გვერდიგვერდ დგომით და სიყვარულით შევძლებთ, გავაგდოთ ჩვენგან სატანა, ვერაფერს შევძლებთ თუ არ ვიქნებით ერთად სუყველა, დიდი-პატარა.

თუმცა დღეს მავანმა თავის ხლართებქვეშ მომაქცია და სურს რომ გამთელოს, ვერ ეღირსება ამის მიღწევას, სანამ რწმენით და სულით ქართველობთ.

თქვენი ვალია, სამშობლოს დაცვა, გმირ წინაპრების დარად, ქართველნი!

მსურს, სიყვარულში განვლიო დღენი

დიდო უფალო, დედაო ღვთისავ, სულის ლამპარო ჩემო, მამულო, ენავ, სარწმუნოებავ, სულის სანთელი მწველო.

ანთებულ სანთლად მოვლინებულო, მშობელი დედავ, ტკბილო, გზის ლამპაროვით მანათობელო, მზის სხივზე მეტად თბილო.

შიგ კაკალ გულში უფალი, დედა, მამული, ენა, რწმენა, სანთლად მინთია, მესალბუნება, ქრისტე მაცხოვრის მცნება.

მსურს, სიყვარულში განვლიო დღენი და სანთელივით ვენთო, ქვეყნის სიმრთელეს, ქართველთ ერთობას, შეგთხოვ, უფალო ღმერთო!

კრძალვით ვთხოვ უფალს!

რასაც ჩადიან და აკეთებენ მე აღარ მახსოვს ყოფა ამგვარი, იყო ერთურთის პატივისცემა, უწინ ცხოვრება იყო სხვაგვარი.

მივტირი წარსულს, სადაც სუფევდა ძმობა, ერთობა და სიყვარული, სადაც იცოდნენ კაცი და ქალი, იყო გატანა და სიყვარული.

სადაც ზნეობა, სინდის-ნამუსი, მაღლა იდგა და თანაც მძლავრობდა და ამ ზნეობას, სინდისს და ნამუსს უფრთხილდებოდა ყველა თაობა.

დღეს კი რა ხდება?! რად შევიცვალეთ?! ქალი და კაცი, დიდი-პატარა, დავიჯერო, რომ გონი წაგვართვა კარზე მომდგარმა წყეულ სატანამ?

დავიჯერო, რომ არაფრად გვიღირს მამული, ენა, სარწმუნოება? დავიჯერო, რომ უფერულდება ძმობა, ერთობა და სათნოება?

დავიჯერო, რომ მოყვრის მაგიერ წინ დავაყენეთ ვიღაც მსტოვარი და არად გვიღირს თავისუფლება წინაპართ სისხლით მონაპოვარი?

კრძალვით ვთხოვ უფალს, ყოვლადმოწამეს, რომ აგვიხილოს გონების თვალი, უწინდებურად კაცობდეს კაცი, უწინდებურად ქალობდეს ქალი.

რომ ენას, მამულს, სარწმუნოებას, მტლად დავედოთ და ყველა ვფიცავდეთ, ქვეყნის ღირსებას, ენის სინწინდეს, დიდი, პატარა ერთად ვიცავდეთ!

ჩემს ნანატრ შვილიშვილას - გიორგის და ნიკოლოზს

რაც თქვენ გაჩნდით მაგის მერე სხვანაირად მიძგერს გული, თქვენ ხართ ჩემი სიცოცხლე და ჩემი დიდი სიყვარული.

უფალს შევთხოვ, არ მოგაკლოთ მფარველობა, მისი მადლი, წყალობა და დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და სხვა კარგი.

მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის, ეს რა სიხარული მერგო, გაიზარდეთ, გამიმრავლდით, შემოგეველოთ ნანა ბებო.

რამ დაგამუწავათ, ერო და ბერო!

აბობოქრებულ სულს დავატარებ, რადგან წაგვართვეს რაც კი კარგია, თუმცა საგზალი ამ ჩემი სულის უფლის წყალობა, უფლის მადლია.

თვითმყოფადობის ჩაკვლა სურთ ჩვენი, თითქმის წაგვართვეს ეროვნულობა, იმ დროს მივტირი, როცა ქართველში სისხლი დულდა და გული გულობდა.

დღეს ყველაფერი გაეფერმკრთალდა და ყველაფერი გახდა სხვაგვარი, მე არ მსმენია და არც მინახავს, ქართველი დღეს რომ არის, ამგვარი.

დღევანდელ ყოფას შეგუებული, უნიათო და ხელჩაქნეული, კარსმოდგარ მტერთან ხმალჩადებული, მათ შემხედვარეს მენვის სხეული.

რამ დაგამუწავათ, ერო და ბერო, როცა სატანა კარზე მომდგარა, ვერ მოვალწევდი ალბათ აქამდე, ქრისტე მაცხოვრის რწმენა რომ არა.

მე უფლის მნამს და მჯერა ღვთის მადლით არ დაეცემა სულით ქართველი, გონს მოვეგებით დიდიც, პატარაც, უფლის ნაბოძებ აზრით ნათელით.

და არასოდეს აღარ დავუშვებთ, რომ შეგვილახონ მამული, ენა, სარწმუნოება, რითაც მოვედით, ქართველნი, მივყვეთ მაცხოვრის მცნებას!

უარი ვუთხრათ შურს და სიძულვილს, სიყვარულს ფართოდ გავულოთ კარი, გავერთიანდეთ ღვთის სიყვარულში და მივუხუროთ სატანას კარი!

ღავჭაქოთ ქობის სიმღერა

უგნურს ჭკვიანად ნათლავენ, ღირსეულს კიდევ უღირსად, სხვაგან ეძებენ სიამეს, ნაცვლად თვის დედის უბისა.

ნაცვლად იმისი თვის ქობი ერჩივნოთ უცხო ვილასა, მავანთ თვალთ შესცივინებენ, თვისას აწნავენ სილასა.

„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, ნუთუ არასდროს სმენიათ?! ნუთუ მავანმა ქართველებს ჩაგვიკლა ჯიში, გენია.

და დავაშორა ერთმანეთს თვისი განზრახვით, ცბიერით, არ დავივინყოთ, ქართველნი! „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“.

ხელი ჩავეჭიდოთ ერთმანეთს გმირ წინაპრების დარადა, მამული, ენა და რწმენა დავიცვათ მთას და ბარადა.

გავერთიანდეთ ერთ ძალად ყველა დიდი და პატარა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნიდან მსწრაფლ გავაძევოთ სატანა.

დავჭექოთ ძმობის სიმღერა, ყველგან, იმერ და ამიერ, ქართველთ ერთობას, სიყვარულს, სულ მრავალ, მრავალქამიერ!



ელისო ქიტიაშვილი

ნუ მოგვიშალოს იმედი,
ან საით მივექანებით?
როგორც რომ ჩონგურს სიმები,
ისე გვჭირდება ბანები.

ერთურთის ლოცვა გვახარებს,
გვწამს, ღმერთის ძალა დიდია,
მშვიდობა - ჩვენი სახატე,
და-ძმობა - ჩვენი ხიდია.

ღმერთო, გვიკურთხე მშვიდობა,
სანთლად გვინთია სიმართლე,
ეს არის ჩვენი ცილობა
ამ სავალ გზებს რომ გვინათებს.

ბნელი გვაშორე, სინათლე
მოგვეც მშვენიერა მზისანი
და ამ დალოცვილ მინაზე
ეს არის ჩვენი მიზანი.

არ გაგვიცრუოს იმედმა,
ვინ საით მივექარებით?
როგორც ჩონგურის სიმებმა,
ძმანო, ბანს მივცეთ ბანები.

ბოროტს დაჯაბნის მარაზმა,
სიკეთით დავალთ ყველგანა,
ამით ძლიერობს მარადუფამს
ჩემი პატარა ქვეყანა.

და მეც...

დიდი სიყვარული, ციდან მოფრენილი,
წამლად მოვლია ტურფა საქართველოს,
ინვის წმინდა გული ცისკრად მლოცველივით,
შანთმა მოღერებმა თუნდ მთლად

გადათელოს.
ცრემლით დაღლოლი კვართი უწმინდესი
თრგუნავს აბირონთა გავემებულ მხედრებს,
მე კი განბრძნობილი კვლავ თვით უფლის
რწმენით,

ფუგად ვანვდი ლოცვას გამზევებულ ედემს.
სისხლით მორწყულია არწივთ ასაფრენი,
დაე, ლამპრად ენთოს ისე გმირი წმინდა,
ფიცით რომ ძმურია, ყვავის, ძმად საფერი
და მეც საქართველოს დღეგრძელობა მინდა.

სამშობლო მსურის

სამშობლო მსურის ქებადა,
სინმინდე დედიშობილა,
ღმერთის შექმნილი ქვეყანა,
განა კვლავ სადმე შობილა?

ქვეყანა მტკიცე, ურყევი,
თავისი ნიჭის განძითა,
მტრის ზურგში აპუურებით,
წინ-ვაჟკაცობით, ყანწითა.

გამოღმიდან და გაღმიდან
გვიფარავს ძალა ჯვარისა,
უბნოვებად ჩაღვრილა
გულში მოძღვრება ჟამნისა.

ღმერთო, დალოცე ქვეყანა,
ვით შექმნილი ხარ ნათლისა,
თავისი სიყვარულით და
თავისი დიდი მადლითა.

მაშ, ძმობა იყოს

შენ დედამინას სანთლად დაენთე,
ძმობის, მშვიდობის, დიდი გმირობის,
დიდი სინმინდის ვარსკვლავთ აელვებ
სიყვარულით და ხელგაშლილობით.

მაშ, ძმობა იყოს და მეგობრობა,
ღვთისმშობლის ნილო, წმინდა ლამპარო,
შენი მშვენიერა არის გმირობა,
შენ დიდი მადლის ტკბილო აკვანო.

შეგხარი, ვით ხეს ნორჩი ფოთოლი,
შენს ფოლიანტებს ვესაუბრები,
ცად ამიტაცებს რწმენის გოდოლი,
სამშობლოვ, შენი დედაბუნების.

სელმრუდეს

შენ ბოროტება შემოგეჭრა, ვით ზენა ქარი
და მაგ შენს გულში აფიქსივით დასადგურა,
გარს შემოგერტყა მაცდურების ბნელი
ამქარი
და უნებურად სხვის ჯიბისკენ ხელი
გაცურდა.

შენ არ გალეღვებს ვარდზე წვიმის წვეთის
ლიცლიცი
და ვფიქრობ ასე - მზის სხივით გეყოფა
ძალა,
ეთამაშები სხვის ჯიბეს და გულში იცინი,
მაგრამ გახსოვდეს, სახელს, სახელს ვერ
მოიპარავ.

შენ სხვა გოლგოთა გირჩენია, თვით
უკვდავებას
და გაგიტაცა წუთისოფლის ამოებამ,
ნუთუ ეს არის შენი ჯვარი, შენი ღვთაება,
რომ არ გაფიქრებს ვერრა დროის
გარდაგორება.

სხვა სხივით თბება შენი სული
მეფისტოფელის,
ქუჩას ეტრფი და მან ნათელი ვერ მოგიტანა,
მასეთ კაცობას დასტირიან ჩვენი მგოსნებიც,
მაგრამ გახსოვდეს, რომ თვით სახელს ვერ
მოიპარავ.

ვუვლი დედის დანატოვარს

ძვირფასი დედი ეთერ ჯაჭვადის ხსოვნას

შენ დამიტოვე სიყვარული აურაცხელი,
ალურაცხელი, ხალასი და უკიდევანო
და ჩემი სულის სიცოცხლის გზა
დაუმარცხები,
შენ, საქართველოს სიყვარულის წმინდა
ემბაზო.

შენ დამიტოვე ამ ჩვენს ბაღში
გაზაფხულები,
მაგრამ იებიც უშენობას როგორ ტირიან
და ეს ვარდებიც, შენი ხელით ნასათუთევი,
ოჰ, ეს დღეები, როგორ ჩუმად, ნელა მიდიან.

და ვუვლი, დედა, ვუფრთხილდები შენს
დანატოვარს,
ბალს და ეზო-კარს, შემოგარენს, შინ თუ
გარეთა,
გუშინდელივით მახსენდება ჩემი ბავშვობა
და რწმენით ვუცდი ნეტარ წუთებს
მოელვარეთა.

შენ დამიტოვე სიყვარული აურაცხელი,
ალურაცხელი, ხალასი და უკიდევანო
და ჩემი სულის სიცოცხლის გზა
დაუმარცხები,
ჩემი სამშობლოს სიყვარულში სულ რომ
გემსგავსო.

სიყვარული

„სიყვარული აღგვამალღებს,
ვით ეფუანნი, ამას უღერენ“.
შოთა რუსთაველი

სიყვარულს ავუნთოთ სანთლები,
მწველია, არასდროს ნელდება
და წმინდა ავუგოთ ტაძრები,
როს ტრფობა აროდეს ბერდება.

სიყვარულს დავუცხროთ იარა
და გული დავუდოთ მალამოდ,
ავდარმა თუ გადაიარა,
ლექსები სანთლებად ავანთოთ.

ლახვარს ნუ ვაძგერებთ, ის ერთობ
ფაქიზი გრძნობაა, ფრთამალი,
ჭეშმარიტ სიყვარულს მივენდოთ,
დილა გავუთენოთ ალალი.

თვით ნეტარებაა ის, როცა
ბრწყინავს უფლის ხელით გამთბარი,
გმირობა, კლდესავით გმირობა,
სხვაც ბევრი რამ მოაქვს მთავარი.

ის ზოგჯერ წვიმას ჰგავს გაღვიწილს
და ხანაც ფანტელობს, მზეთვალობს,
სიყვარულს შევხედოთ თვალეში,
რომ ის ვერაფერმა შეცვალოს.

ნუგუში

ჩივის ბიჭი, ხეთა მჭიდი,
ეს რა ხელი წამიხდაო,
წყაროს გაღმა ხესა ვჭრიდი,
უცებ ცული გამიტყდაო.

მთვარის მსგავსი, ტირის გოგო,
რაც მოგივა დავითაო,
ბედის ნაჩუქარი, როგორ,
ლოქი წყალზე გამიტყდაო.

იქვე შაშვმა გადმოსძახა,
გაფითრდა და გაცდაო,
შავ სამოსში გამოცხადდა,
სანუგეშოდ გალობდაო.

- ნუ იღვლებო, ვისაც ცული,
ანდა დოქი გაუტყდაო,
ვაი, იმას, ვისაც გული
სამუდამოდ გაუტყდაო.

ჯვარი

ჯვარი ხარ მტკიცე, რწმენით
თვით უკვდავება სრული,
შენსკენ გაკვალულ გზებით,
დავალთ წინაპართ ხნულით.

მიმოდოდნენ წლები,
საუკუნენი წყებად
და ისევ მადლით, შენით
ქართველნი იდგნენ მხნედა.

ერს გავედრება მეფე,
როს დაგვიკოდა მტერი
და შენი ძალით, შემწე,
ვიყავით ბოროტთ მძლენი.

ჩვენთან იდექი მტკიცედ,
ჩვენი ცხოვრების ჯვარო,
ნულარ დაგვჯაბნი მცირეთ,
ნუ ავიჩემებ, ჯვარო.

ოცნებებს სამშვიდობოს,
ვით ვარდებს გულით ვკრეფდი,
შენ გვედრება, როგორ
ჩვენი მშვიდობის მტრედი.

კვლავაც გვინათე გზები,
სიბრძნის, სიკეთის, ზედან,
ძალი ჰფარვიდეს შენი
საქართველოს ზეცას.

სვეტიცხოველი

შენ ალავერდის ძალა გალაღებს,
ბაგრატის ტაძარს შენის ნათება,
დგახართ ერთობის ბურჯად, სახატედ,
როგორც უკვდავი წმინდა სამება.

განთიადს ძმობის ზარებს აგებებ,
შენ ხელი გლოცავს ერთი ფხოველის,
შენ მეგობრობას გულით გაენდე,
შენ, საქართველოს სვეტიცხოველი.

გშველის ნატიფი, ნაზი ჩუქურთმა,
გული ოცნებას გაუტაცნია,
ვარდებად ყვავის ფერი შუქურთა,
სასიყვარულო წმინდა განძია.

რა დიდი მადლი გელვრება ციდან,
ნათელ მომავალს რწმენით მოელი,
შენ, საქართველოს ვარსკვლავად ბრწყინავ,
შენ, საქართველოს სვეტიცხოველი.

მაშ, ფრთები ფართოდ გაშალე უფრო,
ამაღლებული ლოცვად მოგველი,
კვლავ პლანეტაზე მშვიდობას უხმობ,
შენ, საქართველოს სვეტიცხოველი.

საქართველოს მწერალთა კავშირი



23 სექტემბერს მწერალთა სახლში მწერალთა, ხელოვანთა, საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც შესავალი სიტყვით მაცვალა გონაშვილმა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას ახლად დაფუძნებული აკადემიის მიზნები, ამოცანები და მომავლის გეგმები გააცნო. გამოვიდნენ: რიმა ბერიძე, გულნაზ ხარაიშვილი, რევაზ მიშველაძე... ნაირა მარშანიამ დაასახელა აკადემიაში განვრვიანებული: პარლამენტის წევრი, საკრებულოს დეპუტატი რიმა ბერიძე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე, აფხაზეთის განათლების და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, მინისტრის მოადგილე ირმა კეკელიძე, თეატრკრიტიკოსი, შოუმენი და „იმედის“ ტელენამყვანი ნიკა წულუკიძე, სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი გოგი ფაცაცია, შიდა ქარლის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით ახლოური, კომპანია „ნატალის“ გენერალური დირექტორი ნატალი თოლორაია, ჩაჩავას კლინიკის პროფესორი ლიკა ნადარეიშვილი, პოეტები ნატალია კოკაია, ეკა ქაჯაია, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი მიმოზა ცანავა, ტირძნისის სკოლის დირექტორი დარეჯან ნასყიდაშვილი, ბიზნესმენი ოთარ ბარქაია, სულიერების და კულტურის ცენტრის დირექტორი ირინა ქეცბა, მხატვრები რეზო ადამია, ლევან ჭაბუკიანი, ემიგრანტი მიხეილ ჯიჯელავა, აფხაზეთის ომის გმირი გურამ ჯანიშვილი.

23 სექტემბერს საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა რაულ ჩილაჩავას შემოქმედებითი საღამო, რომელიც გახსნა გიორგი კეკელიძემ. სიტყვით გამოვიდნენ: რევაზ მიშველაძე, როინ მეტრეველი, ბალათერ არაბული, მიმოზა ცანავა, გურამ ოდიშარია...

დასასრულს რაულ ჩილაჩავამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა მომავლის გეგმებზე.

9 სექტემბერს გორის მუსიკალურ კოლეჯში ჩატარდა შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის, ცნობილი პოეტისა და მოღვაწის დავით ახლოურის საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო.



დამსწრე საზოგადოებამ გულთბილად მიიღო პოეტის ახალი კრებული „მზის საუფლოში“ და მასში წარმოდგენილი პოეტური ნაწარმოებები.

ავტორმა, გარდა კრებულში შესული ნაწარმოებებისა, საზოგადოებას გააცნო თავისი ახალი ლექსები.

დარბაზში გაუფლერდა დავით ახლოურის ლექსებზე შექმნილი სიმღერებიც.

გორის მუნიციპალიტეტის მერია მღვანლმოსილი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დავით ახლოური საპატიო სიგელით დააჯილდოვა, ხოლო საქართველოს პატრიარქის ჩოხოსანთა საზოგადოების გორის სადროშოს თავმჯდომარემ - იასონ დეკანოსიძემ მიულოცა იუბილე და, როგორც ახლად განვერვიანებულ ჩოხოსანს, საჩუქრად გადასცა ხანჯალი და ლომისის წმინდა გიორგის ხატი.

ბესიკ კაიშაური


გრძელდება საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ახალგორისა და ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციისა და საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა გორის სადროშოს ერთობლივი პროექტი „ღვთისკაცთა ნაკვალევზე“... იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში სტუმრობის შემდეგ, 22 სექტემბერს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთს ვესტუმრეთ და მოვინახულეთ საქართველოს დაუმარცხებელი გენერლის გიორგი მანიაშვილის სახლ-მუზეუმი... მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ოლიამ დიდი სიყვარულით გაგვაცნო სახელოვანი თანამემამულის მემორიალური ნივთები, ფოტოსურათები... ვრცლად ვისაუბრეთ ამ მართლაც გამორჩეული ერისკაცის ცხოვრებასა და ფასდაუდებელ ღვაწლზე...

„ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს, მეორე მკვდრებით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება“ - უთქვამს სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე გიორგის...

სოფიო დეკანოიძე

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციამ, გორის სადროშოს ჩოხოსანებთან და ქალაქის საზოგადოებასთან ერთად პატივი მიაგო აფხაზეთისა და სამაჩაბლოსათვის თავგანწირულ მამულიშვილებს... გორის საკათედრო ტაძრის მღვდელმა, მამა ანდრიამ (მინდოდაშვილი) აღავლინა გმირების სულის მოსახსენებელი პარაკლისი... პოეტებმა ნაიკითხეს ლექსები და ისაუბრეს საქართველოს წარსულსა და მერმისზე. ითქვა, რომ ამ ომში ერთად დავმარცხდით ქართველებიც, აფხაზებიც და ოსებიც... მომავალში კი, ღვთის ნებით, ასევე ერთად უნდა გავიმარჯვოთ და მშვიდობიანად ვიცხოვროთ ქართულ მიწა-წყალზე.

სოფიო დეკანოიძე




19 სექტემბერს მწერალთა სახლში იოსებ სიბოშვილის ახალი წიგნების - „უხადადან ოდერამდე“ და „ჟამი მიტევებისას“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა წიგნის რედქტორმა მანანა გორგიშვილმა. მან ისაუბრა იოსებ სიბოშვილის შემოქმედებაზე და ახლად გამოცემულ წიგნებზე. სიტყვით გამოვიდნენ: ბალათერ არაბული, მანანა ქიმერიძე, თინა ჭეღია, ფიქრია ბროლაშვილი, რეზო ადამია...

დასასრულს იოსებ სიბოშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და მომავლის გეგმებზე ისაუბრა.



22 სექტემბერს მწერალთა კავშირის ორგანიზატორებით მწერალთა სახლში ქართველი პოეტის, მთარგმნელის, ირანი-სტიის ნომადი ბართაიას საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამო გახსნა რევაზ მიშველაძემ, სიტყვით გამოვიდნენ მაცვალა გონაშვილი, სოსო სიგუა, გივი შაჰნაზარი, დავით შემოქმედელი, მიმოზა ცანავა, ბადრი ქუთათელაძე, რეზო ადამია...

დასასრულს ნომადი ბართაიამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და საკუთარი ლექსები და თარგმანები წაიკითხა.



გამოვიდა გულნაზ გვალის უაღრესად საინტერესო, სოლიდური ნაშრომი „დავით შემოქმედელის პოეტური სამყარო“. ავტორი მაღალი პროფესიონალიზმით და დახვეწილი გემოვნებით მიმოიხილავს თანამედროვეობის გამოჩენილი პოეტის, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის დავით შემოქმედელის მრავალნაზნაგოვან შემოქმედებას. წიგნი შედგება 6 განყოფილებისაგან: სულიერი ნიაღვრეები და თანამედროვეობა, რას ტვიფრავ სულზე, პოეტი და ნუთისოფელი, ადამიანი და დრო, პოემები, მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმები. ნაშრომს დართული აქვს პირთა საძიებელი. გულნაზ გვალის ეს წიგნი, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე გამოსცა გამოცემლობა „მწიგნობარმა“, უაღრესად საინტერესო გზამკვლევი იქნება დავით შემოქმედელის რთულ ინტელექტუალურ სამყაროში შესასვლელად.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძობს პოეტ რევაზ სვანიძეს დის ნაწი სვანიძის გარდაცვალების გამო